ვაციტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 158 (12 837) 8 ივლისი ოთხშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქა-რთველი დიდ სლემზე

>> გვერდი 11

## მეტი ფეხბურთი, ნაკლები პაუზა

ჩემპიონატი და თასი გაწერილია. ჩემპიონი სამტრედიით იწყებს...

>> გვერდი 3

ატლანტელი ძომაგი:

# ოღონდ დარჩი და ზაზას დღეს დავაარსებთ



>> გვერდი 12

დღეს ნომერში...

ფეხბურთი



პალერმომ მჭედლიძე ვერ დათმო

>> გვერდი 4

ფეხბურთი



ლიპი დილემის წინაშე

>> გვერდი 6

ჩოგბურთი



შტეფი გრაფი: ჩოგბურთმა ოჯახი მაჩუქა

>> გვერდი 16

## რატიმ გაიტანა, განუგრავა გამოჩნდა

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა „დიორი ეტომ" გუშინ რუსული პრემიერლიგის „კუბანს" 2:1 მოუგო. ანგარიში 35-ე წუთზე საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **რატი ალექსიძემ** გახსნა. „ეტომ" ტაიმები განსხვავებული შემადგენლობებით ითამაშა. რატიმ მოედანზე დაყო მხოლოდ პირველი ტაიმი, რომელიც უნგრულმა გუნდმა 1:0 მოიგო, მეორე ნახევარში კი გამოჩნდა **გიორგი განუგრავა**, რომელიც „დიორში" ისინჯება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დინამო



www.fcdinamo.ge-ს ფოტო

# გამარჯვებაც, ქველმოქმედებაც...

გერმანულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ უკანასკნელი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. როგორც უკვე გაცნობეთ, „დინამოს“ მეტოქე ყველა ქართველი ქომაგისათვის ძველი და „ტკბილი“ ნაცნობი „კარლ ცაისი“ იყო. თუმცა სანამ ამ შეხვედრის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, მანამდე „დინამოსთან“ დაკავშირებულ სხვა სიახლეებზეც გვინდა ვთქვათ. შეგახსენებთ, რომ ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს“ მეტოქე ლატვიური „მეტალურგსია“. ალსანიშნავია, რომ გერმანელი სპეციალისტის **რიუდიგერ აბრამჩიკის** დამოძღვრილი გუნდი აშკარად ალმავლობის გზაზეა და ერთპიროვნულად ლიდერობს ლატვიის ჩემპიონატს. რაღა თქმა უნდა, მომავალი მეტოქის შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეგროვება თუ დამუშავება „დინამოს“ სამწვთნელო შტაბს არ „დაავიწყდებოდა“. **კახა კაჭარავას** და გუნდის მწვრთნელების განკარგულებაში ლიეპაიას „მეტალურგსის“ მონაწილეობით ჩატარებული რამდენიმე მატჩის ჩანაწერია (მათ შორის, „ვენტსპილსთან“ და „სკონტოსთან“). ამას გარდა, მომავალი მეტოქის „საქმეში“ სანახავად ლატვიაში „დინამოს“ მეორე მწვრთნელი **თამაზ სამხარაძე** იმყოფებოდა, ვინც „მეტალურგსისა“ და „ბლაზმას“ შეხვედრას დაესწრო.

თამაზ სამხარაძე: *„უპირველეს ყოვლისა, მასპინძლობისთვის, მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მასპინძელს, თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს ალექსანდრე რეხვიაშვილს. რაც შეეხება მეტოქეს, შეიძლება ითქვას, რომ „მეტალურგსის“ შესახებ პრაქტიკულად ამომწურავ ინფორმაციას ვფლობთ. მოგეხსენებათ, რომ ლატვიაში „გახურებული“ სეზონია და „მეტალურგსიც“ ფორმის პიკზე იმყოფება - ერთპიროვნულად ლიდერობს ლატვიის ჩემპიონატში. ლიეპაიაში ამ გუნდის საშინაო მატჩებზე, აუტსაიდერთან შეხვედრაშიც სუფთა საფეხბურთო ატმოსფეროა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ „დინამოსთან“ შეხვედრის დროს სტადიონზე სრული ანშლაგი იქნება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორიც - მოედნის საფარი იდეალურ მდგომარეობაშია; რაც შეეხება „მეტალურგსს“, ბუნებრივია, რომ ძლიერთან ერთად, სუსტი მხარეებიც აქვთ. სწორედ ამ მინუსების გამოყენებას შევეცდებით მაქსიმალურად. ასე რომ, თითოეული ჩვენგანი ოპტიმისტური განწყობით ვემზადებით სერიოზული ბრძოლისათვის“.*

ამასობაში კი „დინამოს“ ფეხბურთელებთან ერთად, ახალი სეზონისათვის... კლუბის ხელმძღვანელობა და ტექნიკური პერსონალიც „ემზადება“. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამხანაგური შეხვედრა, რომელიც ბად-ბლანკენბურგის სპორტკომპლექსის მოედანზე ჩატარდა. სხვათა შორის, ჩვენი მეტოქე ადგილობრივი გუნდი არის ხოლმე და მათი მატჩები უკვე ტრადიციასავით დამკვიდრდა; თანაც, ზედიზედ მესამე შემთხვევაა, გამარჯვებას ქართველები აღწევენ. ვერაფერს ვიტყვით, მართლაც საინტერესო სანახაობა გაიმართა. მით უფრო, რომ ტრიბინებიდან ჩვენს გუნდს აქტიურად ქომაგობდნენ... „დინამოს“ ფეხბურთელები. ისე, სანამ ამ მატჩის საბოლოო ანგარიშსა თუ უშუალოდ შეხვედრის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, მანამდე უპრიანი იქნებოდა ჩვენი გუნდის შემადგენლობის გაცნობა: **გიორგი მაკასარაშვილი** (მეკარეების მწვრთნელი), **ნუკრი ოქიტაშვილი** (ოპერატორი), **თამაზ სამხარაძე** (მეორე მწვრთნელი), **ირაკლი სახვაძე** (მასაჟისტი), **გია ჯიშკარიანი** (სპორტული კოორდინატორი), **გიორგი მაზავრაშვილი** (ექიმი), **ამირან ლიბრაძე** (ტექნიკური დირექტორი), **ივო კატუშიჩი** (ფიზმომზადების მწვრთნელი), **ბუბა ტყავაძე** (მმართველი დირექტორი), **კახა კაჭარავა** (მთავარი მწვრთნელი), **გიგა გვენცაძე** (პრესატაშე).

ალსანიშნავია, რომ მატჩის ძირითადი დრო ფრედ, 4:4 დასრულდა (**გია ჯიშკარიანმა და ივო კატუშიჩმა** ორ-ორი გოლი გაიტანეს). იმის მიუხედავად, რომ მოედანი ამჯერად უგოლოდ დატოვეს, კვლავაც გამორჩეულნი იყვნენ ჩვენი გუნდის ვეტერანები **კახა კაჭარავა** და **ბუბა ტყავაძე**. პენალტების სერიაში კი **გიორგი მაკასარაშვილმა** იყოჩაღა, ვინც ორი პენალტი მოიგერია. გამარჯვების მომტანი პენალტი კი **თამაზ სამხარაძემ** შეასრულა. სამწუხაროდ, ვერაფრით მოვიპოვეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ჩაატარა ეს პრინციპული დაპირისპირება ჩვენმა კოლეგამ, „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა **გიგა გვენცაძემ**...

დაბოლოს, „დინამოს“ საქველმოქმედო ნაბიჯზეც. ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ხელშეწყობით საფეხბურთო სკოლა „სამაჩაბლო“ (დირექტორი - **ზაქარია ნასუაშვილი**), სადაც კონფლიქტის ზონიდან დევნილი ბავშვები ვარჯიშობენ, გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან 5 000 ევროს მიიღებს!

**ბუბა ტყავაძე** (დინამოს მმართველი დირექტორი): *„როცა „სამაჩაბლოს“ წარმომადგენლებმა დახმარებისთვის მოგვმართეს, „დინამო“ მათ საფეხბურთო ინვენტარით დაეხმარა. შემდეგ კი გაჩნდა იდეა, რომ უცხოელი პარტნიორების ხელშეწყობით მათთვის უფრო სერიოზული მხარდაჭერა გაგვეწია. მით უმეტეს, რომ ასეთი სურვილი ჩვენს გერმანელ მეგობრებსაც ჰქონდათ. გამოჩენილი გულისხმიერებისა და თანადგომისათვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გერმანიის საფეხბურთო კავშირის ალმასკომის წევრს, თიურინგიის მხარის ფედერაციის პრეზიდენტს რაინერ მილკორაიტს. იგი ხომ ამ საქველმოქმედო პროექტის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო“.*

**გია ისიანი** (დინამოს უსაფრთხოების ოფიცერი): *„2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ჩვენი გერმანელი მასპინძლები დაგვიკავშირდნენ და დახმარების სურვილი გამოთქვეს. საფეხბურთო სკოლა „სამაჩაბლო“ ომის შემდეგ დაარსდა და იქ 300-მდე ბავშვი ვარჯიშობს. ახლა კი ეგიდიუს ბრაუნის ფონდიდან სოლიდურ ფინანსური დახმარებას მიიღებენ“.*

### გუშინ

იენის „კარლ ცაისისა“ და თბილისის „დინამოს“ სპარინგმატჩი 0:0 დასრულდა. საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა შეხვედრა ამ შემადგენლობით ჩაატარა: **ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, ნერგაძე, თომაშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი, კოშკაძე (82. ჯიშკარიანი), მერებაშვილი, ჯუისი, ვანაძე (70. მამუჩაშვილი).**

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონი გუშინ...

## ყენია არც ათამაშეს და კონკურენტიც დაუყენეს

გუშინ ქართველთა „შალკემ“ პირველი სერიოზული ტესტმატჩი გამართა - **ფელიქს მაგათის** გუნდი ჰოლანდიურ „ტვენტეს“ დაუზავდა - 0:0. ჩვენებურთაგან მოედანზე მხოლოდ **ლევან კობიაშვილი** ვიხილეთ. მაგათმა კობიაშვილი სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა. სამწუხაროდ, მაგათმა არ ათამაშა **ლევან ყენია**, სამაგიეროდ მოედანზე გამოჩნდა 18 წლის შემტევი ნახევარმცველი **ლუის ჰოლტბი**, რომელიც „შალკემ“ გუშინ შეიძინა „ალემანიისგან“ 2.5 მილიონ ევროდ. ჰოლტბი ზუსტად იმ პოზიციაზე თამაშობს, რომელზეც „შალკეს“ ყენია ჰყავს.

## აშვეთიამ მესამე გაისროლა

მიხეილ **აშვეთიამ** (10 თამაში) სეზონში მე-3 გოლი გაიტანა, 31 წლის ქართველმა ფორვარდმა რუსეთის მეორე დივიზიონის აღმოსავლეთის ზონის მატჩში ბარნაულის „დინამოს“ 1:0 მოაგებინა. „დინამოს“ ნახოდკის „ოკეანი“ ესტუმრა. მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშეს, როგორც აშვეთიამ, ასევე **ვალერი აბრამიძემ** (10 თამაში). 50-ე წუთზე ჩვენებური მცველმა საჯარიმოში მოცელა, პენალტი თავად აშვეთიამ შეასრულა. ათიოდე წუთში უხეშობისთვის აბრამიძე გააფრთხილეს, ხოლო 77-ე წუთზე აშვეთიამ მოედანი დატოვა. დღეს ბრიანსკის „დინამო“ „სახალინს“ უმასპინძლებს. ქართველთა გუნდი 23 ქულით მეორე ადგილზეა და „ირტიშს“ მხოლოდ ქულით ჩამორჩება.

## იმედაშვილი კიევს დაუბრუნდა, დინამოში კიდევ ერთი ქართველი ისინჯება



დავით იმედაშვილი

**დავით იმედაშვილმა** გასული სეზონი უნგრული შოპრონილიგის კლუბ „სპარტაკუსში“ გაატარა. იქ ჩვენებური იჯარის წესით იმყოფებოდა. სეზონი დასრულდა და იგი კიევის „დინამოს“ დაუბრუნდა, რომელსაც კონტრაქტით ეკუთვნის. სხვათა შორის, 24 წლის ქართველი ლეგიონერი დღეისათვის არა „დინამო-2-ში“, არამედ „დინამოს“ დუბლებში ვარჯიშობს. კიევური კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით იმედაშვილს იჯარის ვადა დაუსრულდა და ახალი სეზონისთვის გუნდთან ერთად ემზადება. ნაკლებად სავარაუდოა, ახალ სეზონში დავითი კიევურ გუნდში ვიხილოთ.

ამასობაში კიევის „დინამოში“ სინჯებზე 16 წლის ქართველი ფორვარდი **დავით კოხია** იმყოფება. მან „დინამოს“ ახალგაზრდული გუნდის სპარინგებშიც მიილო მონაწილეობა. კოხიამ ბოიარკის „ზენიტთან“ 2:0 მოგებული მატჩის პირველ ტაიმში ითამაშა (იმედაშვილმაც პირველი ტაიმი ითამაშა). კიევის „არსენალის“ დუბლებთან მატჩში (1:2) კოხიამ მეორე ტაიმის პირველი 30 წუთი ითამაშა (იმედაშვილმა პირველი ტაიმი).

## გურულმა ნივა მოინადირა, ჯაკობიამ არმია დაამწუხრა

ლვოვის „კარპატი“ აგრძელებს უკრაინის ვიშალიგისთვის მზადებას. ამჯერად, **სანდრო გურულის** გუნდმა 3:1 დაამარცხა ტერნოპოლის „ნივა“. ჩვენებურმა დუბლით გამოიჩინა თავი. მან „ნივას“ კარი მე-17 და 32-ე წუთებზე დალაშქრა. ქართველი შემტევი მწვრთნელმა თავდასხმაში, მარცხენა ფლანგზე გაამწესა. მაგრამ უკვე მე-7 წუთზე **ხუდობიაკმა** ტრავმა მიიღო და სანდრო მოედნის შუაში შენიეს. მე-17 წუთზე **კოჟანოვმა** მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და ცარიელ კართან ყველას გურულმა დაასწრო. 32-ე წუთზე გურული თავურით გამოეხმაურა საჯარიმოში ჩაწოდებულს, მან დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან გაიტანა. ტაიმის მიწურულს ჩვენმა ლეგიონერმა თავით შესანიშნავად გადაუგდო ბურთი მეკარეს, თუმცა მსაჯმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და ჩვენს თანამემამულეს ჰეთ-თრიკი არ დაანება.

ლუგანსკის „ზარიამ“ სპარინგმატჩში „ილიჩივეცს“ 2:1 მოუგო. **გიორგი ციმაკურიძე** „ზარიას“ სასტარტო შემადგენლობაში იყო, იგი მე-80 წუთზე შეცვალეს. კიევის „არსენალისა“ და ცსკა-ს მატჩში, რომელიც **ლაშა ჯაკობიას** გუნდის გამარჯვებით დასრულდა - 2:0, ქართველმა ფორვარდმა 75-ე წუთზე გამოიჩინა თავი. სხვათა შორის, იგი მოედანზე სულ 10 წუთის გამოსულიყო.

## კობახიძემ დნიპროში ითამაშა

დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“ მესამე სპარინგმატჩი გამართა და გუნდში პირველად გამოჩნდა ქართველი. დნეპროძერჟინსკის „სტალის“ წინააღმდეგ მეორე ტაიმში **სანდრო კობახიძე** გამოჩნდა. „დნიპრომ“ 6:2 გაანადგურა ქვედა ლიგის მეტოქე, ქართველმა ლეგიონერმა შესვენების შემდეგ **ფერეირა** შეცვალა. სხვათა შორის, მას გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმული გოლკიპერმა მოიგერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# დათვაძე და ზირაქიშვილი ლოკომოტივში

თბილისის „ლოკომოტივს“ ბიუჯეტი ძალიან კი შეუმცირდა, თუმცა ეს არ არის დაბრკოლება იმისთვის, რომ ამ გუნდში ახალი გამოცდილი ფეხბურთელები მისულიყვნენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ლოკომოტივში“ ვარჯიში დაიწყეს **დავით დათვაძემ** და **ზაზა ზირაქიშვილმა**.

დათვაძე გამთამაშებელი გახლავთ და თავის დროზე საქართველოს ჩემპიონატის არაერთ მოწინავე გუნდში უთამაშია, მათ შორის თბილისის „დინამოშიც“. ბოლოს დათვაძე თურქეთის მესამე ლიგაში გამოდიოდა. რაც შეეხება ზირაქიშვილს, 2001 წელს ის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა. ზირაქიშვილი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ თავდამსხმლად ითვლებოდა. მას ფეხბურთელობისთვის თავის დანებება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ გული ისევ მოედნისკენ მიუბრუნდა.

„ლოკომოტივს“ მთავარმა მწვრთნელმა **გელა სანაიამ** გვითხრა, რომ დათვაძე და ზირაქიშვილი ჯერ მხოლოდ ვარჯიშობენ „ლოკომოტივში“ და თუ საერთოდ როგორ დაკომპლექტდება გუნდი, 15-16 ივლისს გაირკვევაო.

**დავით თავართქილაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს ჩემპიონატი

# პროფლიგამ ზონები გააუქმა

## უმაღლესი ლიგის კალენდარი დადგენილია

**გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში საქართველოს 21-ე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდრის კენჭისყრა გაიმართა. პროცედურას ლიგის გენერალური მდივანი, პაატა ბურჯალიანი და საშეჯიბრო სამსახურის უფროსი ნოდარ კაკულია ატარებდნენ, რომელზეც გუნდებს ნომრები მიენიჭათ.**

**პირველი ტურის მატჩები 1 და 2 აგვისტოს გაიმართება. როგორც წინა ჩემპიონატში, ახლაც ტური ორ დღედ გაიყოფა, რათა მედიასა და გულშემატკივრებს მეტი შეხვედრის გაშუქებისა და ხილვის საშუალება რომ ჰქონდეთ.**

I ტური. 1-2 აგვისტო

| | |
|---|---|
| სიონი | სპარტაკი |
| ვიტ ჯორჯია | სამტრედია |
| დინამო | გაგრა |
| ზესტაფონი | ლოკომოტივი |
| ოლიმპი | მგლები/ბაია |

დანარჩენი ტურების გამართვის თარიღებსა და წყვილებს საშეჯიბრო კომიტეტი ამუშავებს და უახლოეს დღეებში გამოამზეურებს. კალენდრის საბოლოო ვარიანტი გუნდებისთვის მინიჭებული ნომრების მიხედვით დადგინდება. როგორც ცნობილია, ჩემპიონატს 10 გუნდი ოთხ წრედ ჩაატარებს. საშეჯიბრო კომიტეტის უფროსმა **ნოდარ კაკულიამ** სხვა საინტერესო დეტალებიც გვითხრა.

*„ჩემპიონატის პირველი ეტაპი, ანუ ორი წრე, 12-13 დეკემბერს დასრულდება. მეორე ეტაპი კი 6-7 თებერვალს დაიწყება, ხოლო მთლიანად პირველობას 20 ან 23 მაისს დაესმება წერტილი“.*

როგორც ხედავთ, ჩვენი პირველობების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე პაუზები დაიგეგმა. ბუნებრივია, ოთხ წრეს, ანუ 36 ტურს, დიდი დრო სჭირდება და შესვენებებიც შემცირდება. ყველაზე მცირე შესვენება წინა პირველობაზე იყო, რადგან რუსეთის აგრესიის გამო, ჩემპიონატი თვე-ნახევრის დაგვიანებით დაიწყო და პირველი ეტაპი 28 დეკემბერს დასრულდა, მეორე ეტაპი კი 7 თებერვალს დაიწყო და შესაბამისად, პაუზაც 41-დღიანი გამოვიდა. ახლა ფეხბურთელები თითქმის ორი თვე დაისვენებენ, მაგრამ არა - ძველებურად სამ თვეს.

მნიშვნელოვანია, რომ მატჩების უმრავლესობა შაბათ-კვირას გაიმართება. კაკულიას თქმით, სამუშაო დღეებში მხოლოდ 3 ტურია დაგეგმილი და ესეც ობიექტური გარემოებებითაა ნაკარნახევი.

*„სანაკრებო შეხვედრების გამო, სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში ორი კვირა გვიცდება. ამას ისიც ემატება, რომ 36 ტურს მეტი დრო სჭირდება და ყველა მატჩს შაბათ-კვირას ვერ დავგეგმავდით. თუმცა მაინც ოპტიმალური ვარიანტი გამოვიდა, რადგან სამუშაო დღეებში მხოლოდ 3 ტური და 6 სათასო ეტაპი გაიმართება“.*

როგორც ცნობილია, უმაღლესი ლიგის გუნდების დუბლების ჩემპიონატი წელს პირველად გაიმართება. თავდაპირველად, გათვალისწინებული იყო, რომ სარეზერვო გუნდები წინადღეს ითამაშებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ასეთი ვარიანტი გამოირიცხა.

*„დუბლშემადგენლობები წინადღეს არ ითამაშებენ. მათთვის ისეთივე ცალკე კალენდარს შევადგენთ, როგორსაც პირველი ლიგის გუნდებისთვის. მიზეზი საქართველოში არსებული მწირი ინფრასტრუქტურაა. სადაა ჩვენთან იმდენი და ისეთი ხარისხის მოედნები, ორი დღე ზედიზედ რომ დაიტვირთოს და არ გაფუჭდეს? ესაა მთავარი პრობლემა და ამის გამო გავყავით ამ ორი ტურნირის კალენდარი“*, - გვიხსნის კაკულია.

რაც შეეხება დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის“ გათამაშებას, ამ ტურნირის 1/16 და 1/8-ფინალური ეტაპი ერთმატჩიანი იქნება, მეოთხედფინალიდან კი გუნდები ერთმანეთთან საქმეს შინ და გარეთ გაარკვევენ. რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, საქართველოში 1/32-ფინალური შეხვედრები ველარ გაიმართება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ... 64 გუნდი ველარ შეგროვდება.

პირველი სათასო შეხვედრები აგვისტოს ბოლოსთვის დაიგეგმა, წელსვე გაიმართება მეოთხედფინალები, 2010 წელს კი მხოლოდ ნახევარფინალები და ფინალი.

კაკულიას პირველი ლიგის ახალ ფორმატზეც ვესაუბრეთ: წინა სეზონში გუნდები ტერიტორიული პრინციპით, აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად დაანაწილეს. წელს ცვლილებები პირველ ლიგასაც შეეხო - ზონები აღარ იქნება, ლიგა გაერთიანდა. სხვათა შორის, ეს დასავლეთის კლუბების უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან „აღმოსავლეთი“ ბევრად სუსტი და ნაკლებკონკურენტუნარიანი გახლდათ. ამის საილუსტრაციოდ ისიც იკმარებს, რომ აღმოსავლეთის ზონაში უმაღლესში გადამსვლელი გუნდი ვერ მოიძებნა, „დასავლეთში“ კი საამისო პრეტენზია და შესაძლებლობა ერთდროულად ხუთ კლუბს ჰქონდა.

პირველლიგელთა ტურნირი 20 აგვისტოს დაიწყება, თუმცა მონაწილეთა რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია. კლუბები პროფესიული ფეხბურთის ლიგის მოთხოვნებს გაეცნენ, წერილები დაურიგდათ და უკვე იციან, ლიგის მონაწილე რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. თუმცა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პროფლიგაში უკვე შესულია 10 გუნდის განაცხადი და ერთი ამდენის პასუხს უახლოეს დღეებში ელიან, სურთ თუ არა მონაწილეობა. წინასწარი მონაცემებით, უმაღლესიდან დაქვეითებული „ბორჯომი“ და ახალციხის „მესხეთი“ პირველ ლიგაშიც ვერ ითამაშებენ.

დაბოლოს - ტურების რაოდენობის გაზრდის გამო, უმაღლეს ლიგაში გუნდებს საწევრო შენატანი 40 ათას ლარამდე გაეზარდათ, ხოლო პირველლიგელებს კვლავ 15 ათასის გადახდა მოუწევთ.

ოფიციოზი

### დავით ნამგალაური

# ასეთ პირობებში უცხოელი მწვრთნელი არ გვჭირდება!

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური კმაყოფილია იმ პერსპექტივით, რომელიც შესაძლოა ქართულ ფეხბურთში რუსთავის „ოლიმპთან“ დაკავშირებულმა პროექტმა მოიტანოს. ბატონი დავითი სხვა საინტერესო საკითხებზეც გვესაუბრება, მათ შორის, უცხოელი მწვრთნელების ჩამოსვლის მიზანშეწონილობაზე, სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე და ასე შემდეგ.**

**- ბატონო დავით, დავიწყოთ ბრაზილიური კლუბის „ატლეტიკო პარანაენსეს“ დელეგაციის ვიზიტით. ეს იყო გაცნობითი შეხვედრა თუ კონკრეტული მოლაპარაკება თქვენც გამართეთ?**

- ეს იყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, სადაც სტუმრებმა პროექტის მნიშვნელობა და პერსპექტივა გაგვაცნეს. ჩანაფიქრით კმაყოფილი დავრჩი, რადგან ეს არის პროექტი, რომელშიც ლაპარაკია არა მხოლოდ მოთამაშეების ჩამოყვანაზე, არამედ, მრავალწლიან პარტნიორობაზე - სამხრეთამერიკელები ჩვენი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების გაზრდაში დაგვეხმარებიან. მოკლედ, შორს მიმავალი გეგმები აქვთ და დარწმუნებული ვარ, მისი განხორციელება ქართული ფეხბურთის მომავალზე უაღრესად დადებითად იმოქმედებს. შეიძლება ითქვას, რომ პროექტში ჩადებულია „დომინოს პრინციპი“, ანუ - „ოლიმპისგან“ ეს სხვა კლუბებსაც უნდა გადაედოს და საერთო ჯამში, არა მხოლოდ ჩვენი საკლუბო ფეხბურთი უნდა გამოაცოცხლოს, არამედ, ნაკრებზეც დადებითად უნდა იმოქმედოს.

**- ეს როგორ?**

- როგორ და, როცა საქართველოს ჩემპიონატში რომელიღაც კლუბი ძლიერდება, ბუნებრივია, მისი კონკურენტი გუნდებიც იძულებულები გახდებიან, გაძლიერდნენ, კონკურენტუნარიანობა რომ შეინარჩუნონ. ბრაზილიელების საქართველოს ჩემპიონატში ჩართვა ჩვენს ჩემპიონატს გააძლიერებს, ინტრიგასა და დაძაბულობას შემატებს. ძლიერ გუნდთან კონკურენციისთვის თავადაც უნდა გაძლიერდე, თორემ ჩაიძირები. ეს არ არის უტოპია, არამედ სავსებით რეალური პერსპექტივაა, მთავარია, ჩანაფიქრი სრულად განხორციელდეს. დღეისთვის, საქართველოს ჩემპიონატის



დავით ნამგალაური

დონეს ოთხი ლიდერი განაპირობებს. დარწმუნებული ვარ, ბრაზილიიდან კარგი ფეხბურთელები ჩამოვლენ და ეს სხვა გუნდებისთვის და მთლიანად, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის კარგი კატალიზატორი გახდება. პროექტმა სწორედ ამით მომხიბლა. ფაქტია, რომ ფეხბურთში მდგომარეობის გამოსასწორებლად რეალური ნაბიჯი უნდა გადავდგათ. ხომ ვიცით, ჩვენს გუნდებს აქამდე რა დონის ლეგიონერები ჩამოყავდათ. ყველა უცხოელს არ ვგულისხმობ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ფული წყალში იყრებოდა...

**- სხვათა შორის, ლაპარაკი იყო სამომავლოდ ამ ბრაზილიელების ნატურალიზაციაზე. მსგავსი იდეები საქართველოში ყოველთვის იბლოკება...**

- მეც მახსოვს, ორიოდე წლის წინათ ლაპარაკი იყო უცხოელი მეკარის ნატურალიზაციაზე. თუმცა ეს იყო „ერთკაციანი“ პროექტი და მეტი არაფერი. რამდენიმე ბრაზილიელის დამატება ნაკრებს მართლა არ აწყენდა.

**- თუ საიდუმლო არ არის, რომელი მეკარის გადაბირებას აპირებდით?**

- გვსურდა, საქართველოს ნაკრებში თბილისის „დინამოს“ მეკარე დიდიე ოვონოს ეთამაშა, მაგრამ ვერ მოხერხდა.

**- კი, მაგრამ ოვონო ხომ გაბონის ნაკრებში თამაშობდა?!**

- სხვათა შორის, ზუსტად იმ მომენტისთვის ნაკრებში ნათამაშები ჯერ არ ჰქონდა და ამიტომაც ვმსჯელობდით. მხოლოდ ახალგაზრდულ ნაკრებში ჰქონდა ერთი შეხვედრა ჩატარებული.

**- ახლა ქართული ფეხბურთი ისე დაძაბუნდა, გინდ მეკარე შეცვალე, გინდ მთელი გუნდი... რჩება შთაბეჭდილება, რომ ნაკრებში არსებული დამთრგუნველი ატმოსფეროს შეცვლა ძალიან რთული იქნება.**

- მესმის, რომ დღეს რთული ვითარებაა, მაგრამ რაღაც ხომ უნდა მოვიმოქმედოთ?

**- ნაკრებზეა ლაპარაკი და შეუძლებელია, მთავარი მწვრთნელის საკითხს გვერდი ავუაროთ. ექტორ კუპერის წასვლა-დარჩენაზე რას ფიქრობთ?**

- აქ, კონკრეტული პიროვნების ცუდ მწვრთნელობაზე ლაპარაკი უადგილოა. უბრალოდ, უნდა დავსვათ ასეთი კითხვა - გვაქვს კი უახლოეს წლებში მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე გასვლის შანსები? გულახდილად ვთქვათ - თუ ასეთი შანსი არ არსებობს, მაშინ უცხოელი სპეციალისტი არა ეროვნულ, არამედ რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში უნდა დაინიშნოს. ვფიქრობ, ასე უფრო გამართლებული იქნებოდა. ჩვენი მოთამაშეები ადრეულ ასაკში შეეჩვევიან სათამაშო დისციპლინას, თანამედროვე ტაქტიკურ და თეორიულ ცოდნას შეიძენენ. თუ თაობები არ გაიზრდებიან, ეროვნულში ძვირად ღირებულ, მაღალი კლასის მწვრთნელს დავნიშნავთ თუ უცოდინარ ქართველს, შედეგი მაინც ერთი და იგივე იქნება. ჯგუფში ბოლო ადგილზე გასასვლელად სულაც არ არის საჭირო მაღალკვალიფიციური უცხოელი სპეციალისტი. თუ შედეგი არ გვაქვს, გამოდის, რომ ფულს წყალში ვყრით. სწორად გამიგეთ, კუპერის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, კაცი გულიანად მუშაობს, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და ტოპ-მიოლერივით გულგრილი არ არის. უბრალოდ, ის ვერაფერს შეცვლის და ამიტომაც არ აქვს აზრი მის მუშაობას. ბოლოს და ბოლოს, გაცილებით ნაკლებ თანხაზე მუშაობდა ალენ ჟირესი და უკეთესი გუნდი ჰყავდა, ახლა კი გაბონის ნაკრებშია და ამ გუნდს აშკარა პროგრესი აქვს - ფიფას რეიტინგში 30-ე ადგილზე აღზევდნენ. არა მგონია, უცხოელი მწვრთნელი პანაცეა იყოს, რომელიმე ქართველი სპეციალისტის მოყვანაც მისაღებად მიმაჩნია.

**- სახელმწიფო პროგრამის თაობაზე რას გვეტყვით?**

- პროგრამა უნდა დარჩეს, მაგრამ პრიორიტეტებია შესაცვლელი. სახლის მშენებლობა საფუძვლიდან უნდა დავიწყოთ და არა სახურავიდან. ეს ხომ ელემენტარულია...

ოლიმპი



გია მეგრელაძე

# მეგრელაძეც მწყობრშია

**გუშინ** უთენია რუსთავის „ოლიმპი“ სტამბოლის გავლით ფარერის კუნძულებზე გაემგზავრა. თუმცა არა მხოლოდ სტამბოლი - დანიშნულების ადგილამდე ქართულ დელეგაციას კოპენჰაგენშიც მოუწევს ჩასვლა, საიდანაც ფარერების დედაქალაქ ტორსჰავნამდე უნდა მივიდეს.

„ბ 36 ტორსჰავნსა“ და „ოლიმპს“ შორის ევროპის ლიგის საპასუხო მატჩი ხვალ, 9 ივლისს, თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება. რუსთაველთა მთავარი მწვრთნელის **ვარლამ კილასონიას** განკარგულებაში 16 ფეხბურთელია. დისკვალიფიკაციის გამო, მატჩს „ოლიმპის“ კაპიტანი **შოთა ბაბუნაშვილი** გამოტოვებს. ტრავმის გამო, გუნდს ვერც თავდამსხმელი **კოკა მიკუჩაძე** დაეხმარება. საქართველოში დატოვეს ორი ახალგაზრდაც - ნახევარმცველები **გიორგი გორდეზიანი** და **დავით კაკულია**. სამაგიეროდ, მომჯობინდა რუსთაველთა მთავარი მეგოლე **გია მეგრელაძე** და ფარერის კუნძულებზე გაემგზავრა.

ასე რომ, „ოლიმპში“ დანაკლისია, მაგრამ „ბ 36 ტორსჰავნის“ დასამარცხებლად ეს შემადგენლობაც საკმარისი უნდა იყოს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლეგიონერი

# გადაწყდა, მჭედლიძე ძენგასთან

## ნაკრების ფორვარდი აგვისტოში კანადაში მიდის

მოგეხსენებათ, ამ 2-3 კვირის წინათ „ემპოლისა" და „პალერმოს" ხელმძღვანელები **ლევან მჭედლიძის** თაობაზე შეხვდნენ ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ მჭედლიძე ემპოლელთა გუნდს ეკუთვნის და სიცილიაში მხოლოდ განათხოვრების წესით ასპარეზობს. იმ შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ და ლევანის საიჯარო ვადა კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდებოდა. ეს კი, მაგრამ საბოლოო სიტყვა თავად ფეხბურთელზე იყო. გასულ სეზონში მჭედლიძემ სერია A-ს მხოლოდ 9 მატჩში მიიღო მონაწილეობა. უთამაშებლობის გამო საქართველოს ნაკრების 19 წლის ფორვარდი კლუბის შეცვლაზეც ფიქრობდა და თითქოს მთხოვნელებიც ჰყავდა. მისით დაინტერესებულ კლუბებს შორის კი „ლაციო" (რომლის თავკაციც, ამ სეზონიდან, „პალერმოს" ყოფილი მწვრთნელი **დევიდე ბალარდინია** - ავტ.) და იტალიის მთავარ ლიგაში დაბრუნებული „პარმა". ერთი სიტყვით, ფეხბურთელსა და „პალერმოს" შორის მოლაპარაკებები ამ რამდენიმე დღის წინ დაიწყო. თუ მხარეები მორიგდებოდნენ ლევანი პალერმოში დარჩებოდა, თუ არა და სხვა გუნდში მისი გადასვლა იყო მოსალოდნელი.

მჭედლიძის შესახებ იტალიურმა წყაროებმა გუშინ მორიგი ინფორმაცია გაავრცელეს - მან „პალერმოში" დარჩენა გადაწყვიტა. გასაგებია, რომ მხარეებს შორის შეთანხმება შედგა, მაგრამ საინტერესოა კონკრეტულად, რა ნიუანსებს შეეხებოდა მოლაპარაკებები. ამ საკითხზე დავუკავშირდით ლევანის ძმას, **გიორგი მჭედლიძეს**, რომელიც ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა.

*„ჩემს ძმას მთხოვნელები კი ჰყავდა, მაგრამ როგორც თავად თქვა, ჯერ „პალერმოსგან" ელოდა პასუხს. მოლაპარაკებათა დასრულებამდე ლევანი სხვა კლუბებთან ლაპარაკს არ აპირებდა. ლევანს ეს პირობა არ დაურღვევია... ვადასტურებ, რომ მთხოვნელთა შორის ყველაზე მეტად „ლაციო" და „პარმა" აქტიურობდნენ... რაც შეეხება მოლაპარაკებებს, ამ პროცესში მე და ლევანის აგენტი დევიდე ტორკია ვიყავით ჩართული. ლევანს პირველ რიგში ის აინტერესებდა, თუ როგორ მოიაზრებდნენ გუნდში მის მომავალს. რა თქმა უნდა, საუბარი სათამაშო პრაქტიკისაც ეხებოდა... ერთი სიტყვით, „პალერმომ" ჩვენი ყველა პირობა დააკმაყოფილა და ლევანმაც დარჩენაზე საბოლოოდ თანხმობა განაცხადა"*, - გვითხრა გიორგი მჭედლიძემ.

„პალერმო" დღეს შეიკრიბება და ორიოდ დღეში ახალი სეზონისთვის მზადებასაც შეუდგება. ივლისის ბოლომდე სიცილიელები იტალიაში მოემზადებიან. აგვისტოს დასაწყისში კი ლევან მჭედლიძე და „პალერმო" კანადაში, საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ.

**დავით ცაბაძე**



ლევან მჭედლიძე

მგლები/ბაია



ჩისამბა ლუნგუ

# აჰა, ესეც ლუნგუ!

## აფრიკელის პირველი გოლი

**ბესიკ შეროზიას** გუნდი ურეკში მოსამზადებელ შეკრებას აგრძელებს. ზუგდიდელები დღეში ორჯერ ვარჯიშობენ. გუშინ კი შეროზიამ საღამოს მხოლოდ ავარჯიშა გუნდი, დილით კი შემადგენლობა ორად გაყო და ერთმანეთის წინააღმდეგ ათამაშა. როგორც ზუგდიდელთა თავკაცმა გვითხრა, პირობითად პირველმა შემადგენლობამ, მეორე კრებული 6:4 დაამარცხა. რაც შეეხება გოლებს. პირველი გუნდიდან ანგარიში ზამბიელმა ნახევარმცველმა **ჩისამბა ლუნგუმ** გახსნა **გულორდავამ** და **ხუციძემ** თითო გაიტანეს, **დავით ქირიამ** კი დუბლი მიითვალა. მეორე კრებულიდან **წურწუმიამ** და **კვეკვესკირმა** თითო გოლით გამოირჩნენ, ხოლო **რაფავამ** დუბლი შეასრულა.

*„ამ ეტაპზე ასე მიჯობს. მირჩევნია ერთმანეთის წინააღმდეგ ვათამაშო ჩემი ფეხბურთელები, ვიდრე რომელიმე სხვა გუნდთან გავმართო საკონტროლო შეხვედრა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესეც საკონტროლო მატჩი იყო. ასე ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშში, ფეხბურთელებს თავის გამოვლენის მეტი შესაძლებლობა აქვს. შესაბამისად უფრო უკეთ ჩანს ჩვენი პლუსი და ის თუ რომელ კომპონენტზე გვჭირდება მეტი მუშაობა, სად, რომელ პოზიციაზე უნდა გუნდს გაძლიერება. ამის გამო ვამჯობინე ერთმანეთში თამაში, თორემ სხვა გუნდებთან პაექრობას ნამდვილად არ გავურბივართ... რაც შეხება ზამბიელ ნახევარმცველ ჩისამბა ლუნგუს, მან ანგარიში გახსნა. ლუნგუს კიდევ შეეძლო გატანა. ის ჩინებულად წარმოჩნდა და რაც დრო გადის მით უფრო გვანონებს თავს"*, - გვითხრა შეროზიამ.

ზუგდიდელები დღეს და ხვალ კვლავ ორ-ორ ვარჯიშს ჩაატარებენ, პარასკევს ერთ წვრთნას დილით გამართავენ, ხოლო საღამოს „ბათუმს" ამხანაგურ შეხვედრაში გაეჯიბრებიან. ბესიკ შეროზიას გუნდი 11 ივლისს დილით ივარჯიშებს და გეზს ზუგდიდისკენ აიღებს. მომდევნო 7 დღის განმავლობაში შეროზიას გუნდი მშობლიურ ქალაქში მოემზადება.

**დავით ცაბაძე**

ევროპის ლიგა

ზესტაფონი-ლისბერნი

# კარგი თამაში და ბოლომდე ბრძოლაო...

## ფარერებზე სლოვაკები, იმერეთში რუმინელები

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრები 9 ივლისს გაიმართება. რუსთავში მოგერიებული 2:0-ის შემდეგ, „ოლიმპი" „ბ 36-ს" სტუმრად დაუპირისპირდება. ეს შეხვედრა გუნდადალურში, სტადიონ „ტორსჰავნზე" ადგილობრივი დროით 18 საათზე (21 საათი თბილისის დროით) დაიწყება. თამაშს სლოვაკი მსაჯები გაუძღვებიან. არბიტრი **მარიო ვილკია**, ასისტენტები - **რომან კშაბაი** და **რადომირ სლუკი**. მეოთხე მსაჯი **ვლადიმირ ვინუკი** იქნება. უეფას დელეგატი უელსელი **ფილიპ რიჩარდია**, მსაჯთა დამკვირვებელი კი ჰოლანდიელი **რაინ კოოპმანი**.

რაც შეეხება იმერლებს, ჩრდილოეთ ირლანდიაში 5:1 მოგების შემდეგ, „ზესტაფონი"-„ლისბერნის" მატჩს ფორმალური ხასიათიღა აქვს. შეხვედრა ჩვენი დროით 17 საათზე დაიწყება და რუმინელები იმსაჯებენ. არბიტრი **ვიორელ კონსტანტინუა**, ასისტენტები **კონსტანტინ ნიცა** და **ადრიან ვიდანი**, ხოლო მეოთხე მსაჯი **გეორგ იონესკუ** იქნება. უეფას დელეგატობა ჩეხ **პეტრ ფიშეკს** დაევალა, მსაჯთა დამკვირვებლის ფუნქციას კი მოლდოველი **ვლადიმირ ანტონოვი** შეასრულებს.

დაბოლოს, როგორც გავიგეთ „ლისბერნი" გუშინ გამოფრინდა ჩრდილოეთ ირლანდიიდან. მეტოქე თბილისში სტამბოლის გავლით გამოემგზავრა და გამთენიისას გვეწვია. **ჯიმი ბრაუნის** გუნდი სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდა და დღეს საღამოს პირველ ვარჯიშს გამართავს. ლისბერნელები ზესტაფონში თამაშის დღეს, 9 ივლისს დილით გაემგზავრებიან. „ლისბერნის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ჩრდილოეთ ირლანდიაში ბრაუნის გუნდისგან კარგ თამაშსა და ბოლომდე ბრძოლას ელიან. თუმცა 1:5-ს რას უშველიან...

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერები

# ბარსელონა ორი ქართველით მოიხიბლა

## კომახიძესა და ცინცქილაძეს ოქტომბერში ელოდებიან

ამ რამდენიმე დღის წინ, ორი ჭაბუკი ქართველი ფეხბურთელი ანდორადან დაბრუნდა. როგორც შევიტყვეთ, ისინი ანდორაში „ბარსელონას" მიერ იყვნენ მიწვეულნი და ჭაბუკთა შორის გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ. ჩვენი ინფორმაციით, მარცხენა ნახევარმცველი **ირაკლი კომახიძე** და ცენტრფორვარდი **საბა ცინცქილაძე** ანდორაში სახელგანთქმულმა **რევაზ ჩელებაძემ** წაიყვანა. უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩელებაძე სატრანსფერო საკითხებზე მუშაობს. სხვათა შორის, სწორედ ჩელებაძის მეშვეობით მოხდა თავის დროზე მოსკოვის „სპარტაკში" ჭაბუკთა ნაკრების ფორვარდ **ჯანო ანანიძის** ჩარიცხვა.

დავადგინეთ ისიც, რომ ირაკლი კომახიძე ქობულეთის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და „შუქურაში" ასპარეზობს. მისი მამა გია კომახიძე, ყოფილი ფეხბურთელია, ამჟამად კი ქობულეთში ბავშვთა გუნდს ავარჯიშებს. რაც შეეხება საბა ცინცქილაძეს, ის ბათუმელია და „ლუკაში" გამოდის.

კომახიძემ და ცინცქილაძემ 3-3 მატჩი ითამაშეს. „ბარსელონას" სკაუტების რჩევით, ქართველი ჭაბუკები სხვადასხვა გუნდში გაამწესეს და მათ ერთმანეთის წინააღმდეგაც მოუწიათ თამაშმა. კატალონიური გრანდის სელექციონერი, „ბარსას" ყოფილი მოთამაშე **ხუან მარტინეს ველასეკა** ქართველი ჭაბუკებით აღფრთოვანებულა. სხვათა შორის, სწორედ ველასეკას სახელს უკავშირდება **ინიესტას, პუიოლისა** და **კრკიჩის** ამ დონის ფეხბურთელებად ჩამოყალიბება.

*„ანდორაში ჩატარებული ეს ტურნირი „ბარსელონასა" და კიდევ ორი გრანდი კლუბის ინიციატივით მოეწყო და ჭაბუკთა შორის ტალანტების გამოვლენის საქმეს ემსახურებოდა. ანდორაში 50-მდე გამორჩეული ჭაბუკი ფეხბურთელი იყო სხვადასხვა ქვეყნიდან. საქართველოდან ირაკლი კომახიძე და საბა ცინცქილაძე მყავდა წაყვანილი. მათ სამ-სამ შეხვედრაში ითამაშეს. ერთმანეთის წინააღმდეგად გამოცადეს ეს ჭაბუკები. ცინცქილაძემ 3 მატჩში 10 გოლი გაიტანა და მთლიანად ტურნირზე გამორჩეული იყო. ასევე ყველას დაამახსოვრა თავი კომახიძემ. ის მარცხენა ნახევარმცველია 3 ბურთი გაიტანა და 5 საგოლე პასი მიითვალა. პირადად, თარჯიმნის მეშვეობით მქონდა საუბარი „ბარსელონას" სელექციონერ ხუან მარტინეს ველასეკასთან. მათ თავისი სავიზიტო ბარათი მომცა. ველასეკამ მითხრა, რომ ამ 50-მდე ჭაბუკიდან „ბარსელონა" რამდენიმეს აარჩევს და მათ ოქტომბრის ბოლოს ბარსელონაში მიიწვევს. კიდევ ერთ ტურნირზე გამოცდიან და მოწონების შემთხვევაში დაიტოვებენ. ველასეკამ მითხრა, რომ ის და „ბარსას" სხვა სელექციონერები აღფრთოვანებულები არიან კომახიძისა და ცინცქილაძის თამაშით. მათი ტექნიკურობით, აზროვნებით, გოლის ალღოთი და სხვა საფეხბურთო თვისებებით. ხუან მარტინეს ველასეკამ ბოლოს ოფიციალურად მითხრა, რომ ორივე ამ ფეხბურთელს ოქტომბრის ბოლოს ბარსელონაში ელის. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს კატალონიაში არანაკლებ ითამაშებენ. ასეთ შემთხვევაში კი „ბარსელონას" ჭაბუკთა გუნდში ჩასარიცხად კონტრაქტებს დაიმსახურებენ"*, - უთხრა „ლელოს" ჩელებაძემ.

**დავით ცაბაძე**

# სპარტაკი ჩელებაძესა და ძალამიძეს აკვირდება

ამ ბოლო ხანს, რუსული წყაროები ხშირად მოიხსენიებენ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ნახევარმცველ **ჯანო ანანიძეს**. ანანიძემ მწვრთნელთა მოწონება დაიმსახურა და ის „სპარტაკის" დუბლებიდან ძირითად გუნდში გადაიყვანეს. ანანიძის კარგი თამაშის შემდეგ მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელებს ქართველებისადმი ინტერესი მოეძალათ და „სპარტაკში" კიდევ ორი ახალგაზრდა ქართველი მოთამაშე გამოჩნდა. ჩვენი ინფორმაციით, 17-წლამდელთა ნაკრებში ჯანო ანანიძის თანაგუნდელები, ნახევარმცველები - **გიორგი ჩელებაძე** და **ნიკა ძალამიძე** „სპარტაკში" ტესტირებაზე არიან. შეგახსენებთ, რომ ჩელებაძე ბოლოს „ბათუმში" თამაშობდა, ძალამიძე კი „ბაიაში". ორივე მათგანმა, ანანიძესთან ერთად, მარტის ბოლოს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში იასპარეზა. ამ ჭაბუკების „სპარტაკში" ყოფნის ამბავი **რევაზ ჩელებაძემ** და ჯანოს მამამ, **ამირან ანანიძემაც** (რომელიც ამჟამად მოსკოვშია) დაგვიდასტურა. სამწუხაროდ, ჯანოსთან დაკავშირება გუშინ ვერ მოხერხდა...

როგორც გავიგეთ, „სპარტაკის" მწვრთნელები ჩელებაძესა და და ძალამიძეს კიდევ რამდენიმე დღე დააკვირდებიან. დადებითი პასუხის შემთხვევაში, მათ დაიტოვებენ და მთავარი გუნდისთვის დუბლებში მოამზადებენ.

რაც შეეხება ანანიძეს. „სპარტაკმა" უცხოური შეკრება დაასრულა და მოსკოვში დაბრუნდა. ჯანო კვლავ მთავარ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და „როსტოვთან" პრემიერლიგის გასვლითი მატჩისთვის (11 ივლისი) ემზადება. შეგახსენებთ, რომ 12 ტურის შემდეგ ჯანო ანანიძის „სპარტაკი" 20 ქულით მე-4 ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

## კობა ჟორჟიკაშვილი

# მწვრთნელებად იბადებიან...

## ანუ, რატომ არის მაგარი მოურინიო

**ყველა საქმეს ცოდნა უნდა. საქმე მოითხოვს, რომ არ ჩამორჩე თანამედროვე დინამიკას. რამდენიმე წლის წინათ უმეტესობა ქართველ მწვრთნელებს არ ჰქონდათ თანამედროვე განათლება და ბევრს ეგონა, რომ ფეხბურთში თითქმის ყველაფერი იცოდა. ასეთი მწვრთნელები საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც კი თავკაცობდნენ...**

**ახლა კი ამ მხრივ მართლაც არის უკეთესობა. მწვრთნელებს სწავლა არ ეთაკილებათ და არაერთმა ცნობილმა ფეხბურთელმაც გაირა ლიცენზირების კურსები, თუნდაც საქართველოს ნაკრების ყოფილმა დამრიგებელმა ვლადიმერ გუცაევმა.**

**მწვრთნელთა მომზადების საქმეს ფეხბურთის ფედერაციაში გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობს, ვისაც მწვრთნელ-ინსტრუქტორებიც ეხმარებიან. მათგან ერთ-ერთი კობა ჟორჟიკაშვილი გახლავთ, რომელსაც არაერთხელ გაუწვრთნია საქართველოს ესა თუ ის ასაკობრივი ნაკრები და წარმატებებიც ჰქონდა. ჟორჟიკაშვილს საქართველოში მწვრთნელთა ლიცენზირებაზე ვესაუბრეთ.**

**- ამ დროისთვის დაახლოებით რამდენი ლიცენზირებული მწვრთნელი ჰყავს საქართველოს? ცხადია, აქ სამივე ლიცენზიას ვგულისხმობ.**

- დაახლოებით 450 მწვრთნელს მივეცით სხვადასხვა კატეგორიის ლიცენზია. C ლიცენზიის კურსი 60 საათს მოიცავს და ეს დიპლომი ითვალისწინებს 6-დან 8 წლის ჩათვლით ასაკში ბავშვებთან მუშაობის უფლებას. ამ ასაკში მწვრთნელმა მხიარული ატმოსფერო უნდა შექმნას და უნდა ეცადოს, რომ ბავშვებს ფეხბურთი შეაყვაროს. B ლიცენზია მოიცავს 150 საათს. ლიცენზირების კურსებში ხელმძღვანელის და მწვრთნელ-ინსტრუქტორების გარდა არაერთი ლექტორია ჩართული. მაგალითად, ვალერი ახალკაცი ფიზიოლოგიას უკითხავს მწვრთნელებს, სპორტულ მედიცინას - დიმიტრი ზაალიშვილი, მსაჯობასა და თამაშის წესებზე ავთო შალამბერიძე ატარებს ლექციას, რამდენიმე საათი ფსიქოლოგიური ლექციებიც კი უტარდებათ ჩვენს მწვრთნელბს. მაგალითად, მოწვეული გვყავდა ისეთი ცნობილი ფსიქოლოგი, როგორიც რამაზ საყვარელიძეა და სხვა ფსიქოლოგებიც, რომლებიც სპორტთან ასეთ თუ ისე ახლოს არიან. ლიცენზირების კურსებზე უცხოეთიდანაც ჩამოდიან. ფრანკო ფერარი და ჟაკ დევიმი - ისინი უეფას ინსტრუქტორები არიან. ალბათ ყველამ იცის, თუ რა დონის ტაქტიკოსად ითვლება ფრანკო ფერარი...

**- B ლიცენზიის მწვრთნელს რომელ ასაკში აქვს მუშაობის უფლება?**

- B ლიცენზია უფლებას იძლევა 12-14 წლის მოზარდებში მუშაობისთვის. A ლიცენზია კი ამ ასაკის ზევით.

**- ერთია ლიცენზიები და საფეხურები - დოგმები უეფას ყველა ქვეყნისათვის?**

- არა, საქართველოში A ლიცენზიის მწვრთნელს შეუძლია უმაღლესი ლიგის გუნდის მთავარ მწვრთნელად მუშაობა, ევროპაში კი A ლიცენზის შეუძლია მთავარი მწვრთნელის ასისტენტობა. მაგალითად, ახლახან შოთა არველაძემ აიღო ჩვენთან A ლიცენზია და უფლება აქვს ევროპის ნებისმიერ ლიგაში იმუშაოს მთავარი მწვრთნელის ასისტენტად. ჩვენ მიერ გაცემულ ლიცენზიებს უეფას ლოგო აქვს და მწვრთნელს ყველა იმ ქვეყანაში შეუძლია ამ ლიცენზიით მუშაობა, რომლებიც უეფას კონვენციაში შედის, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ლიცენზიები და საფეხურები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამის დადგენის უფლება უეფას წევრ ასოციაციებს თვითონ აქვთ.

**- ლიცენზირების პროგრამა საერთოა თუ ამას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ადგენს?**

- ეს პროგრამა უეფას მიერ არის დამტკიცებული. ჩვენთან ჩამოსული იყო გერმანელი რუტემიულერი და კიდევ ერთი ესპანელი სტუმარი, რომლებმაც დაამტკიცეს ის პროგრამა, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ A ლიცენზიის კურსებზე. უეფას ყველა წევრ ასოციაციაში ეს პროცესი თავის კონტროლზე ჰყავს აყვანილი და ყველაფერი მისი ნებართვით ხდება.

**- ქართველი მწვრთნელი პროფლიცენზიისთვის უცხოეთში, უმეტესად უკრაინაში მიდიან. რატომ ვერ ხერხდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც კურსების ჩატარება?**

- პროფლიცენზირებისთვის სათანადო ნიადაგის მომზადებაა საჭირო. უნდა შევიმუშაოთ პროგრამა, მერე ის განიხილოს უეფამ, შეამოწმოს ყველაფერი და ამის შემდეგ მოგვცეს იმის ნება, რომ პროფლიცენზიის კურსები ჩავატაროთ. ერთი სიტყვით, შეუძლებელი არ არის, რომ საქართველოშიც გვქონდეს პროფლიცენზიის კურსები. უეფა არ კრძალავს იმას, რომ კურსებზე მოვიწვიოთ უცხოელი ინსტრუქტორები და მათ წაუკითხონ ლექციები ქართველ მწვრთნელებს. ამას წინათ ჩვენ ვიყავით შოტლანდიაში და ბელგიაში და დავინტერესდით, თუ როგორ მიდიოდა იქ ლიცენზირების პროცესი. აღმოჩნდა, რომ ჩვენი კურსი არაფრით არ ჩამოუვარდება მათ სასწავლო პროგრამას. ახლა კი უკრაინაში მივდივართ, რათა იქაც ვნახოთ, თუ როგორ მიმდინარეობს მწვრთნელთა ლიცენზირების პროცესი.

**- გარედან ისე ჩანს, თითქოს ლიცენზირების პროგრამამ ეფექტი უკვე მოიტანა. ქართულმა გუნდებმა აითვისეს ის, რისი ათვისებაც ადრე უჭირდათ. მაგრამ ამან მოიტანა მეორე მხარეც - თითქმის ყველა გუნდი და ყველა მწვრთნელი ერთმანეთს ჰგავს. რამდენად არის ამაში მწვრთნელთა ლიცენზირების კურსები „დამნაშავე“?**

- თითქმის სამი წელია, რაც მუდმივად მიმდინარეობს მწვრთნელთა ლიცენზირების პროცესი. ცხადია, ეს უნდა გაგრძელდეს. როცა მწვრთნელთა ლიცენზირებას ვიწყებდით, მთავარი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ ეს საქმე გამოდგომოდა გუნდებს, გაუმჯობესებულიყო გუნდების თამაში. მაგრამ ზოგადად, ფეხბურთისთვის მხოლოდ ეს არ კმარა - განათლების გარდა თვითმყოფადი ხელწერაცაა აუცილებელი, რისი სწავლაც მწვრთნელთა მომზადების კურსებზე შეუძლებელია. ნიჭიერ მწვრთნელთა დეფიციტი ყველგან არის, თუნდაც ინგლისი ავილოთ - ნაკრებისთვის მწვრთნელის შერჩევა გაუჭირდათ და მერე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფაბიო კაპელოს უხმეს.

**- იქნებ, კონკრეტულად ვთქვათ, რისი სწავლა არის შესაძლებელი კურსებზე და რა არის ის, რომელიც მწვრთნელს აქვს ან არ აქვს?**

- მწვრთნელად იბადებიან ისევე, როგორც ფეხბურთელებად. ნიჭიერ მწვრთნელსაც და ფეხბურთელსაც განვითარება სჭირდება. სწორად რეაგირება კონკრეტულ სიტუაციაზე, სწორი და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება, თამაშის გადაწყობა - ყველაფერი ეს მწვრთნელს თანდაყოლილად უნდა ჰქონდეს, ლიცენზირებაზე ამას ვერ ისწავლის. ავილოთ ჟოზე მოურინიო. გავრცელებული აზრით მას არა აქვს არანაირად განსაკუთრებული ფიზიკური თუ ტაქტიკური ვარჯიშები, მაგრამ ის სწავლობდა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე და ეს მას ძალიან ეხმარება. მოურინიოს ამა თუ იმ კლუბში ვარსკვლავებთან უწევდა მუშაობა და ზოგადად, ეს განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მწვრთნელისთვის, მაგრამ მოურინიოს ფსიქოლოგიური განათლება დიდად ეხმარება იმაში, რომ თითოეული ფეხბურთელიდან მაქსიმუმი მიიღოს, ფეხბურთელებთან სწორად იმუშაოს.

**- მწვრთნელთა განათლების კურსებზე ნებისმიერ მსურველს შეუძლია საბუთების შეტანა თუ მას აუცილებლად ფეხბურთი უნდა ჰქონდეს ნათამაშები რალაც დონეზე? ალბათ, არავისთვისაა ინტერესმოკლებული, თუ როგორ მიმდინარეობს მწვრთნელთა მომზადების პროცესი...**

- მწვრთნელობა არის პროფესია დ ამას ვერავის ვერ ავუკრძალავთ. თუმცა სასურველია, რომ მომავალ მწვრთნელს ფეხბურთი რალაც დონეზე მაინც ჰქონდეს ნათამაშები. C ლიცენზიის მიღებას მინიმუმ ერთი წელი სჭირდება, B ლიცენზიის მისაღებად C ლიცენზიის მქონე მწვრთნელმა პროფილის მიხედვით უნდა იმუშაოს და სამუშაო გამოცდილების შემდეგ შეუძლია აპლიკაციის შეტანა B ლიცენზიაზე. ამავე პრინციპით ხდება გადასვლა A-დან პროფლიცენზიაზე. ანუ ეს არის პროცესი, რომელიც არ უნდა შეწყდეს. გარდა ამისა, მნიშვნელობა ენიჭება ქულებს. ანუ არსებობს მინიმალური ქულები, რის მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია გავცეთ მაგალითად B ლიცენზია, მაგრამ თუ დაბალი ქულების მიხედვით არის ლიცენზია გაცემული, ასეთ მწვრთნელს არ ექნება უფლება, რომ აპლიკაცია შეიტანოს უფრო მაღალ ლიცენზიაზე. მწვრთნელთა ლიცენზირება საკმაოდ შრომატევადი პროცესია თვითონ კურსანტებისთვისაც. დილის 9 საათიდან საღამოს 6 სათამდე მათ ლექციებზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე უწევთ ყოფნა.

**- ლიცენზირება, როგორც ვიცით, ფასიანია. რამდენად ხელმისაწვდომია ის ყველასათვის?**

- ადრე ლიცინზირება უფასო იყო, მაგრამ უეფას მოთხოვნაა, რომ სწავლა ფასიანი გახდეს და ამის გამო თითოეულ ლიცენზიაზე კონკრეტული თანხაა დაწესებული. C ლიცენზიაზე სწავლა 200 ლარი ღირს, B-ზე - 400, A-ზე კი - 1500. უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში კი სწავლის საფასური 5 ათასი ევროა.

**- ფსიქოლოგიის თემას დავუბრუნდებით. ზოგი მიიჩნევს, რომ მწვრთნელი თვითონ უნდა იყოს მოწოდებით ფსიქოლოგი და მას არანაირი ფსიქოლოგიური განათლება არ სჭირდება. ასეთ შეხედულებას არ ეთანხმებით?**

- ვეთანხმები იმას, რომ მწვრთნელი თვითონ უნდა იყოს ფსიქოლოგი, მაგრამ მას ელემენტარული ფსიქოლოგიური განათლება ალბათ სჭირდება, რათა კარგად დაელაპარაკოს ფეხბურთელებს და შეუქმნას მათ სათანადო მოტივაცია. მწვრთნელის სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. სიტყვა ფაქტობრივად ენერგეტიკულ წყაროს წარმოადგენს მწვრთნელისთვის და ასეთ დროს მწვრთნელს ელემენტარული წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიის საფუძვლებზე და ამისათვის საკუთარ თავზეც უნდა იმუშაოს.

**- მწვრთნელის ურთიერთობა მედიასთან - ფაქტია, რომ ამ საქმეში ზოგ მწვრთნელს აქვს პრობლემა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, საერთოდ. არის თუ არა ეს გათვალისწინებული მწვრთნელთა ლიცენზირების კურსებში?**

- სხვათა შორის, სწორედ ამის გამო კურსებზე მოწვეული გვყავდა ლაშა ტუღუში, გვინდოდა, რომ ჟურნალისტები იმისთვისაც მოგვეწვია კურსებზე, რომ მათ უფრო კარგად ჩაეხედათ სამწვრთნელო საქმეში და ყველაფერი ეს დახმარებოდათ საფეხბურთო მოვლენების გაშუქებაში. იყო ასეთი იდეა, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა...

**დავით თავართქილაძე**

ბავშვთა ფეხბურთი

გივი ჩოხელის თასი

# რელიქვია კისისხევში

**გივი ჩოხელის** მშობლიური ქალაქი, მისი დაბადების დღე, მისი სახელობის სტადიონი და მისი სახელობის თასის გათამაშების ფინალური მატჩი... თუმცა მანამდე იყო დიდი ფეხბურთელის შედარებით ხანმოკლე სპორტული კარიერა და ასევე დიდი კაცის ხანმოკლე მიწიერი სიცოცხლე. მაინც ბევრი რამ მოასწრო - მსოფლიოს ჩემპიონატიც და ევროპის პირველი ჩემპიონატის ოქროც... არასპორტული კი - იყო იმდროინდელი თანამდებობის პირის არატიპური სახე, რაც კიდევ უფრო მატებდა ადამიანურობის იმიჯს, ისედაც დადებითი იმიჯის მქონე კაცს. ამაყია ქალაქი, როცა ასეთი კაცი ჰყავს გაზრდილი...

ჩოხელის სახელობის რიგით მე-40 ლონისძიების ფინალური მატჩის მონაწილეებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა და ოჯახის წევრებმა თამაშამდე ყვავილებით შეამკეს ფეხბურთელის ძეგლი. ყმაწვილებს კი ჩოხელის მაგალითზე სიარულისკენ მოუწოდეს...

რაიონის საჯარო სკოლების მიმდინარე თასის გათამაშებაში 23 გუნდი ტერიტორიული პრინციპით განითესა. პლეი ოფში ქალაქის მესამე და მეხუთე, სოფლების - ფშავლის, კისისხევისა და რუისპირის სკოლების გუნდებმა გაალწიეს. მათგან კი ქალაქის მესამე და ისტორიული ძეგლების სიმრავლით ალბათ საქართველოს „ჩემპიონმა“ კისისხეველებმა იმარჯვეს. ნახევარფინალში მათ, შესაბამისად, რუისპირელებსა და მეხუთესკოლელებს სძლიეს და საკმაოდ დიდი აუდიტორიის წინაშე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ.

იყო ტრანსპარანტები, ყიჟინა და სკოლების დირექტორთა გულისხეთქვა...

ფავორიტებად ქალაქელები მიიჩნეოდნენ. მათ ტექნიკას სოფელმა ძალა და მოტივაცია დაუპირისპირა. მესამე სკოლა დებიუტშივე დაწინაურდა. თუმცა მეორე ტაიმში უკვე მდევრის როლში აღმოჩნდა. და მათ მაინც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება - 2:2 გამარჯვებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა. პენალტების სერიაში კი კისისხეველებმა იმარჯვეს და გივი ჩოხელის ოჯახის რელიკვია, 1959 წელს მოსკოვში, „სპარტაკთან“ მოპოვებული საუკეთესო მოთამაშის პრიზი - ვერცხლის თასი, ერთი წლით ჩაიბარეს (თასი გარდამავალია).

შემდეგ კი იყო მწუხრიანი და ხალისიანი მოგონებები და შესაბამისი სადღეგრძელოებიც...

**ნიკო ვაჟელიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მილანი

# პროტესტი!

## მილანის ტიფოზების აქცია. როსონერის ახალი კაპიტანი კი ამბროზინია...

გუშინ „მილანელოზე" დიდი ამბები იყო. „როსონერიმ" ახალი სეზონისთვის სამზადისი დაიწყო და პირველმა ვარჯიშმა ვნებათაღელვაში ჩაიარა. გუნდის საწვრთნელ ბაზას რამდენიმე ასეული გულშემატკივარი ესტუმრა, რომლებმაც კლუბის მესვეურებს ობსტრუქცია მოუწყვეს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს თუ რამ გამოიწვია ტიფოზთა ასეთი საქციელი. ბუნებრივია, ისინი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას აპროტესტებენ. ამ ზაფხულს „როსონერიში" არც ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი არ გადასულა, სამაგიეროდ **კაკა** წავიდა „რეალში" და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გასხვისებაზეა საუბარი. იტალიელი ჟურნალისტების გადმოცემით, ტიფოზებმა ბაზაზე აალებადი შაშხანები ისროლეს და ვარჯიშის პროცესი კარგა ხნით შეაფერხეს.

შეძრწუნებული ჩანდა **ლეონარდო**, რომელიც თავის პირველ ვარჯიშს ატარებდა. ბუნებრივია, არცთუ სასიამოვნოა ასეთ გარემოში მუშაობის დაწყება. პრესასთან საუბარში ბრაზილიელმა შემდეგი განაცხადა:

*„გულშემატკივრების გარკვეული ნაწილი აღშფოთებულია და ეს ნორმალურად მეჩვენება, მაგრამ აგრესია ყოვლად დაუშვებელია. არც მე ვარ კაკას გასხვისებაში დამნაშავე და არც ჩემი შეგირდები. მიკვირს, რომ გარკვეული აგრესია ჩვენი მისამართითაც წამოვიდა. მინდა მოვუწოდო მათ, რომ უფრო რაციონალურად შეხედონ მოვლენებს და თავი ხელში აიყვანონ. „მილანი" დღესაც უძლიერესი გუნდია, შემსრულებლების ნაკლებობას არ ვუჩივით და მომავალ სეზონში დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ".*

ლეონარდომ ერთ ძალიან მნიშვნელოვან კითხვას გასცა პასუხი, ბრაზილიელმა **პაოლო მალდინის** მემკვიდრე, ანუ გუნდის ახალი კაპიტანი დაასახელა: *„ამ საკითხზე ბევრი ნამდვილად არ მიფიქრია. „მილანს" ნამდვილად ღირსეული კაპიტანი ეყოლება - მასიმო ამბროზინი. მას ყველა ის თვისება აქვს, რომელიც გუნდის თავს სჭირდება. ის მებრძოლია, მოედნის კარგი ხედვა აქვს და შინაგანად ლიდერია. დარწმუნებული ვარ, მისი კაპიტნობით, გუნდი დიდ წარმატებებს მიაღწევს. მასიმოსთან სულ მალე ახალი კონტრაქტი გაფორმდება და ეს ძალიან კარგია. მას აქვს გამარჯვებულის მენტალიტეტი, რაც მუდამ თან სდევთ ნამდვილ მილანელებს. როდესაც ამბროზინის ვუყურებ, ფრანკო ბარეზი, პაოლო მალდინი, ალესანდრო კოსტაკურტა და დემეტრიო ალბერტინი მახსენდება".*

ამბროზინიმ გუშინ მინიბრიფინგი მოაწყო და მასმედიის წარმომადგენლებს თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა:

*„გულშემატკივრების აღშფოთება გასაგებია, მეც ძალიან დამწყდა გული, როდესაც კაკას წასვლის ამბავი გავიგე. თუმცა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი გუნდი ისედაც საკმარისად ძლიერია და განგაშის საფუძველს ვერ ვხედავ. მომავალ სეზონში ყველა იმ ტურნირის მოგებას შევეცდებით, რომელშიც მონაწილეობას მივიღებთ. კაპიტნის სამკლავურმა დიდი სიხარული და სიამაყის გრძნობა მომიტანა. იყო „როსონერის" გუნდის თავი, ეს მართლაც ფანტასტიკური გრძნობაა. თანაც, მე ისეთი დიდი ფეხბურთელების მემკვიდრე ვარ, როგორებიც ფრანკო ბარეზი და პაოლო მალდინი არიან. პაოლოს შემდეგ, სამკლავურის მორგება, ჩემთვის უდიდესი პატივია. აქვე მინდა დავძინო, რომ გუნდის კაპიტნობას არანაკლებ იმსახურებენ ჯენარო გატუზო, ანდრეა პირლო და ფილიპო ინძაგი. ვფიქრობ, რომ იქნება შეხვედრები, რომლებშიც სწორედ ისინი უკაპიტნებენ გუნდს".*

მასიმოს კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაზეც დაეკითხნენ: *„ჩემი საქმე სატრანსფერო პოლიტიკის ანალიზი ნამდვილად არ არის. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ კაკას წასვლა ძალიან მეწყინა, მაგრამ არის პროცესები, რომლებსაც წინ ვერ აღუდგები. ამის გამო ან უნდა ვინერვიულოთ და ყურები ჩამოვყაროთ, ანაც წინ გავიხედოთ და მომავალს ოპტიმიზმით შევხედოთ. თხუთმეტი წელია „მილანში" ვასპარეზობ, ამ ხნის განმავლობაში ბევრი ფეხბურთელი წასულა და მოსულა, თუმცა „როსონერის" გეგმები არასდროს იცვლებოდა - მხოლოდ გამარჯვება. ალბათ, ყველას გახსოვთ ანდრეი შევჩენკოს „ჩელსიში" გადასვლის პერიპეტიები, მაშინაც პესიმისტურად განეწყვნენ ქომაგები, თუმცა მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ. ასე რომ, მთავარი გუნდური სიძლიერეა, რომელიც „მილანს" არასდროს აკლდა".*




### მილანმა ონიევუ აიყვანა

აშშ-ს ნაკრების 27 წლის ცენტრალური მცველი, ნიგერიული წარმოშობის **ოგუჩი ონიევუ** „მილანის" საკუთრება გახდა. ფეხბურთელი, რომელსაც ბელგიური პასპორტიც აქვს, ბოლოს ამ ქვეყნის ჩემპიონ „სტანდარდში" თამაშობდა. მან ყურადღება მიიპყრო ახლახან ჩატარებულ კონფედერაციათა თასზე, სადაც აშშ-ს ნაკრებმა ფინალში გააღწია. ადრე ონიევუს „ნიუკასლსა" და „მეცშიც" უთამაშია.

**ლაშა ნიკლაური**

ფიორენტინა



მარკო მარკიონი

# მარკიონი ვიოლასია

## აქაც პროტესტი: არ გაყიდოთ მელო!

გუშინ გაუწყეთ, **ფელიპე მელოს** „იუვენტუსში" გადასვლას, შესაძლოა, **მარკო მარკიონის** „ფიორენტინაში" გადაბარგება მოჰყვეს-თქო. მელოს ამბავი ჯერ არ გადაწყვეტილა, სამაგიეროდ მარკიონის ამბავი გაირკვა და შეგვიძლია თამამად ვთქვთ, რომ ის უკვე „ვიოლას" ფეხბურთელია. ამის შესახებ, „ფიორენტინას" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. თავად მარკოს ეს ამბავი არ დაუდასტურებია. მეტიც, აღნიშნა - ხელშეკრულებისთვის ხელი არ მომიწერია და ჯერ ნუ ვიჩქარებთო, მაგრამ „ფიორენტინას" ოფიციალური ვებგვერდი მაინც სანდო წყაროდ გვეჩვენება და გარიგება შემდგარად უნდა მივიჩნიოთ.

28 წლის ნახევარმცველმა გასული სეზონი საკმაოდ კარგად ჩაატარა და „ვეკია სენიორას" ახალ მწვრთნელ **ჩირო ფერარას** სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის გარანტია მოსთხოვა. ჩიროსგან ასეთი გარანტია ვერ მიიღო და შესაბამისად, ფლორენციელთა წინადადებას დიდი სიამოვნებით დათანხმდა. იტალიური პრესის ცნობით, ფეხბურთელში დელა ვალეებმა მხოლოდ და მხოლოდ ორი მილიონი ევრო გადაიხადეს. თუმცა, მარკიონის სატრანსფერო უფლებების ნახევარი კვლავაც „იუვენტუსს" ეკუთვნის.

ჟურნალისტთა მტკიცებით, ამ ტრანსფერმა ფელიპე მელო კიდევ უფრო დაახლოვა ტურინის „იუვენტუსს". საყოველთაო ვარაუდით, უახლოეს დღეებში მხარეები შეთანხმების შესახებ გააცხადებენ და ხელშეკრულებაც გაფორმდება. მელოს შესაძლო გასხვისებას აპროტესტებენ „ფიორენტინას" გულშემატკივრები და სავარაუდოდ ხვალ, კლუბის ოფისთან ხალხმრავალ აქციას გამართავენ. ქომაგები კატეგორიულად მოითხოვენ მელოს შენარჩუნებას, თავად ფეხბურთელს კლუბისადმი ერთგულებისკენ მოუწოდებენ. მაგალითად, უკვე ცნობილია ყველაზე დიდი ბანერის ტექსტი, რომელსაც ოფისთან გაშლიან. მასზე ეწერება: Melo e la sua fede, რაც თარგმანში დაახლოებით შემდეგს ნიშნავს: „მელო და მისი რწმენა". აქ, ძაღლის თავი ასო e-შია დამალული, რომელიც ფულადი ერთეულის, ევროს ლოგოტიპის მსგავსად არის გათამაშებული. ალბათ გასაგებია, რომ ბრაზილიელზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება, რომ მან „ფიორენტინა" დიდ ფულზე არ გაცვალოს.

იტალიელი ჟურნალისტები „ფიორენტინას" და „იუვენტუსის" ისტორიულ მტრობას იხსენებენ, რომელიც უკვე ათწლეულებია გრძელდება. 1990 წელს, „ვიოლადან" „იუვეში" **რობერტო ბაჯო** გადავიდა, რამაც მაშინ ტიფოზების არნახული აღშფოთება გამოიწვია. მართალია, მელოს დიდ ცხენისკუდას ვერ შევადარებთ, მაგრამ პარალელის გავლება მაინც შესაძლებელია.

„ფიორენტინას" გულშემატკივრებისგან განსხვავებით საკმაოდ კარგ ხასიათზე უნდა იყვნენ „იუვეს" ტიფოზები. გუნდი გაძლიერებას განაგრძობს და როგორც ჩანს, გაჩერებას არც მომავალში აპირებს. ამის შესახებ, პრესასთან საუბარში „ბებერი ქალბატონის" მმართველი კომპანიის პრეზიდენტმა, ჯონ ელკანმა განაცხადა: *„სატრანსფერო ბაზარზე საკმაოდ აქტიურები ვართ, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ არის. თუ გვინდა, რომ კონკურენტებს ღირსეულად დავუპირისპირდეთ, გუნდი კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ. მელოს გადმობირებასთან ძალიან ახლოს ვართ და ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა. გარდა ამისა, გვაქვს მოლაპარაკებები კიდევ რამდენიმე მაღალკვალიფიციურ ფეხბურთელთან. გვარებს ვერ დავასახელებ, თუმცა გეტყვით, რომ სახელგავარდნილ მოთამაშეებზე მაქვს საუბარი".*

**ლაშა ნიკლაური**

იტალიის ნაკრები

# ლიპი დილემის წინაშე

**ფრანჩესკო ტოტიმ** რომ კიდევ ერთხელ დააფიქსირა ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების სურვილი, ამის შესახებ უკვე გაუწყეთ. გუშინ, „რომას" კაპიტნის სურვილს სკუადრა აძურას მთავარი მწვრთნელი, **მარჩელო ლიპი** გამოეხმაურა. მაესტრომ საკმაოდ თბილად ისაუბრა პუპონეზე, თუმცა მისთვის არავითარი პირობა არ მიუცია:

*„ტოტი დიდი ფეხბურთელია, რომლის მსგავსიც ჩემს ცხოვრებაში თითზე ჩამოსათვლელი მინახავს. რაც მთავარია, ფრანჩესკო შესანიშნავი ადამიანია და მასთან ურთიერთობა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მივესალმები მის სურვილს, დაბრუნდეს ეროვნულ გუნდში, თუმცა ჯერ ამ საკითხზე სხვას ვერაფერს გეტყვით. კონფედერაციათა თასზე ძალიან ცუდად ვიასპარეზეთ და ახლა განვლილი პაექრობების ანალიზით ვარ დაკავებული. ვცდილობ, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონო და სამომავლო გეგმები დავსახო".*

ჟურნალისტთა ვარაუდით, ლიპი დილემის წინაშე დგას. ან ძველ გვარდიას უნდა ენდოს, ანაც აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთოს. ექსპერტთა დიდი ნაწილი ეროვნული გუნდის გაახალგაზრდავების მომხრეა და მაესტროს სწორედ ამისკენ მოუწოდებს. გულშემატკივრებს კი აძურაში **ალესანდრო დელ პიეროს** და ფრანჩესკო ტოტის დაბრუნება სურთ. ვნახოთ, სიტყვა ლიპიზეა, სწორედ მან უნდა განსაზღვროს იტალიის ნაკრების საკადრო პოლიტიკა.

**ლაშა ნიკლაური**


მარჩელო ლიპი

სატრანსფერო ამბები

# მილანიდან მადრიდისკენ

მადრიდის „ატლეტიკო" არგენტინელი თავდამსხმელის, **ხულიო კრუსის** შეძენით დაინტერესებულა - 34 წლის ვეტერანი ამჟამად თავისუფალი აგენტი გახლავთ, რადგან „ინტერთან" კონტრაქტის ვადა ახლახან ამოეწურა. „ნერაძურის" შემადგენლობაში კრუსი 2003-2009 წლებში თამაშობდა.

ფეხბურთელის საქმეების მოსაგვარებლად მადრიდში მისი აგენტი, **ხორხე სიტერსპილერი** ჩაბრძანებულა. რამდენადაც ცნობილია, არგენტინის ნაკრების ყოფილ ფორვარდს, „ატლეტიკოს" გარდა, სამი იტალიური კლუბი - „რომა", „ფიორენტინა" და „ნაპოლიც" უტრიალებს. სიტერსპილერის განცხადებით, თავად კრუსი ამჟამად შვებულებაშია და საქმეს იქიდან ეცნობა. საბოლოო პასუხს ორი კვირის განმავლობაში გავიგებთ.

არგენტინის ნაკრებში კრუსს 22 შეხვედრაში 4 გოლი აქვს გატანილი. უთამაშია „ბანფილდში", „რივერ პლეიტში", „ფეიენოორდში", „ბოლონიასა" და ზემოხსენებულ „ინტერში".

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭრანსფერო აურზაური. იტალია

# აპენინური ფაცი-ფუცი

## მარადიული ქალაქი ჯერჯერობით დუმს, სამაგიეროდ გენუაში დიდი ორომტრიალია

მილანის „ინტერმა“ იტალიაში უკვე ძალიან „გაიჯეჯილა“ და „სკუდეტოს“ „სკუდეტოზე“ იგებს. შესაბამისად, „ნერაძურის“ კონკურენტები კიდევ ერთხელ ირაზმებიან და უნდათ, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ „ინტერის“ ჰეგემონია დაამხონ. იმ დროს, როცა ტურინის „იუვენტუსმა“ უკვე შეიძინა დიეგო და ფაბიო კანავარო, „მილანი“ ჯერჯერობით ნაკლებად აქტიურობს. თითქმის უმოქმედოდ არიან „ფიორენტინა“ და „რომაც“. სამაგიეროდ, სატრანსფერო ციებ-ცხელებაში დიდი შემართებითაა ჩართული „ჯენოა“. მოდით, ერთად გადავხედოთ, რა ხდება იტალიურ გრანდებში.

### ინტერი

**მომხდარი:** „ინტერმა“ „ჯენოადან“ **დიეგო მილიტო** და **ტიაგო მოტა** გადაიბირა. ამას გარდა, „ნერაძურიში“ დაბრუნდნენ **რიკარდო კვარეშმა** („ჩელსიში“ იყო განათხოვრებული) და **დავიდ სუასოც** („ბენფიკაში“ იყო არენდით). „ინტერი“ დატოვეს **ერნან კრესპომ** (ჯენოა), **ლუიშ ფიგუმ** (კარიერა დაამთავრა), **ხულიო კრუსმა** (კონტრაქტი არ გაუგრძელეს), **ლუის ხიმენესმა** („ვესტ ჰემში“ გაანათხოვრეს), **რობერტ აკვაფრესკამ** და **ფრანჩესკო ბოლძონიმ** (ორივე „ჯენოაში“ გაანათხოვრეს). ვეტერანმა **მარკო მატერაციმ** კი კონტრაქტი 2012 წლამდე გაახანგრძლივა.

**მოსახდენი:** **ჟოზე მოურინიო** პირდაპირ ამბობს, კიდევ ერთი მცველი, ნახევარმცველი და თავდამსხმელი მჭირდებაო. მოურინიო პრიორიტეტი კრეატიული ნახევარმცველის შეძენაა – „ინტერს“ სწორედ ასეთი ტიპის ფეხბურთელი აკლია. დაცვის ცენტრში ჟოზეს **ვალტერ სამუელი** და **ივან კორდობა** კი ჰყავს, მაგრამ მოურინიოს მინიმუმ ერთი მაღალი კლასის მცველის დამატება სურს. **მაიკონისა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გარშემო ატეხილი ქაოსი ამ ეტაპზე შეწყვეტილია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ორივე მათგანი „ინტერში“ დარჩება.

**სპეკულაციები:** მოურინიო **რიკარდო კარვალიოსა** და **დეკუს** ტრანსფერებს მიესალმებოდა, მაგრამ „ჩელსი“ ცენტრალური მცველის სანაცვლოდ 14 მილიონ ევროს ითხოვს, რაც **მასიმო მორატისთვის** „ძალიან გაბერილი თანხაა“. სწორედ ამიტომ, „ინტერი“ ალტერნატივად **ლუსიოს** (ბაიერნი) ან **ვილიამ გალასის** (არსენალი) ტრანსფერებს განიხილავს. რაც შეეხება კრეატიული ნახევარმცველის ვაკანსიას, აქ პირველი კანდიდატი დეკუა და მასთან ერთად, „ინტერის“ სამიზნეში არიან **ვესლი სნეიდერი** (რეალი) და **ედენ ჰაზარი** („ლილის“ ბელგიელი ტალანტი). სპეკულაციების თანახმად, „ინტერი“ დღედღეზე გაუფორმებს კონტრაქტს ნიჭიერ ავსტრიელ თავდამსხმელ **მარკო არნაუტოვიჩს** (ტვენტე). იმ შემთხვევაში, თუ იბრაჰიმოვიჩი „ინტერს“ მაინც დატოვებს, მორატი **სამუელ ეტოოს** ან **დიდიე დროგბას** შეძენაზე იზრუნებს.

### იუვენტუსი

**მომხდარი:** **დიეგოსა** (ვერდერი) და **ფაბიო კანავაროს** (რეალი) სახით, „ბიანკონერიმ“ უკვე გაიფორმა ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი. „იუვეს“ დაუბრუნდნენ **სერხიო ალმირონი** და **მიკელე პაოლუჩიც** – პირველი „ფიორენტინაში“ იყო განათხოვრებული, მეორე კი „კატანიაში“. სამაგიეროდ, ტურინი დატოვეს **ოლოფ მელბერგმა** (ოლიმპიაკოსი), **დარიო კნეჟევიჩმა** (ლივორნო) და **პაველ ნედვედმა** (კარიერა დაამთავრა).

**მოსახდენი:** „ბებერი ქალბატონის“ უპირველესი პრიორიტეტი მარცხენა მცველისა და ცენტრალური ნახევარმცველის შეძენაა. ჯერ კიდევ გაურკვეველია **კრისტიან მოლინაროს** ჯანმრთელობის საკითხი და თანაც, ეს უკანასკნელი იმედებს მაინცდამაინც ვერ ამართლებს. მეორე მარცხენა მცველ **პაოლო დე ჩელიეს** კი „ნაპოლი“ და „უდინეზე“ უხმობენ. ეს უკანასკნელი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ „იუვენტუსის“ დონეს ჯერ ვერ შეესაბამება და დიდი შანსია, რომ ტურინელებმა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ნევრი გაანათხოვრონ. **ჩირო ფერარა** 4-3-1-2 ტაქტიკით თამაშს გეგმავს, რომელიც დიეგოს უნდა მოერგოს. ბრაზილიელი კი ფლეიმეიკერის როლს შეასრულებს. ამრიგად, ფერარას ერთი ცენტრალური ან ნახევრად მემარცხენე ნახევარმცველი სჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ **დავიდ ტრეზეგე** „იუვენტუსს“ დატოვებს (მისი შეძენა „ლიონს“ სურს), ფერარას თავდამსხმელიც დასჭირდება.

**სპეკულაციები:** „იუვეს“ უპირველესი პრიორიტეტი „უდინეზეს“ ნახევარმცველ **გაეტანო დ'აგოსტინოს** შეძენა იყო, მაგრამ ტრანსფერი ფაქტობრივად ჩაშლილია. შესაბამისად, ტურინელებმა აქცენტი „ფიორენტინას“ საყრდენ ნახევარმცველ **ფელიპე მელოზე** გადაიტანეს. ალტერნატივად მადრიდელები **მაჰამადუ დიარა** და **ფერნანდო გაგო**, ასევე „ლაციოს“ ნახევარმცველი **კრისტიან ლედესმა** განიხილებიან. მარცხენა მცველის პოზიციაზე ფავორიტი **ფაბიო გროსოა** (ლიონი), შანსი აქვთ **ანდრეა დოსენას** (ლივერპული) და **ალექსანდარ კოლაროვსაც** (ლაციო). ფერარა ტრეზეგეს შემცვლელზეც ფიქრობს და მიზანში „ლაციოს“ თავდამსხმელი **გორან პანდევი** ამოიღო.

### მილანი

**მომხდარი:** „მილანის“ გულშემატკივრები **კაკას** წასვლით მიღებული შოკიდან ჯერ ვერ გამოდიან. ამასობაში, „როსონერიში“ **მასიმო ოდო** დაბრუნდა, რომელიც გასულ სეზონში „ბაიერნში“ იყო განათხოვრებული. ამავდროულად, „მილანმა“ ახალგაზრდები, **იგნასიო აბატე** და **დავიდე დი ჯენაროც** დაიბრუნა, **ჯაკომო ბერეტა** და **ჯანმარკო ძიგონი** კი იყიდა. გარდა ამისა, გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს: **ლეონარდო**. „მილანის“ განაცხადში ველარ ვიხილავთ ამ ფეხბურთელებსაც: **პაოლო მალდინი** (კარიერა დაამთავრა), **ანდრეი შევჩენკო** („ჩელსიში“ დაბრუნდა), **ფილიპ სენდეროსი** („არსენალში“ დაბრუნდა), **ფელიპე მატიონი** („გრემიოში“ დაბრუნდა) და **ლუკა ანტონელი** (პარმა). აშშ-ში წავიდა და მხოლოდ იანვარში დაბრუნდება **დევიდ ბექჰემიც**.

**მოსახდენი:** „მილანს“ პირველ რიგში მაღალი კლასის თავდამსხმელის გადაბირება სურს, თუმცა **ადრიანო გალიანიმ** თქვა, ეს პროცესი შეიძლება აგვისტოს ბოლომდე გაიწელოსო. **სისოხოს** ტრანსფერის ჩაშლის შემდეგ გალიანიმ აღნიშნა, ფლანგის მცველს არ ვიყიდითო, მაგრამ ლეონარდოს მაინც სურს ამ პოზიციაზე გაძლიერება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „მილანს“ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ **ალესანდრო ნესტა** უბრუნდება.

**სპეკულაციები:** **ედინ ჯეკოზე**, „ვოლფსბურგის“ უარის შემდეგ, გალიანიმ მიზანი **კლაას-იან ჰუნტელაარისკენ** და **ლუიშ ფაბიანოსკენ** (სევილია) მიმართა. ამავდროულად, ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, „როსონერის“ სასურველი ფეხბურთელების სიიდან ჯერ არც **ემანუელ ადებაიორი** ამოუშლია. მარცხენა მცველის პოზიციაზე, ბოლოს „მილანთან“ მიმართებაში „ტოტენჰემელი“ **გარეთ ბეილის** გვარი ახსენეს. გამორიცხული არც ისაა, რომ ალი სისოხოს ტრანსფერი მაინც შედგეს.

### ფიორენტინა

**მომხდარი:** ფლორენციულ კლუბში ჯერ ფაქტობრივად არაფერი მომხდარა. „ფიორენტინამ“ ერთადერთი ფეხბურთელი გადაიბირა: სოლიდური ცენტრალური მცველი **ჩეზარე ნატალი**, რომელმაც ფლორენციულ გრანდს „ტორინოდან“ მიაშურა. ამასთან, არენდები დაუმთავრდათ **ლუჩანო ძაურის** (ლაციო), **ემილიანო ბონაცოლის** (სამპდორია), **მარკო სტორარისა** (მილანი) და **სერხიო ალმირონს** (იუვენტუსი).

**მოსახდენი:** გუნდის მთავარ მწვრთნელ **ჩეზარე პრანდელის** მომავალ სეზონში ტაქტიკის შეცვლა და 4-2-3-1-ზე გადასვლა სურს, რისთვისაც ერთი ფლანგის ნახევარმცველი სჭირდება, ისეთი, რომელიც უმეტეს დროს შეტევებში გაატარებს. გარდა ამისა, „ფიორენტინას“ ერთი ცენტრფორვარდიც უნდა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, **ალბერტო ჯილარდინოს** ღირსეულად შეცვლის. ფელიპე მელოს მომავალი კი კითხვის ნიშნის ქვეშაა. თუკი ბრაზილიელი საყრდენი „იუვენტუსში“ ან „არსენალში“ გადავა, ფლორენციელებს მაღალი კლასის ჩამშლელი შუამარბიც დასჭირდებათ. ამას გარდა, პრანდელის ერთი ფლანგის მცველიც არ აწყენდა.

**სპეკულაციები:** „რეალიდან“ **როისტონ დრენტეს** ტრანსფერი დღე-დღეზე ოფიციალურად გაცხადდება. ამას გარდა, პრანდელის ძალიან უნდა „იუვენტუსელი“ **მარკო მარკიონის** გადაბირება და ეს ტრანსფერიც დასრულების სტადიაშია. ფლორენციელებს „ტორინოდან“ **ბლერიმ ჯემალის** (ცენტრალური ნახევარმცველი) გადაბირებაც სურთ. თავდასხმაში კანდიდატები „ინტერის“ უფასო ფორვარდი ხულიო კრუსი და „ტორინოს“ გოლეადორი **რობერტო ბიანკი** განიხილებიან. პრანდელის სასურველ ფეხბურთელთა სიაშია ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული, „ჰოფენჰაიმის“ მარჯვენა მცველი **ანდრეას ბეკი** და „ლაციოს“ ფეხბურთელი **ლორენცო დე სილვესტრიც**.

### ჯენოა

**მომხდარი:** „ჯენოაში“ უკვე ბევრი საინტერესო რამ მოხდა და გენუელები ამაზე შეჩერებას არ აპირებენ. მართალია, გუნდმა მილიტოსა და მოტას სახით ლიდერები დაკარგა, სამაგიეროდ, „ჯენოამ“ ძალიან საინტერესო ფეხბურთელები გადაიბირა: **სერჯო ფლოკარი** (ატალანტა), **ერნან კრესპო** (ინტერი) და **ჰუსინ ხარჯა** (სიენა) – ეს ფეხბურთელები უკვე ჩამოყალიბებული, მაღალი კლასის მოთამაშეები არიან. მათთან ერთად, „ჯენოამ“ ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელებიც დაიმატა: **პელე** (პორტუ), **ბოლძონი** (ინტერი) და **ლეონარდო ბონუჩი** (ასევე „ინტერი“). ერთ-ერთი უმთავრესი ტრანსფერია **აკვაფრესკაც**, რომელიც თავდამსხმელია და იტალიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა, თუმცა ეს უკანასკნელი გენუელებმა მაშინვე „ატალანტაში“ გაანათხოვრეს, რათა იქ სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს. გარდა ამისა, გენუელებმა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, **დომენიკო კრიშიტოს** სატრანსფერო უფლებების 50 პროცენტი შეიძინეს, რომელიც „იუვენტუსისგან“ ჰყავთ ნათხოვარი.

**მოსახდენი:** აღსანიშნავია, რომ „ჯენოას“ ფაქტობრივად აღარ აქვს საკადრო პრობლემები და წესით, გუნდმა სატრანსფერო ბაზარზე დიდად აღარ უნდა იაქტიუროს. მილიტოს წასვლით გამოწვეულ სიცარიელეს კრესპო და ფლოკარი შეავსებენ, ხოლო ხარჯა, პელე და ბოლძონი კი მოტას შეცვლას შეეცდებიან. სავარაუდოდ, „ჯენოას“ გამოცდილი მცველი **მატეო ფერარი** დატოვებს, რომელსაც „ბეშიქთაში“ ეპატიჟება. ასეთ შემთხვევაში, გენუელებს ახალი მცველიც დასჭირდებათ.

**სპეკულაციები:** თუკი ფერარი წავა (რაც ალბათ ასეც იქნება), მისი შეცვლის პირველი კანდიდატი **კრისტიან პანუჩია**. ამას გარდა, იტალიელი მიმომხილველები „ჯენოასთან“ მიმართებაში ძალიან ხშირად ახსენებენ „ვალენსიას“ მცველ **ემილიანო მორეტისა** და „ბრეშას“ უკანახაზელ **ფაბრიციო ძამბრელას** გვარებს. თავდასხმაში კი, გენუური კლუბი, შესაძლოა, ალკმაარელი **მუსა დემბელეთი** გაძლიერდეს. დიდი შანსია, რომ გუნდმა „კიევოს“ მეკარე **სტეფანო სორენტინოც** იყიდოს.

### რომა

**მომხდარი:** „რომას“ სატრანსფერო ბაზარზე ჯერ ფაქტობრივად არ უაქტიურია. გუნდს ერთადერთი ახალი ფეხბურთელი ჰყავს – ეს არის „ბარიდან“ გადმოყვანილი ნიჭიერი თავდამსხმელი **სტეფანო გუბერტი**, რომელმაც დედაქალაქურ კლუბს უფასოდ მიაშურა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის გადაბირებისთვის ნახევარი სერია A იბრძოდა. გარდა ამისა, „რომაში“ ბრუნდებიან ის მოთამაშეები, რომლებიც განათხოვრებულები იყვნენ: **მარკო ანდრეოლი** (სასუოლო), **რიკარდო ფატი** (ნანტი), **ვიტორიო ანტუნესი** (ლეჩე), **სტეფანო ოკაკა-ჩუკა** (ბრეშა), **აჰმედ ბარუსო** (სიენა) და **ალეანდრო როზი** (ლივორნო). სამაგიეროდ, მარადიულ ქალაქს დატოვებენ პანუჩი (კონტრაქტი არ გაუგრძელეს) და **სულეიმან დიამუტენე** („ლეჩეში“ ბრუნდება). **ვინჩენცო მონტელლამ** კარიერა დაამთავრა, ხოლო **მარკო მოტა** კი რომში რჩება.

**მოსახდენი:** მთავარი მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი** ამბობს, რომ პირველ რიგში მაღალი დონის ცენტრფორვარდი სჭირდება. გარდა ამისა, სპალეტის აუცილებლად ესაჭიროება ერთი მცველი, რადგან პანუჩისთან და დიამუტენესთან ერთად, გუნდს სავარაუდოდ **სიმონე ლორიაც** დატოვებს. „რომას“ კარგი მეორე მეკარეც არ აწყენდა.

**სპეკულაციები:** იტალიურ პრესაში „რომასთან“ მიმართებაში ყველაზე ხშირად **ანდრეი შევჩენკოსა** და **ხულიო კრუსის** გვარებს ახსენებენ. მცველებიდან სპალეტის „ლეჩეს“ უკანახაზელი **ანდრეა ესპოზიტო**, **მიკელე კანინი** (კალიარი) და **დიეგო ლუგანო** (ფენერბაჰჩე) მოსწონს. მეორე მეკარის ადგილი კი, შესაძლოა, **ჯენარო ლეცომ** (ნაპოლი), **მატეო სერენიმ** (ტორინო) ან სორენტინომ (კიევო) დაიკავონ.

**გოტფრიდ ლენცი**



იუვენტუსი ჩირო ფერარას ანდეს, ფერარა კი ფაბიო კანავაროს ენდობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

ამბები

## მორჩით ხველებას!

„შეფილდ იუნაიტედმა" მეკარე **პედი კენი** გააგდო - გოლკიპერმა დოპინგტესტი ვერ გაიარა. კენის ორგანიზმში, ამ გაზაფხულზე, ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩების დროს, აკრძალული ნივთიერება, ეფედრინი აღმოაჩინეს. შეფილდელები „პრესტონს" ეთამაშებოდნენ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, საიდან მოხვდა ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელის ორგანიზმში ეფედრინი? სავარაუდოდ, ამ ნივთიერებას ხველების წამალი შეიცავდა, წამალი კი კენიმ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ აფთიაქში შეიძინა. მაგრამ, ასეა თუ ისე, 31 წლის ირლანდიელს გრძელვადიან დისკვალიფიკაციასთან მოუწევს შეგუება. კომენტარისგან თავი შეიკავეს როგორც კლუბმა, ასევე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ.

## ჟო და კიდევ ჟო

**ჟო** იანვრის შემდეგ „ევერტონში" თამაშობდა და ისევ „ევერტონში" დარჩა. საერთოდ, ეს ბრაზილიელი თავდამსხმელი „მანჩესტერ სიტის" საკუთრებაა, უბრალოდ, ხსენებულ იანვარში ის „ევერტონს" მიაქირავეს. მოკლედ, „სიტის" მწვრთნელ **მარკ ჰიუზს** ის თვალში არ მოსდიოდა, „გუდისონ პარკზე" კი 22 წლის ფორვარდმა 12 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა და თავი ისე მოაწონა, როგორც ხედავთ, მისი დატოვება გადაწყვიტეს - ოღონდ, ისევ ქირით.

2008 წელს „მანჩესტერ სიტიმ" ჟოში მოსკოვის ცსკა-ს 18 მილიონი ფუნტი გადაუხადა. დღეს ჟო შოტლანდიაშია, სადაც „ევერტონი" სეზონისწინა შეკრებას გადის. ბრაზილიელი თანაგუნდელებს ოდნავ მოგვიანებით, ფორმალობების მოგვარების შემდეგ შეუერთდა.



გაბრიელ ობერტანი

ტრანსფერი

# ახალი მანჩესტერელი

**სერ ალექს ფერგიუსონმა** „ბორდოს" ნახევარმცველი **გაბრიელ ობერტანი** გადაიბირა. ობერტანმა, რომელიც 20 წლისა გახლავთ და ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ იმედად ითვლება, მანჩესტერში სამედიცინო შემოწმებაც წარმატებით გაიარა და ოთხწლიან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი.

ობერტანის სატრანსფერო ფასი 8 მილიონი ფუნტია. ამპლუით იგი, როგორც მოგახსენეთ, ნახევარმცველია, თუმცა თავდასხმაშიც კარგად ეხერხება თამაში. საინტერესოა, რომ ობერტანს, სამედიცინო შემოწმებისა და საკონტრაქტო ფორმალობების მოგვარების შემდეგ იმედი ჰქონდა, რომ ბორდოში დაბრუნდებოდა, მაგრამ ფერგიუსონმა დატოვა და ახალ თანაგუნდელებთან ავარჯიშა. ფრანგი ნახევარმცველის შეძენას „მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა „ჩელსი","არსენალი" და „ინტერიც" ცდილობდნენ.

მაგრამ, ობერტანში გადახდილი 8 მილიონი არაფერია იმასთან შედარებით, რის გადახდასაც ალექს ფერგიუსონი ჰოლანდიელ **კლაას-იან ჰუნტელაარში** აპირებს. 25 წლის თავდამსხმელი, რომელიც „აიაქსიდან" მადრიდის „რეალში" იანვარში გადავიდა, 20 მილიონი ფუნტი დაჯდება.

ყველასთვის ცნობილია, რომ ჰოლანდიელს მადრიდში საქმეები არ აეწყო - სამშობლოში, სხვადასხვა გუნდის სახელით, 136 შეხვედრაში 113 გოლის ავტორმა პრიმერალიგა ვერ დააჭაშნიკა. ჰუნტელაარი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში არც კი ათამაშეს, ხოლო ახლა, როდესაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" **კრისტიანო რონალდო, კაკა** და **ქარიმ ბენზემა** ჩავიდნენ, მისი შანსი ერთიორად შემცირდა.

*„ჰუნტელაარი ის ფეხბურთელია, რომელსაც კარგად ვიცნობთ, დიდხანს ვაკვირდებით და ბოლო დროს მისი შეძენით რეალურად დავინტერესდით"*, - უთხრა „მანჩესტერ იუნაიტედის" კლუბის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჟურნალისტებს.

პრემიერლიგური ბიზნესი

# კაჭკაჭთა გაყიდვა




„ნიუკასლ იუნაიტედის" აღმასრულებელმა დირექტორმა, **დერეკ ლამბიასმა** განაცხადა, რომ მათ კლუბს სულ მცირე, ორი მყიდველი გამოუჩნდა. „კაჭკაჭების" მეპატრონე **მაიკ ეშლიმ**, რომელსაც 2007 წელს კლუბის საკონტროლო პაკეტი 134.4 მილიონი ფუნტი დაუჯდა, ხოლო სულ მისმა დანახარჯმა 244 მილიონს გადააჭარბა, ახლა, ივნისში განაცხადა, რომ ნებისმიერს, ვინც 100 მილიონზე მეტს შესთავაზებს, დაელაპარაკება. *„100 მილიონზე მაღალი ორი წინადადება მივიღეთ"*, - ბრძანა ლამბიასმა.

ამ ორი წინადადებიდან ერთის ავტორი ეშლისა და კომპანიის თვალსაწიერში პირველად არ ხვდება. მეტიც, **ფრედი შეპერდი**, რომელიც სინგაპურულ კომპანიასთან ერთად, ანუ ამ კომპანიის ფულით მოქმედებს, წლების განმავლობაში თავად გახლდათ „ნიუკასლის" თავმჯდომარე. მეორე მყიდველი კი მალაიზიური კონსორციუმია, რომლის წარმომადგენლებმა გასულ კვირაში უკვე დაათვალიერეს „სენტ ჯეიმსიზ პარკი" და გუნდის საწვრთნელი ცენტრი.

აღსანიშნავია, რომ „ნიუკასლის" ხელმძღვანელებს ჯერჯერობით არ უმართლებთ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ კლუბს ახალი პატრონი უკვე ივნისის ბოლოში ჩაიბარებდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა იმედმა უფრო ზოგადი სახე მიიღო: კარგი იქნება, თუ კლუბი რაც შეიძლება მალე გაიყიდება. ისევ ლამბიასი: *„ჩვენ დაინტერესებულ მხარეებს მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს"*.

საზაფხულო შვებულებიდან ფეხბურთელები 1 ივლისს გამოვიდნენ, მაგრამ მწვრთნელ **ალან შირერს** ხანმოკლე კონტრაქტი აქვს გაფორმებული. შეგახსენებთ, რომ „ნიუკასლ იუნაიტედი" გასულ სეზონში პრემიერლიგიდან გავარდა და ახალ სეზონში ჩემპიონატში იასპარეზებს.

სატრანსფერო ამბები

# ფეხბურთი მარტო ფული არ არის

**კარლო ანჩელოტის** კარგა მწარედ მოუვიდა - „მანჩესტერ სიტი" **ჯონ ტერისთვის** პატარა გუნდიაო. მოგეხსენებათ, იტალიელი სპეციალისტი ბოლო 22 თვეში ლონდონელების მეხუთე მწვრთნელია, რომელიც საკუთარ პრეზენტაციაზე ბუნებრივია ტერის თემასაც შეეხო.

*„მეეჭვება, ტერის „ჩელსიდან" წასვლა რომ უნდოდეს. ვფიქრობ, ის მუდამ ამ გუნდის ფეხბურთელი იქნება"*, - ბრძანა ახალმა თავკაცმა.

ბოლო დღეებში ინგლისური და მსოფლიო პრესა „ჩელსის" კაპიტნის ამბებითაა აჭრელებული. „მანჩესტერ სიტის" მისი შეძენა სურს და „ჩელსის" თავდაპირველად 30 მილიონი ფუნტიც შესთავაზა, მაგრამ ლონდონელებმა ამ წინადადებაზე უარი თქვეს. კარლო ანჩელოტიმ კი დასძინა, რომ „სიტი" ჩემპიონთა ლიგაში არ გამოდის და ეს მას დიდი ვარსკვლავების შეძენაში ხელს შეუშლის. „სიტიზე" საუბრისას ანჩელოტიმ გაიხსენა, როგორ ცდილობდნენ მანჩესტერელები „მილანისგან" **კაკას** ყიდვას:

*„ისინი კაკას კონტრაქტთან მართლა ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება ვერ მოიპოვეს და ამან ყველაფერი ჩაუშალათ, რაც ჩემთვის სრულიად გასაგებია. ფეხბურთელებს უპირველეს ყოვლისა ლიგაში სურთ თამაში. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთი მარტო ფული ხომ არ არის, ის ემოცია, გატაცება და კიდევ უამრავი რამ გახლავთ"*.

შემდეგ „მილანის" ყოფილმა თავკაცმა არ გამორიცხა, რომ „სიტის" შეეძლო ტერისთან „ჩელსის" ზურგს უკანაც დაეწყო მოლაპარაკებები. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ „ჩელსის" კაპიტანმა და „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** შვებულების დღეები დუბაის ერთსა და იმავე კომპლექსში გაატარეს.

*„სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ჯონ ტერი სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა გუნდში გადასვლაზე ელაპარაკა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია, რომ მას „ჩელსიში" უნდა დარჩენა"*.

„ჩელსის" აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ კენიონმა** კი დასძინა: *„ჯონ ტერის არანაირ ფასად არ გავყიდით. მას ჩვენთან, კონტრაქტის თანახმად, ჯერ კიდევ სამი წელიწადი აკავშირებს. ტერიმ გვითხრა, რომ არსად არ უნდა წასვლა და ჩვენც ვამბობთ, რომ მისი გაშვება არ გვინდა. ამით ისტორია დასრულებულია"*.



პიტერ კენიონისთვის
ჯონ ტერი ხელშეუხებელია

# იყიდე რუუდი, არ არის ცუდი




რუუდ ვან ნისტელროი

„ბლექბერნ როვერსის" მწვრთნელმა **სემ ელერდაისმა** „რეალისგან" ჰოლანდიელი თავდამსხმელის, **რუუდ ვან ნისტელროის** ყიდვა მოინდომა. დიდმა სემმა ვან ნისტელროის შესახებ ივნისშიც ილაპარაკა, რომლის შესახებაც „ლელოს" მკითხველს მაშინვე შევატყობინეთ. მაგრამ ახლანდელსა და იმდროინდელს შორის განსხვავებაა: მაშინ, ელერდაისმა გულის ნადები ჟურნალისტებს გაანდო და ბარემ თემაც შეაგდო, ასე ვთქვათ - თავისი სურვილი საჯარო გახადა, ახლა კი საკუთრივ ფეხბურთელს დაუკავშირდა.

ელერდაისმა კარგად იცის, რომ 33 წლის ჰოლანდიელი „სანტიაგო ბერნაბეუზე" კვირაში 120 ათასი ფუნტის ფარგლებში იღებს და, ისიც კარგად მოეხსენება, რომ თავად ასეთ ჯამაგირს ვერ შესთავაზებს. შესაბამისად, თუ ვან ნისტელროი ნაკლებ ხელფასზე ცხოვრებას დათანხმდება, ტრანსფერიც მხოლოდ ამ შემთხვევაში შედგება. აკი თქვა კიდეც მისტერ სემმა - რუუდს დიდი ხელფასი მოუნდება და ჩვენ „მაგდენს" ვერ გადავიხდით, რომელიმე დიდი კლუბი წაიყვანსო. ჯერჯერობით, „როვერსი" მხოლოდ ყიდის - ორიოდ კვირის წინ „მანჩესტერ სიტიში" **როკე სანტა კრუსი**, ხოლო ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" **მეტ დერბიშირი** გაასხვისა.

რაც შეეხება ვან ნისტელროის, როგორც ჩანს, ჰოლანდიელი იქნება ერთ-ერთი იმ, სავარაუდოდ, ათი ფეხბურთელიდან, რომელთა გასხვისებაც „რეალის" პრეზიდენტს, **ფლორენტინო პერესს** გადაუწყვეტია. საინტერესოა, რომ „როვერსში" მოხვედრას ცდილობს დიდ სარბიელზე ყველასგან მივიწყებული, 35 წლის იტალიელი ვარსკვლავი **კრისტიან ვიერიც**, რომელიც ბოლოს „ატალანტაში" გამოდიოდა, ახლა კი ბლექბერნელებს ავსტრიულ შეკრებაზე გაჰყოლია. მას „საფუძვლიანი" კონტრაქტის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

უახლოეს პერიოდში „ბლექბერნი" მოლაპარაკებებს გაუმართავს საკუთარ ფეხბურთელებსაც, **დევიდ დანს, მორტენ გამსტ პედერსენს** და **სტივენ რიდს**.

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**



პრეზენტაცია

# რონალდო, ნომერი... დი სტეფანო

**კრისტიანო რონალდომ** „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ახალი რეკორდი დაამყარა, მადრიდის ლეგენდარული სტადიონი მის პრეზენტაციაზე პირთამდე შეივსო - 80 ათასი ადამიანი მოვიდა. ცნობისათვის, ოფიციალურად „ბერნაბეუზე“ 80 354 მაყურებელი ეტევა. ეს გახლდათ პრეზენტაციებზე დასწრების მსოფლიო რეკორდი. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 24 წლის ყოფილი გარემარბი ჯერ მადრიდელმა ექიმებმა შეამოწმეს საფუძვლიანად, ხოლო, როდესაც მის ჯანმრთელობას ნაკლი ვერ უპოვეს, ხალხს წარუდგინეს და პორტუგალიელმაც გულში ჩამწვდომი სიტყვებით დაიწყო:

*„დღეს ჩემი ბავშვობის ოცნება ახდა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ფანებს ჩემ მიმართ ასეთი გრძნობა ექნებოდათ. ამან ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დღევანდელი დღე ჩემთვის განსაკუთრებულია“.*

„რეალი“, რასაკვირველია, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. გასულ სეზონში „ბარსელონამ“ მოიგო ყველაფერი, ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, სამეფო თასი და უეფას ჩემპიონთა ლიგა, თუმცა რონალდო რეალისტია და ზუსტად იცის, რომ ახალ სეზონში „ბარსას“ ჯინაზე ამ სამივე უდიდესი ჯილდოს ერთბაშად მოპოვება ყოვლად შეუძლებელია. მაყურებელს ასეთ რამეს არც უნდა დაჰპირდე. პრესკონფერენციაზე პორტუგალიელმა თქვა:

*„მხოლოდ ჩემპიონთა ლიგა რომ მოვიგოთ, ბედნიერი ვიქნები. წარმატებებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ერთ სეზონში სამი ჯილდოს მოგება“.*

მოგეხსენებათ, მადეირელი ბიჭი 2003 წელს თვრამეტისა გახლდათ, როდესაც ლისაბონის „სპორტინგისგან“ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ იყიდა და სწორედ ამ ინგლისურ გუნდში გაიზარდა „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“ ლაურეატობამდე. მისთვის ასე წარმატებულ 2008 წელს მან ფიფას ვერსიითაც გაიმარჯვა - მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო გადასცეს.

*„მინდა მადლობა შევუთვალო ჩემს ინგლისელ ფანებს, ბოსს, მეგობრებსა და თანაგუნდელებს. მე მათთან ექვსი წელიწადი გავატარე და საუკეთესო ურთიერთობები მაკავშირებს. ხალხმა გაიგო ჩემი ნაბიჯი, ამ მხრივ მამართლებს. ყველამ იცის, რომ ჩემი ოცნება „რეალში“ თამაში იყო და ახლა დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავარ. ეჭვი არ არის, მანჩესტერული ცხოვრებიდან ძალიან ბევრი რამ მომენატრება, მაგრამ რა გაეწყობა, ამიერიდან ჩემი სახლი მადრიდშია. ჩემი ახალი კლუბი გახლავთ „რეალი“ და ვაპირებ მთელი გული და სული მისთვის გავილო“.*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრეზენტაციამდე რამდენიმე საათით ადრე მიცემულ ინტერვიუში მან ისეთი რაღაცაც თქვა, რამაც მთელ ინგლისს გული დასწყვიტა - ესპანური პრიმერა ინგლისურ პრემიერშიფზე ძლიერიაო.

*„ვფიქრობ, „ლა ლიგა“ უფრო მაღალი ხარისხის ჩემპიონატია, რადგან აქ ძალიან დიდი ვარსკვლავები მოდიან სათამაშოდ. ფეხბურთელები ხომ ძალიან ძლიერები არიან და მსაჯობის სტილიც სხვანაირია, ფეხბურთელს უფრო იცავენ და უფრთხილდებიან“.*

პრეზენტაციის შემდგომ პრესკონფერენციაზე კი რონალდომ ესპანურ და ინგლისურ სტილებს შორის განსხვავება უფრო დაწვრილებით აღწერა.

*„ესპანეთში სრულიად განსხვავებული ფეხბურთის თამაშს ველი. პრემიერლიგაში ექვსი წელიწადი გავატარე და ვხვდები, რომ იქ ყველაფერი სხვანაირად იყო. ინგლისში უფრო ჩქარა თამაშობენ და თვითონ ფეხბურთელებიც უფრო ათლეტურები არიან. სამაგიეროდ, აქ, ესპანეთში, პატარა და საშუალო გუნდები ფეხბურთის თამაშს ცდილობენ და ახერხებენ კიდეც ამას“.*

რონალდო მადრიდის აეროპორტში შუადღისას ჩავიდა და მასპინძლებმა პირდაპირ „ოსპიტალ სანტას ლა მორალეხაში“ გააქანეს. მადრიდის „რეალის“ მთავარი ექიმი **კარლოს დიესი**:

*„რონალდოს ჯანმრთელობა უზადოა. იგი მოუთმენლად ელოდება სეზონის დაწყებას. დიდი შესაძლებლობის გული და ფილტვები აქვს. მას უკვე შეუძლია ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად დაიწყოს მუშაობა და თანდათანობით სათანადო ფორმაში შევიდეს“.*

მოგეხსენებათ ერთი კვირის წინ იმავე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბრაზილიელი **კაკას** პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ნაკლები გულშემატკივარი, მხოლოდ 50 ათასი დაესწრო. საინტერესოა, უხეშად თუ ვიტყვით, რომ **კაკასა** და რონალდოს პრეზენტაციებს შორის განსხვავება იგივე გამოვიდა, რა სხვაობაც მათში გადახდილ თანხებს შორის იყო - რონალდოს ფასი 80 მილიონი ფუნტი გახლდათ, კაკასი 56 მილიონი.



კრისტიანო რონალდო და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები: ალფრედო დი სტეფანო და ეუსებიო

რონალდომდე, პრეზენტაციებზე დასწრების მსოფლიო რეკორდი **დიეგო მარადონას** ეკუთვნოდა. როდესაც 1984 წელს ის „ბარსელონადან“ „ნაპოლიში“ გადავიდა, მის სანახავად და მისასალმებლად 75 ათასი ადამიანი მივიდა.

და აი, კიდევ უდიდესი დაფასება: კრისტიანო რონალდოს მადრიდის „რეალში“ ცხრანომრიანი მაისურა ჩააცვეს - ნომერი ცხრა კლუბის ლეგენდის, თვით **ალფრედო დი სტეფანოს** ნომერია.

თუმცა, „ბერნაბეუზე“ მოხდა კიდევ ერთი რამ, რაზეც ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“ გაამახვილა ყურადღება: პრეზენტაციაზე იყო მომენტი, როდესაც მოედანზე ტრიბუნებიდან ფანები ჩახტნენ. მათ პორტუგალიელ ვარსკვლავთან მივარდნა და მისალმება უნდოდათ. სკაუტებმა და დაცვამ ფანების შეჩერება სცადეს და სანამ განსაკუთრებით ავ ქომაგებს ეჩხუბებოდნენ, რონალდო იქაურობას გაარიდეს.

საკონტრაქტო ამბები

# აქეთ ვიქტორი და იქით იოსი

„ბარსელონას“ მეკარემ, **ვიქტორ ვალდესმა** ესპანეთის ჩემპიონთან კონტრაქტი გააგრძელა. ამრიგად, კლუბში, რომელშიც ბავშვობიდან თამაშობს - 1995 წელს, პირველად რომ მოირგო „ბარსელონას“ ყმაწვილთა გუნდის ფორმა, 13 წლისა გახლდათ - ვალდესი კიდევ ოთხ წელიწადს გაატარებს, ოღონდ უფრო მაღალ ხელფასზე.

ვალდესს, გასულ სეზონში, „ბარსას“ მიერ სამი დიდი ტიტულის მოპოვებაში ლომის წილი მიუძღვის და ამიტომ, თუკი აქამდე მისი გამოსასყიდი თანხა 100 მილიონი ევრო იყო, ამიერიდან 150 მილიონი გახდა.

რაკილა საკუთარ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელების თემას შევეხეთ, ბარემ ლივერპულელ **იოსი ბენაიუნსაც** გადავწვდეთ. ისრაელის ნაკრების ფეხბურთელმა მერსისაიდელებთან ხელშეკრულება ორი წლით გაახანგრძლივა.

29 წლის ბენაიუნი „ლივერპულში“ ორი წლის წინ „ვესტ ჰემიდან“ გადავიდა და ახალ ადგილს ისე შეერწყა, რომ თუკი აქამდე კონტრაქტის ვადა 2011-ში ეწურებოდა, ახლა 2013-ში ეწურება.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპულსა“ და „ვესტ ჰემამდე“ ეს შემტევი ნახევარმცველი თამაშობდა ბეერ-შევას „ჰაპოელში“, ჰაიფას „მაკაბიში“ და სანტანდერის „რასინგში“. ისრაელის ნაკრებში 72 შეხვედრაში 19 გოლი აქვს გატანილი.

სახალისო

# ეჰ, იური, იური...

**რომორც** მოგახსენეთ, რუსი **იური ჟირკოვი** ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა, მაგრამ შესაძლოა, თანაგუნდელებთან ურთიერთობა კიდევ კარგა ხანს ვერ შეძლოს. მიზეზი: ცსკა-ს ყოფილმა ნახევარმცველმა ინგლისური საერთოდ არ იცის. არადა, „ლურჯების“ პატრონი, მილიარდერი **რომან აბრამოვიჩი** თურმე კარგა ხანია, აფრთხილებს, ინგლისური აუცილებლად ისწავლეო.

იური ჟირკოვი



დიახ, აბრამოვიჩს რუსეთის ნაკრების 25 წლის მოთამაშისთვის, რომელშიც 18 მილიონი ფუნტი, ანუ 29.22 მილიონი დოლარი გადაიხადა, ქარაგმულად უთქვამს, დროა, ინგლისური ისწავლო, აუცილებლად დაგჭირდებაო. ალბათ, მილიარდერის ეს სიტყვები ჟირკოვისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვაგლახ, რომ ნახევარმცველი საკმარისად გამჭრიახი ვერ გამოდგა.

*„2006 წელს, როცა ცსკა-მ რუსეთის თასი მოიგო, აბრამოვიჩი გასახდელში ჩამოვიდა და წარმატება მოგვილოცა. შემდეგ ჩემთან მოვიდა და სრულიად მოულოდნელად, პირადად მომმართა: იური, დროა ინგლისურის სწავლა დაიწყო. მე არაფერი მიპასუხია, მხოლოდ გავიღიმე. მას მერე სამი წელიწადი გავიდა და მე ინგლისურად კვლავ ვერ ვლაპარაკობ. ახლა ვხვდები, რომ აბრამოვიჩის თითოეულ ნათქვამს სერიოზულად უნდა მოვეკიდო, მაგრამ... მაშინ ვერც კი დავუშვებდი, რომ კარიერაში ინგლისურის სწავლა დამჭირდებოდა“,* - აღიარა ჟირკოვმა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

სატრანსფერო ამბები

# განსაკუთრებულის განსაკუთრებული კლუბისკენ



რიკარდო კარვალიო

**რიკარდო კარვალიო** არ მალავს და „ჩელსის“ პირდაპირ უცხადებს, რომ მილანის „ინტერში“ სურს გადასვლა. იქ, „სან სიროზე“, პორტუგალიელ მცველს, ყოფილი მენტორი, **ჟოზე მოურინიო** ეგულება. იტალიის ჩემპიონმა ლონდონურ ოფისში ოფიციალური ფაქსი უკვე აფრინა, ასე რომ, კარვალიოს ისღა დარჩენია, სტემფორდბრიჯელებს მუხლმოდრეკით ევედროს და წასვლის ნებართვა გამოსთხოვოს.

*„ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, მინდა ცხოვრების ახალი ფურცელი გადავშალო. ვგრძნობ, რომ ამისათვის მზად ვარ. საბედნიეროდ, „ჩელსის“ დირექტორებთან ჩემს გადაწყვეტილებაზე საუბრის საშუალება უკვე მომეცა და მე მათ ყველაფერი განვუმარტე. ახლა ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. აქ, „სტემფორდ ბრიჯზე“ პირველი ოთხი წელიწადი ზღაპრული მქონდა, მაგრამ ბოლო სეზონში გაჭირდა. ვგრძნობ, დადგა დრო ჩემი და „ჩელსის“ გზები გაიყაროს“,* - თქვა პორტუგალიელმა.

საინტერესოა, რომ კარვალიოს შეძენა „მანჩესტერ სიტისაც“ სურდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა „ინტერი“ ამჯობინა და ყველა ღონეს ხმარობს იტალიაში რომ გადაბარგდეს.

*„ჩემს აგენტსაც ველაპარაკე და მანაც იცის რა მინდა. თუ „ჩელსიდან“ წავალ, მინდა სხვა დიდ კლუბში ვითამაშო, საშუალო დონის გუნდში არ გადავალ. ხოლო თუ ამის შანსი არ მომეცემა, მაშინ აქ, ლონდონში დავრჩები და ხელშეკრულებას ბოლომდე დავიცავ. ყველაზე მეტად „ინტერში“ მინდა წასვლა. ის განსაკუთრებული კლუბია, მას მწვრთნელად მოურინიო ჰყავს. მართალი გითხრათ, მილანელებზე იმდენი კარგი რამ გავიგე, რომ მოურინიოსთან ლაპარაკი და ინფორმაციის გადამოწმება არც კი მჭირდება. პირადად მეც კარიერაში ჯერ კიდევ უამრავი რამ მაქვს დასამტკიცებელი“.*

შალკე

# ყენიას მორიგი კონკურენტი გამოუჩნდა!

## არც კონდიცია, არც გუნდურობის შეგრძნება და არც ლიდერი. მაგათმა შალკე ჯერ ვერ დაინახა



შალკეს ახალწვეული და ლევან ყენიას კონკურენტი ლუის ჰოლტბი

გუშინწინ „შალკემ" ქვემო საქსონიაში გადაინაცვლა და ჰერცლაკეში დასცა ბანაკი. **ფელიქს მაგათი** გელზენკირხენულ კლუბს ახალი სეზონისთვის ახლა სწორედ ამ დაბაში ამზადებს. შალკელები რომანტიკულ სასტუმროში კი ცხოვრობენ, მაგრამ მათ ყოველდღიურობას რომანტიკასთან კავშირი არ აქვს. მაგათის სავარჯიშო პროგრამა უმძიმესია, რაზეც ამას წინათ, **ლევან ყენიამ** „ლელოსთვის" მიცემულ ინტერვიუშიც ისაუბრა. გელზენკირხენელი ფეხბურთელები დილის შვიდ საათზე დგებიან და რვის ნახევარზე იწყებენ ერთსაათიან კროსს ტყეში. მეორე ვარჯიში 11 საათზეა, მესამე კი 17 საათზე. „დესპოტი ფელიქსის" თქმით, რაც დრო გავა, დატვირთვებს კიდევ უფრო მოუმატებს, რადგან მთელი გუნდი საშინელ კონდიციაშია, ფელიქსს კი უნდა, რომ სეზონის სტარტს კარგად მომზადებული შეხვდეს.

*„გუნდის ფიზიკური მზადყოფნა თავიდანვე არ მომეწონა. ფეხბურთელების მდგომარეობა არაერთ ასპექტში უნდა გაუმჯობესდეს. ძალიან ბევრი საქმე გვაქვს,"* - ამბობს მაგათი.

მას მერე, რაც გუნდს ავარჯიშებს, ფელიქსს 24 ფეხბურთელიდან მხოლოდ ორის კონდიცია მოეწონა. *„ივან რაკიტიჩი და ჰალილ ალთინთოფი კარგად ვარჯიშობენ და ნორმალურ ფიზიკურ ფორმაში არიან,* - ამბობს ფელიქსი და იქვე დასძენს, - *მოთამაშეებს ერთი რამ შევატყვე: უმეტესობა მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, რაც ნებისმიერი გუნდისთვის დამღუპველია. გუნდურობის შეგრძნება ჯერ ვერ დავინახე. ისეთი განცდა მაქვს, რომ გუნდს კი არა, ცალკეულ სპორტსმენებს ვავარჯიშებ, რომლებიც სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში გამოდიან და არა გუნდურში."*

გარდა ამისა, მაგათის აზრით, „შალკეს" ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ისიც არის, რომ არც ერთი ფეხბურთელი არ ცდილობს პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას და ლიდერის ფუნქციების შესრულებას, პასუხისმგებლობას ყველა გაურბის. *„ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ლიდერობას ცდილობს, ჰაიკო ვესტერმანია,"* - აცხადებს მაგათი.

25 წლის ვესტერმანმა ბოლო ვარჯიშზე სათადარიგო მეკარე **მოჰამედ ამსიფი** დაცოფა, რადგან ამ უკანასკნელმა სერიოზული შეცდომები დაუშვა. ვესტერმანი ამბობს, მინდა, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვიყოო. მაგათი „შალკეში" სწორედ ასეთ ტიპებს ეძებს...

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ აახენის „ალემანიას" 18 წლის თავდამსხმელი **ლუის ჰოლტბი** „შალკეში" გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო. დღეს კი შეგვიძლია, გამცნოთ, რომ ეს უკანასკნელი უკვე **კობიაშვილისა** და ყენიას თანაგუნდელია. ჰოლტბიმ გუშინ „შალკესთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, კლუბები 2.5 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ. ნიჭიერმა ფეხბურთელმა 7-ნომრიანი მაისურა მიიღო და ის **ვასილიოს პლიაციკასის** (აეკ), **იან მორავეკისა** (ბოჰემიანსი) და **ალბერტ შტრაიტის** („ჰამბურგიდან" დაბრუნდა) შემდეგ, „შალკეს" მეოთხე ახალწვეულია. ლუის ჰოლტბი უაღრესად ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევა და მას თავდამსხმელის, ფლეიმეიკერისა და გარემარბის პოზიციებზე შეუძლია თამაში. ჰოლტბიმ გასულ სეზონში, მეორე ბუნდესლიგაში 8 გოლი გაიტანა და 9 საგოლე გადაცემა მიითვალა. თუ მაგათი „შალკეს" 4-4-2 ტაქტიკით ათამაშებს, ამ შემთხვევაში ცაცია დრიბლიორ ჰოლტბის ფლეიმეიკერის პოზიციაზე, თავდამსხმელების უკან შეეძლება ასპარეზობა, ხოლო 4-2-3-1 ტაქტიკის შემთხვევაში კი, ადგილს ფლანგზე, **ჯეფერსონ ფარფანის** საპირისპირო მხარეს დაიკავებს. ასე რომ, **ივან რაკიტიჩის** შემდეგ, ლევან ყენიას კიდევ ერთი კონკურენტი გამოუჩნდა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბაიერნის ულტიმატუმი რეალს

## მადრიდელებს 8 დღე აქვთ იმისათვის, რომ მიუნხენურ გრანდს რიბერის სანაცვლოდ 80 მილიონი შესთავაზონ...

თუ **ფრანკ რიბერი** მომავალშიც ისე ივარჯიშებს, როგორც გუშინწინ (უგულოდ, ფრანგს მოტივაცია არ ეტყობოდა), ასეთ შემთხვევაში, „ბაიერნს" შეუძლია, „რეალს" სულაც უფასოდ დაუთმოს... ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, ისე კი, რეკორდმაისტერი ფრანგ დრიბლიორში ძალიან დიდ თანხას ითხოვს. ფაქტი კი ის არის, რომ რიბერი „ბაიერნში" უგულოდ, უაზროდ და უმოტივაციოდ ვარჯიშობს. მას ოდნავადაც არ ეტყობა მონდომება, რაც მიუნხენური კლუბის შეფებს ძალიან აშფოთებთ. ცნობილია, რომ მადრიდის „რეალს" მისი გადაბირება უნდა. ცნობილია ისიც, რომ სამეფო გუნდში გადასვლა რიბერისაც სურს. ფრანგი ნახევარმცველისთვის საკითხი დაახლოებით ასე დგას: „რეალი" ან არაფერი. „ბაიერნმა" კი, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მადრიდულ კლუბს ულტიმატუმი წაუყენა.

„ბილდმა" გაარკვია: „ბაიერნის" ხელმძღვანელებს სურთ, რომ რიბერის ამბავი ძალიან მალე გადაწყდეს - ასე ან ისე. მართალია, სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტომდეა ღია, მაგრამ რეკორდმაისტერის შეფებს ფრანგი ფეხბურთელის საკითხის გადაწყვეტა 16 ივლისამდე სურთ. ამავე გამოცემის ინფორმაციით, „ბაიერნი" რიბერის სანაცვლოდ 80 მილიონ ევროს ითხოვს და ცნობილია ისიც, რომ რეკორდმაისტერის გენერალური მენეჯერი **ული ჰოინესი** ამ თანხას „ფეხს არ მოუცვლის" და ერთ ცენტრსაც არ დააკლებს. ჰოინესმა რიბერის ფასი კარგად იცის და იმ ფონზე, რომ „რეალმა" **კრისტიანო რონალდოს** სანაცვლოდ 94, ხოლო **კაკას** სანაცვლოდ 65 მილიონი ევრო გადახადა, რიბერიში მინიმუმ 80 მილიონს ითხოვს.

ასე რომ, „რეალს" 8 დღე აქვს იმისათვის, რომ „ბაიერნს" რიბერიში ეს თანხა შესთავაზოს. ახლა საინტერესოა, რას გადაწყვეტს „რეალის" პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი**, გადაიხდის რიბერიში 80 მილიონს?


ბაიერნმა რიბერი 80 მილიონად შეაფასა

ფრანგის საკითხის გარკვევას უკვე „ბაიერნის" ფეხბურთელებიც ითხოვენ. *„ასეთი სიტუაცია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს როგორც მთავარი მწვრთნელისთვის, ისე მთელი გუნდისთვის. ყველას გვინდა, რომ მალე ყველაფერი გარკვეული იყოს,"* - აცხადებს **მარკ ვან ბომელი**. რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს აღარ აკეთებენ. ჰოინესმა ერთხელ უკვე თქვა, ფრანგ ფეხბურთელს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთმობთ, თუ „რეალი" სასწაულებრივად დიდ თანხას შემოგვთავაზებსო. ასე რომ, ახლა ყველაფერი „რეალზეა" დამოკიდებული.

მართალია, რიბერიმ გუშინწინ „მიუნხენერ თაგესცაითუნგს" უთხრა, არასდროს მითქვამს, რომ „ბაიერნიდან" წასვლა აუცილებლად მინდა და თუ დავრჩები, გუნდისთვის თავს არ დავზოგავო, მაგრამ მერე ისე უგულოდ ივარჯიშა, რომ აშკარად ეტყობა, მიუნხენში დარჩენა უბრალოდ აღარ უნდა...

ვერდერი



ფრინგსი ვერდერის ახალი კაპიტანია

# მუსიკოსთა დირიჟორი ტორსტენი

## შააფმა კაპიტნის სამკლავური ფრინგსს ჩააბარა

როგორც იცით, ბრემენის „ვერდერის" კაპიტანმა **ფრანკ ბაუმანმა** კარიერა დაამთავრა. შესაბამისად, „მუსიკოსებს" გუნდის ახალი თავი უნდა აერჩიათ. „ვერდერმა" ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** ახალი კაპიტანი გუშინ დაასახელა: „მუსიკოსების" „დირიჟორი" **ტორსტენ ფრინგსი** იქნება.

*„ეს ჩემთვის უდიდესი პატივია,"* - განაცხადა 32 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა, რომელსაც ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ კაპიტნად სწორედ მას აირჩევდნენ. შააფმა ფრინგსის შემცვლელად ბრემენული გუნდის დაცვის ბურჯი **პერ მერტეზაკერი** დაასახელა.

*„ტორსტენი ბოლო წლებში არაერთხელ ყოფილა გუნდის კაპიტანი. როდესაც ბაუმანი დაშავებული ან დისკვალიფიცირებული იყო, სამკლავურს სწორედ ის ირგებდა ხოლმე და ამ მოვალეობას თავს იდეალურად ართმევდა. ფრინგსმა იცის, როგორ უნდა უკაპიტნოს გუნდს. ტორსტენი ჩვენთან ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, რომ „ვერდერის" ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო კაპიტანი იქნება,"* - ეს სიტყვები კი თვითონ შააფს ეკუთვნის.

ბაუმანის წასვლის შემდეგ, ტორსტენ ფრინგსი „ვერდერის" ყველაზე ასაკოვანი მოთამაშეა. ის ბრემენულ კლუბში 1996-დან 2002 წლამდე თამაშობდა, რის შემდეგაც კარიერა ჯერ დორტმუნდის „ბორუსიაში", მერე კი მიუნხენის „ბაიერნში" გააგრძელა და „ვერდერში" 2005 წელს დაბრუნდა. ფრინგსს ბუნდესლიგაში სულ 340 მატჩი აქვს ჩატარებული, აქედან, 264 შეხვედრა მან „ვერდერის" ფორმით გამართა. 37 გოლიდან, ტორსტენს 24 „ვერდერისთვის" აქვს გატანილი. აქვე შეგახსენებთ, რომ ფრინგსს გერმანიის ეროვნულ ნაკრებში 79 შეხვედრა აქვს ჩატარებული (10 გოლი). 2002 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, 2006 წელს მუნდიალზე ბრინჯაოს მედალი აიღო, 2008 წელს კი ევროპის ვიცე-ჩემპიონობას გამოჰკრა ხელი.

ვოლფსბურგი

# მილანის პუნქტი ჯეკოს

## ...და უსარგებლო ფეხბურთელები გარეთ!

„ლელოს" მკითხველებს მოეხსენებათ, რომ „მილანს" „ვოლფსბურგის" ბოსნიელი თავდამსხმელის, **ედინ ჯეკოს** გადაბირება ძალიან უნდოდა და მზად იყო, გერმანიის ჩემპიონისთვის ბოსნიელ ფორვარდში 30 მილიონი ევრო გადაეხადა, მაგრამ „როსონერიმ" „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებისგან მტკიცე უარი მიიღო. „მგლებმა" „მილანს" შეუთვალეს, ჯეკოს 50 მილიონ ევროდაც კი არ დავთმობთო. „ვოლფსბურგერ ალგემაინე ცაითუნგის" ცნობით, „ვოლფსბურგი" ჯეკოს ახლა ისეთ კონტრაქტს უფორმებს, სადაც მისი ყველა სურვილი გათვალისწინებული იქნება.

უმთავრესი სიახლე ის არის, რომ ჯეკოს ფაქტობრივად გაორმაგებული ხელფასი ექნება და წელიწადში დაახლოებით 5 მილიონ ევროს მიიღებს და ამავდროულად, მის ახალ კონტრაქტში ჩაიდება პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ბოსნიელს 2010 წლის ზაფხულში, ანუ გაისად, „მილანში" გადასვლა შეეძლება. და რაც ყველაზე საინტერესოა, ამ პუნქტში წერია, რომ გაისად „მილანმა" ჯეკოს სანაცვლოდ 20 მილიონ ევროზე მეტი არ უნდა გადაიხადოს. ეს იმ დროს, როცა წელს „როსონერი" 30 მილიონს იხდიდა.

ჯეკოსთან ერთად, „ვოლფსბურგმა" ახალი კონტრაქტები გაუფორმა ბრაზილიელებს, კაპიტან **ჟოსუესა** და გოლეადორ **გრაფიტეს**. მთავარი მწვრთნელისა და გენერალური მენეჯერის, **არმინ ფეეს** უახლოესი მიზანი კი ფლეიმეიკერ **ზვიეზდან მიშიმოვიჩისთვის** და მეკარე **დიეგო ბენალიოსთვის** ახალი ხელშეკრულებების გაფორმებაა. „ვოლფსბურგი" ამ ფეხბურთელებსაც უმატებს ხელფასს.

ფეე მიიჩნევს, რომ დღესდღეობით „ვოლფსბურგის" განაცხადში ძალიან ბევრი ფეხბურთელია და მას შემადგენლობის რესტრუქტურიზაცია სურს. ფეე საქმეს ძალიან ფრთხილად ეკიდება, რადგან გუნდმა ჩემპიონთა ლიგაშიც უნდა იასპარეზოს და ამ სპეციალისტს უკვე აქვს გარკვეული გამოცდილება - სამი წლის წინათ, მან ჩემპიონთა ლიგაში „შტუტგარტი" გაიყვანა, რომელიც ასევე სენსაციური ჩემპიონი იყო და გეხსომებათ, რომ შვაბებმა ჩემპიონთა ლიგაში ძალიან ცუდი შედეგი აჩვენეს (ჯგუფში 5 თამაში წააგეს და მხოლოდ ერთი მოიგეს). ახლა კი ფეე ამბობს, რომ მისი მიზანი მინიმუმ მერვედფინალში გასვლაა.

*„მთავარი ის არის, რომ არ უნდა გვეშინოდეს და არც შეგვეშინდება. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში იმიტომ კი არ გავდივართ, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა დიდი გუნდების ფეხბურთელებს მაისურები გაუცვალონ. ჩემპიონთა ლიგის დატვირთვა ამ ფეხბურთელებს ჯერ არ გამოუცდიათ და მე მათ დღენიადაგ ვუმეორებ, რომ სიფრთხილეა საჭირო,"* - აცხადებს ფეე.

ფაქტია ისიც, რომ „ვოლფსბურგი" რამდენიმე მოთამაშეს შეელევა, რადგან მაგათმა ფეეს 40 ფეხბურთელისგან შემდგარი შემადგენლობა დაუტოვა. „მგლების" მწვრთნელს ახალი სეზონისთვის განაცხადში 27-ზე მეტი მოთამაშე არ სურს. გუნდს პირველ რიგში ის ფეხბურთელები დატოვებენ, რომლებიც გასულ სეზონში განათხოვრებულები იყვნენ და დაბრუნების შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არ აქვთ. ფეე ამბობს, ამ დღეებში რამდენიმე ფეხბურთელს ვეტყვი, რომ მათ მეორე გუნდში უნდა ივარჯიშონო. „ვოლფსბურგის" განაცხადში ნამდვილად ველარ ვიხილავთ **სერგიუ რადუს, ვლად მუნტეანუს, მაჰირ ზალიკს, ალექსანდერ ლაასსა და როდრიგო ალვიმს.**

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჭიდაობა



მინისტრი ჩემპიონებთან და პრიზიორებთან

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# გაზრდილი წარმატება და პრემიები

მოჭიდავეთა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მედალოსნებს გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **ნიკოლოზ რურუა** შეხვდა, რომელმაც ათივე მედალოსანი გუნდების მთავარ მწვრთნელებთან ერთად მიიწვია. მინისტრმა სპორტსმენებს მედლები მიულოცა და სამომავლოდ წარმატებები უსურვა. „რამდენადაც ვიცი, ახლანდელი შედეგი შარშანდელზე უკეთესია - ამჯერად ერთი მედლით მეტი მოვიპოვეთ. ესეც რომ არა, ევროპის ჩემპიონატზე 10 მედალი ძალიან კარგი შედეგია და დიდ მადლობას გიხდით ყველას - სპორტსმენებსაც, მწვრთნელებსაც და ფედერაციასაც, ვინც ამ წარმატებაში წვლილი შეიტანა. სულ მალე მსოფლიოს პირველობა გელოდებათ და მჯერა, იქაც კარგად იჭიდავებთ. მსოფლიოს ჩემპიონატისთვისაც და სამომავლოდაც ჩვენ ყველანაირად დაგეხმარებით მომზადებაში, რათა ასევე კარგად იასპარეზოთ. დიდი მადლობა ფედერაციას და ყველა უწყებას, ვინც ჩემპიონატის ორგანიზებაში მონაწილეობდა და ასეთ მაღალ დონეზე მისი ჩატარება უზრუნველყო," - განაცხადა რურუამ.

მინისტრი სპორტსმენებს ხელცარიელი არ დახვედრია და მათ გაზრდილი პრემიების შესახებაც აცნობა. ევროპის ჩემპიონები **მინდია წულუკიძე** და **ვლადიმერ ქარჩავა** (ორივე - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **გიორგი მაყიშვილი** და **გიორგი ხუჭუა** (ორივე – თავისუფალი ჭიდაობა) სახელმწიფოსგან ჯილდოდ 10-10 ათას ამერიკულ დოლარს მიიღებენ, ვიცე-ჩემპიონები **არჩილ თურმანიძე** (ბერძნულ-რომაული), **დავით მარსაგიშვილი** და **გიორგი საკანდელიძე** (ორივე - „თავისუფალი") – 5-5 ათასს, ბრინჯაოსმედალოსნები **ქემალ ხარაბაძე** (ბერძნულ-რომაული), **ლაშა ლომთაძე** და **დავით ხუციშვილი** (ორივე - „თავისუფალი") 3-3 ათასით დაჯილდოვდებიან. რურუას თქმით, ეს პრემიები სპორტსმენებისთვის სამომავლოდ კარგი სტიმული იქნება. აღსანიშნავია, რომ თანხები, შარშანდელთან შედარებით, გაორმაგებულია.

შეხვედრაზე ბაზების თემასაც დიდი ადგილი დაეთმო, მაგრამ ყველაზე მწვავედ გორში ახალი, დიდი დარბაზის მშენებლობის საკითხი დაისვა. იქაური დარბაზი ჭიდაობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია, მაგრამ პატარაა და ყველა მსურველს ვერ იტევს. გორელთა გასაჭირზე იქაურმა მწვრთნელმა, „თავისუფალთა" ნაკრების თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** ილაპარაკა. მისი თქმით, ყოველ ვარჯიშზე დარბაზში იმდენი ბავშვია, ერთ სპორტსმენზე ერთი კვადრატული მეტრიც არ მოდის. იქვე მან რიტორიკულად იკითხა, როცა ხუთკაციან ოლიმპიურ გუნდში ერთ ქალაქს სამი მოჭიდავე ეყოლება, ერთ ნორმალურ დარბაზს ხომ იმსახურებსო. მინისტრმა სხირელს ამ პრობლემის მოგვარების პირობა მისცა და მერე ზოგადად, ქვეყანაში საჭიდაო დარბაზების მდგომარეობითაც დაინტერესდა. მისთვის ერთგვარი სიურპრიზი აღმოჩნდა ის, რომ გორელები ყველა დიდი ტურნირისთვის მშობლიურ ქალაქში ემზადებიან, თბილისში კი მხოლოდ სანაკრებო შეკრებებზე ჩამოდიან. რურუას თქმით, ბაზების მშენებლობის მხრივ ქვეყანაში ბევრი გაკეთდა, მაგრამ მეტია გასაკეთებელი, სახელმწიფო კი მოჭიდავეთა დასახმარებლად კვლავაც ყველაფერს გააკეთებს.

**ირაკლი თავაძე**

დიდი სპორტის კარიბჭესთან

# ლომიძე, როგორც ვაზაგაშვილი

ცოტა ხნის წინათ სლოვენიის ქალაქ კოპერში ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის საქართველოს ნაკრებმა სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ერთ-ერთი 66 კგ-ში მოსაპარეზე გორელი ძიუდოისტის ირაკლი ლომიძის წილად მოდის. მან მეოთხედფინალში განცდილი ერთადერთი მარცხის გარდა ყველა ორთაბრძოლა წმინდა გამარჯვებით დაასრულა. ლომიძეს ჭიდაობის საკუთარი სტილიდან გამომდინარე დიდი ხანია ვაზაგაშვილს ადარებენ და მეტსახელ „ვაზაგათი" მიმართავენ.

— თითქმის იმ პერიოდიდან, როდესაც ძიუდოში ვარჯიში დავიწყე ვაზაგაშვილს მადარებენ. რასაკვირველია, იქამდე ბევრი მიკლია, მაგრამ შედარებაც დიდი სტიმულია ჩემთვის, – გვითხრა ირაკლიმ.

მწვრთნელებმა გვითხრეს, რომ ეს ჭაბუკი ვაზაგაშვილივით ტექნიკურად ჭიდაობს, ისეთივე ტანდაბალია და ხშირად მასავით დროის მცირე მონაკვეთში იგებს შეხვედრებს. ასე იყო ზემოხსენებულ ევროპის ჩემპიონატზეც. განსაკუთრებით კარგად აქვს დამუშავებული მეტოქის მაჯის "გათიშვა", რის შემდეგ ულამაზესი ილეთი - კისრული გარანტირებულია. თანაც ეს ილეთი მშვენივრად გამოსდის.

საქართველოს ჩემპიონატზე ხუთი შეხვედრიდან ოთხი იპონით მოიგო. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი შარშანაც გახდა თანატოლებში და მაშინაც ნახევარფინალსა და ფინალში იპონებით გაიმარჯვა.

გაისიდან ჭაბუკთა ნაკრებს დაემშვიდობება და ახალგაზრდებში იჭიდავებს. მანამდე კიდევ სურს თანატოლებში რამდენიმე ტიტულის მოპოვება. კერძოდ, უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ორ სერიოზულ შეჯიბრებაზე გამოვა ჭაბუკთა ნაკრები. ჯერ ფინეთში X ოლიმპიური ფესტივალია, 8 აგვისტოს კი მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება...

**ვასილ ბალახაძე**

ავტორის ფოტო



ირაკლი ლომიძე

პლაჟბურთი

# საქა-რთველომ დიდ სლემზე შეაღწია



შვეიცარიის კურორტ გშტაადში დაიწყო პლაჟის ფრენბურთის მსოფლიო ტურის დიდი სლემის გათამაშება. ტურნირის საპრიზო ფონდი 600 ათასი ამერიკული დოლარია, რომელიც თანაბრად ნაწილდება ვაჟებსა და ქალებზე. ჩვენი პლაჟბურთელები 24-გუნდიან ძირითად ბადეში ვერ მოხვდნენ და მათ ტურნირში საკვალიფიკაციო ბადიდან მოუწიათ ჩაბმამ.

ქალთა დუეტმა **საქა-რთველომ** მსოფლიოს ჩემპიონატზე სტავანგერში საპატიო მე-9 ადგილი დაიკავა. გუნდის წევრები არიან 30 წლის **კრისტინა სანტანა** (საქა) და 31 წლის **ანდრეზა მარტინსი** (რთველო). ჩვენებურები მე-2 ნომრად განთესეს, რაც პირველ წრეში დასვენების საშუალებას იძლეოდა. ძირითად ბადეში გასასვლელად საკმარისი იყო მეორე წრეში გამარჯვება და გუშინ ჩვენებმა ეს მოახერხეს, საქამ და რთველომ მე-17 ნომრად განთესილ ბრიტანელებს, **მალინს** და **დემპნეის** აჯობეს - 2:1 (25:27, 21:15, 15:13). როგორც ხედავთ, დაძაბული მატჩი გამოდგა, შეხვედრამ 53 წუთს გასტანა. ვაჟთა დუეტი **გეორ-გია** საკვალიფიკაციო ბადეში დღეიდან ჩაებმება, რადგან ვაჟთა ტურნირი ქალებისას ერთი დღით ჩამორჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ჯავახაძე ლიდერია

ესპანეთის ქალაქ ბარბერაში რიგით 32-ე საჭადრაკო პირველობა იმართება. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირში 4 ქართველი მონაწილეობს. მესამე ტურში 16 წლის **ზურაბ ჯავახაძემ** პოლონელი **დომინიკ ორყეჩი** დაამარცხა თეთრი ფიგურებით. საერთაშორისო ოსტატმა **ანა მათნაძემ** თეთრებით დათმო ტურნირის პირველ დაფასთან, უნგრელ დიდოსტატ **საბა ბალოგთან.** სამწუხაროდ, წააგო ქალთა შორის დიდოსტატმა **სოფიკო გურამიშვილმაც.** ამ ტურში ოთხივე ქართველი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, სოფიკომ კოლუმბიელ **ხაიმე კუარტასთან** დათმო. სამაგიეროდ, გამარჯვება იზეიმა **ლევან ბრეგაძემ**, ვინც ირანელ **ანირუდჰა დეშპანდეზე** ძლიერი აღმოჩნდა. ტურნირს 3-3 ქულით ოთხი მოჭადრაკე ლიდერობს, მათ შორის ზურაბ ჯავახაძეა.

ჯავახაძე მე-4 ტურში სწორედ ერთ-ერთ ლიდერს ეთამაშება, მასპინძელ **ხოსეპ მანუელ ლოპესს**. ქართველი შავი ფიგურებით თამაშობს. ბრეგაძეს 2 ქულა აქვს, მისი მეტოქეც ესპანელია - **ლუის პერპინია** (დღეს ყველა ქართველი შავებით თამაშობს). სოფიკო გურამიშვილიც ესპანელ **ემილიო სანჩესს** დაუპირისპირდება, ხოლო ანა მათნაძის მეტოქე ლიტველი მოჭადრაკე **პოვილას ლასინსკასია**. ჩვენს გოგონებს 1,5-1,5 ქულა აქვთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქალები ურეკში ემზადებიან

წლეულს მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატს 2-14 სექტემბერს ჩინური ნინგბო უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ მას მეტოქეობას გაუწევენ რუსეთი, უკრაინა, ამერიკა, პოლონეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ალჟირი, კუბა და სომხეთი. ქართველმა დიდოსტატებმა ამ ტურნირისთვის მზადება უკვე დაიწყეს. 4 ივლისს ისინი ურეკის სასტუმრო „კოლხიდაში" დაბინავდნენ და მწვრთნელების — **ზურაბ სტურუას, დავით არუთინიანისა** და კაპიტან **ნინო გურიელის** ხელმძღვანელობით ათდღიან საწვრთნელ შეკრებას შეუდგნენ (გუნდს მოგვიანებით შეუერთდება **სოფიკო ხუხაშვილი**, რომელიც ამჟამად თურქეთის საკლუბო ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდის). შეკრების შემდეგ სათამაშო პრაქტიკის მისაღებად გუნდის წევრები საერთაშორისო ტურნირებში გამოცდიან ძალებს. 29 აგვისტოს კი ჩინეთს გაემგზავრებიან, რათა შეჯიბრების დაწყებამდე აკლიმატიზაცია მოასწრონ.

**ვაჟა დანელია**

ავტოსპორტი

# რჩეული მოყვარულებსაც ჰყავთ



რუსთავის ეროვნულ ავტოდრომზე მოხშირდა საინტერესო შეჯიბრებები, მათ რიცხვში მოყვარულთა შორისაც, რაც ეროვნული საავტომობილო ფედერაციის დამსახურებაა. ამჯერად მოყვარულთა შორის რუსთავის ავტოდრომზე, პროფესიონალთა მსგავსად, წყვილთა რბოლა მოყვარულთა შორის გაიმართა. საუკეთესო მომზადება და მიზანსწრაფვა გამოავლინა **ირაკლი კუხიანიძემ**, რომელმაც საბოლოო ჯამში პირველობა არავის დაუთმო, მეორე ადგილზე გავიდა **ვახტანგ წაწალაშვილი**, მესამეზე — **კოტე კოლიაშვილი**. დავძენთ, რომ ორი თვის წინათ, იქვე, მოყვარულთა შეჯიბრება ფიგურულ სლალომშიც გაიმართა, მაგრამ მაშინ მოყვარულებს შორის პროფესიონალებმაც იასპარეზეს. ამჯერად კი სარბიელი მხოლოდ მოყვარულებს დაეთმოთ. ალბათ ასე სჯობს.

19 ივლისს რუსთავის ავტოდრომი პროფესიონალთა შორის "რომპეტროლის" წრიული რბოლის მეოთხე ეტაპს უმასპინძლებს.

**თენგიზ თომაშვილი**

რაგბი

# ლამის ამერიკამაც გაგვასწრო

IRB-იმ ახალი რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა. მართალია, არ შეცვლილა „ბორჯღალოსანთა" მდგომარეობა კლასიფიკაციაში, მაგრამ საქართველოს ნაკრებს მდევრები მიუახლოვდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში აშშ-ის ნაკრებმა კანადა დაამარცხა 12:6, რის წყალობითაც სარეიტინგო ქულები საგრძნობლად მოიმატა, თუმცა 25 მეასედი ქულა არ ეყო ჩვენი გუნდის გადასასწრებად. საქართველოს ნაკრები 66,85 ქულით ისევ მე-18 ადგილზეა. გთავაზობთ რეიტინგის პირველ ათეულს.

| | |
|---|---|
| 1. ახალი ზელანდია | 90,68 |
| 2. ს. აფრიკა | 89,45 |
| 3. ავსტრალია | 86,32 |
| 4. ირლანდია | 83,27 |
| 5. საფრანგეთი | 81,48 |
| 6. არგენტინა | 81,29 |
| 7. ინგლისი | 81,23 |
| 8. უელსი | 80,74 |
| 9. ფიჯი | 76,52 |
| 10. შოტლანდია | 75,23 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ცნობილ მორაგბეს, ევროპის ერთა თასის მფლობელს, მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპის მონაწილეს, საქართველოს ნაკრების ყველაზე შედეგიან მორაგბეს **პავლე ჯიმშელაძეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

სატრანსფერო ამბები

# ატლანტელი ქომაგი: ოღონდ დარჩი და ზაზას დღეს დავაარსებთ

ფეხბურთში კარგი გამოთქმა აქვთ – გოლი მწიფდებაო. ასე მომწიფდა **ზაზა ფაჩულიას** კონტრაქტი...

ოღონდ, ჯერ ვერ გეტყვით, რომელ გუნდთან გააფორმებს ხელშეკრულებას. ყველა ამერიკული გაზეთი სხვადასხვა გუნდს ასახელებს. ერთნი "ჰიუსტონ როკეტსს", მეორენი – "სან ანტონიოს", მესამენი – ისევ "ატლანტას".

აი, რა წერია "პროჯექტსპურსში": "ბოსტონ სელტიქსმა" რაშიდ უოლასი დაიმატა. იგი "სან ანტონიოს" ერთ-ერთი სამიზნე იყო. თავისუფალ აგენტთა ბაზარზე დარჩა სამი კალათბურთელი, რომელთაგან ერთ-ერთი "სპურსში" გადავა – ანტონიო მაკდაიესი, ზაზა ფაჩულია, ბრენდონ ბასი."


ზაზა ფაჩულია

ატლანტურ გაზეთ "კონსტიტუშენში" უფრო კონკრეტულად საუბრობენ: "ატლანტელთა გენერალური მენეჯერი რიკ სანდი ვაშინგტონში მიემგზავრება, სადაც ზაზა ფაჩულიას, მერვინ უილიამსისა და ჯოშ ჩილდრესის აგენტებს დაელაპარაკება. წინასწარ ძნელია განსაზღვრა, რა შედეგს გამოიტანს ეს მოლაპარაკება.

ბოლო დღეებში აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს ფაჩულიას შემცვლელის, დეივიდ ანდერსენის დამატებაზე. ეს ბევრ ატლანტელს ნამდვილად არ ახარებს, რადგან არ სურთ ზაზა ფაჩულიასთან განშორება. ქართველმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია კევინ გარნეტთან და დუაიტ ჰოვარდთან თანაბრად თამაში.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და იმედი დავიტოვოთ, რომ ზაზას აგენტი და "ატლანტას" გენერალური მენეჯერი საერთო ენა გამონახავენ."

გუშინვე "მეტბლოგსში" ამოვიკითხეთ ერთი გულშემატკივრის ღია წერილი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: "ძვირფასო ზაზა".

აი, რას წერს "ატლანტას" თავგადაკლული ქომაგი ჯეიმსი: "გთხოვ, დარჩი. ბოლო წლებში გულიანი თამაშით თავი შეგვაყვარე.

*სხვაგან რომ წახვიდე რიგითი ევროპელი ბიჭი იქნები, აქ კი ყველას უყვარხარ...*

*ვიცი, რომ "ჰოქსის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებ და ისიც ვიცი, რომ გუნდში დარჩენაზე ყოყმანობ. ამჟამად ნიუ იორკში ხარ და დარწმუნებული იყავი, რომ "ნიქსის" გულშემატკივარი ისე ვერ შეგიყვარებს, როგორც ატლანტელებს გვიყვარხარ.*

*თუ დამიჯერებ, ნაყინზე მეტად მიყვარხარ, ატლანტის მერიაში წინადადებას შევიტან, ზაზა ფაჩულიას დღის დაწესების მოთხოვნით, ბილბორდებზე შენს მაისურებს ჩამოვკიდებ, ოღონდ დარჩი...*

*გთხოვ, შენი ჯეიმსი."*

ასე და ამგვარად, გამოიკვეთა კიდევ ერთი დაინტერესებული მხარე – "ნიუ იორკ ნიქსი". როგორც ვთქვით "გოლი" მწიფდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ ნაოპერაციებ გიორგი შარაბიძესთან

# ვალენსიური დებიუტის მოლოდინში


გიორგი შარაბიძე

**საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მეფარე გიორგი შარაბიძე იძულებით რომ გამოაკლდა, ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის. გიორგის მენისკი ჰქონდა დაზიანებული და ოპერაცია დასჭირდა. შარაბიძე საქართველოში ექვსი დღის ჩამოსული იყო, როცა შეიტყო, რომ ქირურგიული ჩარევა სჭირდებოდა, ექიმებს ესპანეთში ჩააკითხა და ოპერაცია ვალენსიაში გაიკეთა.**

**მეხუთე დღეა, იგი რეაბილიტაციას გადის და უკვე ფეხზეც წამოდგა. დანარჩენზე თავად გიორგი გვესაუბრება.**

- მენისკი ცუდ მდგომარეობაში მქონდა. ექიმებმა მუხლი მთლიანად გამისუფთავეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, რეაბილიტაციაც ნორმალურად მიმდინარეობს და ვარჯიშს მომდევნო ორშაბათიდან დავიწყებ.

**- ექიმებმა ვარჯიშის განახლების უფლება ასე მალე მოგცეს?**

- ჯერ მსუბუქად ვივარჯიშებ, მუხლს ძალას არ დავატან, დატვირთვებს ნელ-ნელა მოვუმატებ და სრულყოფილად ვარჯიშს 20 ივლისიდან შევუდგები.

**- ფეხი აღარ გტკივა?**

- ცოტა მაწუხებს, რაც ოპერაციის შემდეგ ჩვეულებრივი მოვლენაა.

**- მუხლის დაზიანება რამ გამოიწვია?**

- რთული სეზონი მქონდა. ტრავმების გამო, თითქმის ნახევარი წელი გამიცდა. იყო შემთხვევა, როცა ფეხი ბოლომდე არ მქონდა მორჩენილი, მოედანზე გამოვედი და ახალი ტრავმა მივიღე. ერთ ტრავმას მეორე ემატებოდა...

**- ალბათ, გული გწყდება საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში რომ ვერ ითამაშებ...**

- რა თქმა უნდა. თან, ესპანეთში ნაკრებისთვის სპეციალურად მოვემზადე. საუკეთესო ფორმაშიც ვიყავი, მაგრამ...

**- 20-წლამდელებში ცენტრის ფუნქციების შესრულება შენ და რიჩარდ მათიაშვილს მოგიწევდათ...**

- ესპანეთში ძირითადად ცენტრად მათამაშებდნენ, თუმცა, მძიმე ფორვარდის ფუნქციების შესრულებაც შემიძლია. მწვრთნელს, სადაც დავჭირდები, იქ ვითამაშებ. რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, გუნდში ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი და მიზნებიც შესაბამისი უნდა ჰქონდეს – A დივიზიონში გადასვლა. ეს შესაძლებელია. გუნდთან ერთად რამდენიმე დღე ვივარჯიშე და კარგად დავინახე, რომ მწვრთნელი გუნდურ თამაშს დიდ ყურადღებას აქცევს, რაც წარმატების საწინდარია.

**- „ვალენსიას" შემადგენლობაში პირდაპირ პლეი ოფებისას გამოჩნდი, რაც მოულოდნელი იყო...**

- გუნდში ორი ცენტრი ჰყავდათ. თუკი, რომელიმე ტრავმას მიიღებდა, მისი ადგილი მე უნდა დამეკავებინა, მაგრამ რამდენჯერაც განაცხადში მოხვედრის შანსი მომეცა, იმდენჯერ ტრავმირებული ვიყავი და მხოლოდ პლეი ოფებში მომიწია ძირითად გუნდში გამოჩენამ.

**- „ბარსელონასთან" მეოთხედფინალურ, განაცხადში მოხვედრა კარგი საქმეა, მაგრამ მოედანზე გასვლა უკეთესი იქნებოდა...**

- პირველი მატჩის მეორე ტაიმში მწვრთნელმა მითხრა, მზად იყავი, შეიძლება მოედანზე შეხვიდეო. იმ ეპიზოდში ჩვენს ორივე ცენტრს სამ-სამი ჯარიმა ჰქონდათ... მაგრამ მას შემდეგ, ორივემ უჯარიმოდ ითამაშა და შესვლამ აღარ მომიწია. „ბარსასთან" განმეორებით შეხვედრაში დიდი სხვაობით წავაგეთ. ველოდი, ბოლო წუთებზე მაინც მათამაშებს-მეთქი, მაგრამ მწვრთნელმა, ნევენ სპაჰიამ მითხრა – გამიგე, ახლა თამაშში არ ჩაგრთავო...

**- როგორც ჩანს, იგი კარგი პიროვნებაა. აბა, რომელი მწვრთნელი ეტყოდა შეგირდს, გამიგეო...**

- სპაჰია ძლიერი სპეციალისტი და კარგი ადამიანია. იგი ვარჯიშებისას ახალგაზრდებს ყურადღებას არ გვაკლებს. ურთიერთთამაშებისას ისევე გვენდობა, როგორც გუნდის გამოცდილ წევრებს.

**- მინდა გამოცდილ ვალენსიელზე, შემონდ უილიამსზე გკითხო.**

- მასთან შეხვედრა არასოდეს დამავიწყდება: პირველ დღეს, გასახდელში რომ შევედი, მკითხა, სადაური ხარო. ქართველი-მეთქი. გაუხარდა და ჩვენს ენაზე გამართულად მითხრა – „გამარჯობა!" ვარჯიშებისას დიდ ყურადღებას გვაქცევს. როგორც ჩანს, საქართველოდან კარგი შთაბეჭდილებები გაჰყვა.

**- შემონდი და თორნიკე შენგელია შენი თანაგუნდელები არიან. ესპანეთში მოთამაშე სხვა ქართველებს თუ ხვდებოდი?**

- კოკა ტომარაძეს ესპანეთის 20-წლამდელთა პირველობაზე შევხვდით. მის „ბარსელონასთან" ერთი მატჩი წავაგეთ, მეორე – მოვიგეთ.

**- რადგან შეჯიბრებები ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომელ ტურნირზე როგორ ითამაშე.**

- ესპანეთის 20-წლამდელთა პირველობაზე ერთი-ორი შეხვედრა კარგად ჩავატარე, მაგრამ შემდეგ ტრავმა მივიღე და რამდენიმე მატჩი გამიცდა. „ვალენსიას" დუბლშემადგენლობა EBA-ზე თამაშობდა. იქაც ვერ გამოვავლინე შესაძლებლობები, ისევ და ისევ ტრავმების გამო.

**- გაისადაც „ვალენსიაში" ითამაშებ?**

- გუნდში 2008 წელს გადმოვედი და ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ხელშეკრულების მიხედვით „ვალენსიაში" კიდევ ერთი სეზონი უნდა გავატარო. 20 ივლისიდან ვარჯიშს რომ დავიწყებ, შემდეგ ისევ დავისვენებ, ასე მირჩიეს მწვრთნელებმა და ექიმებმა. აგვისტოს შუა რიცხვებიდან კი გუნდთან ერთად შეკრებაში ჩავერთვები...

**- მწვრთნელმა თუ გითხრა, რა როლი დაგეკისრება მომავალ სეზონში?**

- „ვალენსიაში" ორი ცენტრია. მგონი, მესამის აყვანას არ აპირებენ. ჰოდა, მესამე ცენტრი მე უნდა ვიყო. თუმცა, კონკრეტულად რა როგორ იქნება, სეზონის დაწყების შემდეგ გამოჩნდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ახლა მთავარია მონაწილეობა

**ახლახან** დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატში ქალ კალათბურთელთა შორის მონაწილეობდა მხოლოდ ოთხი გუნდი. მათ შორის იყო გორის ნაკრები, რომელსაც გამოცდილი მწვრთნელი ვერა შავშიშვილი ავარჯიშებს. მისი დამსახურებაა, რომ ქალთა კალათბურთი შიდა ქართლშიც განაგრძობს არსებობას. მართალია, გორელ გოგონებს ოთხგუნდიან ჩემპიონატში წარმატებულად არ უასპარეზიათ, მონაწილეობა თავის დადებით შედეგს უთუოდ მოიტანს. თუმცა წარუმატებლობას აქვს მიზეზები.

- ჩვენში სპორტის ამ სახეობის განვითარების გზაზე ერთ-ერთ უმთავრეს თავსატეხად კვლავ რჩება დარბაზები, ანუ არასათანადო სავარჯიშო პირობები. პირველ ყოვლისა, გორის გუნდის სავარჯიშო პირობებზე მინდა გავამახვილო ყურადღება. დარბაზი, სადაც ჩვენ ვატარებთ მეცადინეობებს, არც შარშანდელ აგვისტომდე ყოფილა სახარბიელო მდგომარეობაში, მაგრამ საომარი მოქმედებების დროს შენობაში მომხდარი აფეთქების შედეგად ჩამსხვრეულია მინები, არ არის საშხაპეები, გათბობა, რიგიანი იატაკი. ამიტომაც სტუმრად ჩავატარეთ ყველა მატჩი – ამბობს ქალბატონი ვერა.

**- თქვენს გუნდში ვეტერანი კალათბურთელები გამოჩნდნენ...**

- ესენია, ლალი გოჩაშვილი, მარიკა ხაჩიშვილი, ნატო ომაძე და ეთერ კოზინი (ეს უკანასკნელი ყოფილი ფეხბურთელის ვოვა კოზინის შვილია). მათი ასაკი 32-დან 39 წლამდეა და ათ წელიწადზე მეტია კალათბურთი არ უთამაშიათ. მიუხედავად ამისა, ეს სპორტსმენები ჩვენი კოლექტივის მთავარ შემტევ ძალას წარმოადგენდნენ. უმცროსი ასაკის გოგონებთან შეთამაშების შემდეგ ვეტერანებმა ადრინდელივით კარგად წარმოაჩინეს თავი. ცუდი ის იყო, რომ რიგიანი შეთამაშება ჩემპიონატის მიწურულს მოხერხდა. სწორედ გამოცდილებმა შემოიტანეს გუნდში კომბინაციური თამაში. შედეგის მიუხედავად, შეგირდებით უკმაყოფილო არ ვარ. მატჩებს უმეტესად ძირითადი დროის ბოლო მონაკვეთში ვაგებდით. ასე რომ, არასათანადო პირობებში მზადებამ იჩინა თავი.

**- რამდენადაც ვიცით, სხვა პრობლემებიც გქონდათ...**

- ალბათ, ფინანსურს გულისხმობთ. მადლობა გიორგი კანდელაკს, რომელიც მხარში დაგვიდგა და რამდენიმე მატჩზე გამგზავრება დაგვიფინანსა. მერე ბიუჯეტიც წამოგვეშველა და გათამაშებას არ გამოვთიშულვართ. ქვეყნის პირველობის მომდევნო ეტაპი ნოემბერში გაიმართება და აუცილებლად უნდა ვითამაშოთ, თორემ მისი გამოტოვებით შესაძლოა ჩემპიონატს დიდი ხნით ჩამოვცილდეთ.

**ვასილ ბალახაძე**

ჩოგბურთი

# მაკამ გრან-პრიზე ვერ იყოჩაღა

ქართველი გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ **მაკა ჩახნაშვილის** (210) სტარტს WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეში, მაკამ ხომ სეზონში პირველად გააღწია მთავარ ტურნირში. ეს ჩვენმა მე-2 ჩოგანმა ბუდაპეშტში „გაზ დე ფრანს სუეცის" გრან-პრიზე (220 ათასი $) მოახერხა, როცა საკვალიფიკაციო ბატალიებში სამი სერიოზული მეტოქე დაამარცხა. გრან-პრის ძირითადი ბადის პირველ წრეში ქართველის მეტოქე მსოფლიოს 71-ე ჩოგანი, ავსტრიელი **პატრიცია მეირი** იყო. შეხვედრა მაკასთვის კატასტროფულად დაიწყო, ავსტრიელმა პირველი სეტი „მშრალად" მოუგო ქართველს, ბრძოლა მხოლოდ მეორე სეტში შედგა, თანაც თანაბარი. ერთხელ მეირმა მოახერხა მეტოქის მოწოდებაზე გეიმის მოგება, მაგრამ უმალ ჩახნაშვილმა დაიბრუნა გეიმი. ასე გაგრძელდა 5:5-მდე შემდეგ კი, მეირმა კიდევ ერთხელ გატეხა ქართველი თავის მოწოდებაზე, ამჯერად მაკამ ვითარების გამოსწორება ველარ შეძლო და ბუდაპეშტს დაემშვიდობა - 0:6, 5:7.

საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ბიარიცში 100-ათასიანი ტურნირი იწყება, სადაც ძირითად ბადეში 20 წლის **სოფიო შაფათავა** (272) თამაშობს. კენჭისყრამ მას მე-4 ჩოგანი, რუმინელი **ალექსანდრა დულგერუ** (85) შეახვედრა. ეს ჩოგბურთელები ერთმანეთს პირველად ეთამაშებიან. წყვილთა თანრიგში სოფიო ფრანგ **კონსტანს სიბილესთან** (775) ერთად თამაშობს.

თურქეთის ქალაქ გაზიანთეფში 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ვერ გააღწია **ანა ჯიქიამ**, რომელმაც ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში რუს **ტამარა ბიჟუკოვასთან** წააგო - 6:2, 5:7, 3:6. ასე რომ, ძირითად ტურნირში მხოლოდ ერთი ქართველია, **მანანა შაფაქიძე** (723) მე-3 ნომრად განთესეს. მანანას პირველი მეტოქე ფრანგია, **ელოდი როჟე-დიტრიხი** (939).

აშშ-ის ქალაქ პიტსბურგის ტურნირში (10 ათასი $) 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (757) პირველ წრეში მე-7 ნომრად განთესილ კანადელ **მილოშ რაონიჩს** (732) ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მაკა ჩახნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი დროში

# ახალი ერა ძიუდოში ჩოჩიშვილით დაიწყო

**ფუტკრის სკასავით მოზუზუნე „ბასკეტბალ ჰალე“ წამით გაშეშდა — ასეთ სასწაულს არავინ ელოდა. მერე ისევ იხუვლა და მქუხარე ტაშით შეეგება ლეგენდის დაბადებას. ეს მოხდა 1972 წლის პირველ სექტემბერს მიუნხენში. ახალგაზრდა ფალავანმა შოთა ჩოჩიშვილმა ქართული „ბრუნით“ ისე დაანარცხა ტატამზე ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ფუმიო სასახარა, რომ წამოდგომა გაუჭირდა. არადა, ხუთიოდე წუთით ადრე, სარბიელზე გასვლის წინ, ფოტოჟურნალისტები სახეგაბადრულ იაპონელს ეხვეოდნენ, რათა დროულად მიეწოდებინათ თავიანთი გამოცემებისთვის ქვემძიმე წონაში ოლიმპიური ჩემპიონის სურათები.**



შოთა ჩოჩიშვილი

კენჭისყრისას მეორე წრეში შოთა ჩოჩიშვილს სასახარა რომ შეხვდა, საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების შეშფოთებულ მთავარ მწვრთნელს **ვლადლენ ანდრეევს** კოლეგებისთვის უთქვამს — რაღა მაინცდამაინც სასახარა?! არც არის გასაკვირი. ანდრეევი ხომ ჯიუტად მოითხოვდა ნაკრებში ჩოჩიშვილის დაყენებას. საბჭოთა სპორტის მამები კი გამოცდილ **ევგენი სოლოდუხინს** ამჯობინებდნენ. თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა ფალავანმა, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც კი არ ყოფილა, იოლად სძლია სახელოვან მეტოქეს. ანდრეევმა და საქართველოს მაშინდელი სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი სიხარულიძემ** თავისი გაიტანეს. ამიტომაც გულში გაკენლა სასახარასთან დაპირისპირებამ ნაკრების მთავარ მწვრთნელს, რადგან მეორე წრეში, თუნდაც ოლიმპიური თამაშების ფავორიტთან მარცხისთვის, ვინ იცის, რა შარს მოსდებდნენ.

ანდრეევი, რომელიც შვილივით უყურებდა შოთას, რატომღაც ღრმად იყო დარწმუნებული ქართველი ძიუდოისტის წარმატებაში. ერთხელ მორიგი წვრთნის შემდეგ ნაკრების წევრებისთვის უთქვამს, თუ იცით, რომ თქვენ გვერდით მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი ზისო.

— მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორი კვირით ადრე კისრის არეში ტრავმა მივიღე და მხრისქვეშა კუნთები ისე დამეჭიმა, რომ გერმანიაში ჩემი გამგზავრება ექიმებმა საეჭვოდ მიიჩნიეს, - იგონებს შოთა ჩოჩიშვილი. - ერთადერთი ვლადლენ ანდრეევი იყო შეუვალი - იჭიდავებ და ჩემპიონიც გახდებიო, მითხრა. 1962 წელს **ანზორ კიკნაძემაც** მიიღო ტრავმა, ორი კვირის შემდეგ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, მიუნხენის ოლიმპიადაზე კი შენი ჯერიაო. ისე იყო დარწმუნებული ჩემს გამარჯვებაში, რომ მეც გამამხნევა, რწმენა და ენერგია შემმატა. მართალია, ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ იაპონელ ძიუდოისტთა შიში არ მქონია. თუმცა მათზე ლეგენდები დადიოდა.

ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებთან ქართველი ფალავნის ნაცნობობა ოლიმპიადამდე ორი წლით ადრე დაიწყო — ჯერ ინგლისში, სადაც საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა, მერე კი პოლონეთში ნაკამურას 32 წამში სძლია და იქაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მიუნხენში სასახარასთან შეხვედრამდე ჩოჩიშვილმა ერთგვარი მოთელვაც ვერ მოასწრო, რადგან პირველ წრეში კორეელი **ჩჟო დუ იუნგი** არ გამოუცხადდა. სამაგიეროდ, მომდევნო წრეში იაპონელის უძლეველობის მითი (სასახარას მანამდე მოწინააღმდეგეებთან ორთაბრძოლებში ქულაც არ ჰქონია დაკარგული) მაინც დაასამარა და თავად შეუდგა ოლიმპისკენ მიმავალ გზას. მესამე წრეში ინგლისელი **დევიდ სტარბრუკი** გადაელობა. ბრიტანელი სპორტსმენი ლეგენდის მძლეველთან ღია პაექრობას მოერიდა — თავად არ ჭიდაობდა და შოთასაც არ აძლევდა ამის საშუალებას. ექვსწუთიანი ძიძგილაობა უშედეგოდ დამთავრდა. ხუთიდან სამმა არბიტრმა სტარბრუკს მისცა უპირატესობა. კიდევ კარგი, რომ ინგლისელი ნახევარფინალში გავიდა და ჩოჩიშვილი დამამშვიდებელ ჯგუფში გაიყოლია, სადაც ჩვენებურმა წუთსა და 37 წამში სძლია ფრანგ **პიერ ალბერტინის**, ორწუთ-ნახევარში დაამარცხა ამერიკელი **ჯეიმს უოლი**, სამოცდახუთი წამი მოანდომა აღრიალებული „ბასკეტბალ ჰალეს“ ჩაჩუმებას ალემანთა კერპის — **პაულ ბარტის** დამარცხებით. ფინალში ისევ სტარბრუკს დაუპირისპირდა. ლვლეველმა (ქარელის რაიონი) ფალავანმა ამჯერად შანსი ხელიდან არ გაუშვა. იგი გახდა არამარტო საბჭოთა, არამედ პირველი ევროპელი მოჭიდავე, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა ნამდვილ იაპონურ ქვემძიმე წონაში მოიპოვა. ამომავალი მზის ქვეყნის თეთრკიმონოიანთა მთავარ მწვრთნელს, მეცხრე დანის მფლობელ **შოხეი ხამანოს** ანდრეევისთვის გამარჯვება მიულოცავს და ძიუდოში ახალი ერა იწყებაო, უთქვამს.

მეხუთე რაუნდი ახალი დაწყებული იყო, ჩოჩიშვილმა თავის საყვარელ ილეთზე — ბრუნზე მესამედ რომ წამოიკიდა მეტოქე და ბეჭებით დააბერტყა ტატამზე. მოღრიალე ტრიბუნები ჩაჩუმდნენ. ინოკიმ ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო. ეს გამარჯვება იყო, დიდი გამარჯვება ქართული ფენომენისა... ქომაგები ცრემლმორეული ტოვებდნენ ტრიბუნებს. ტიროდა ინოკიც...

მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ შოთა ჩოჩიშვილმა მრავალ შეჯიბრებაში მიაღწია წარმატებას. ევროპის სამგზის ვერცხლის და ერთხელ ბრინჯაოს პრიზიორმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. საკავშირო პირველობებზე ორ-ორჯერ „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ დაიმსახურა. **ავთანდილ გიორგობიანის** წიგნში („შოთა ჩოჩიშვილი“) სახელოვანი ძიუდოისტი **ანზორ ქიბროწაშვილი** საინტერესო ამბავს იხსენებს: *„ბელგიაში სტუდენტთა მსოფლიოს პირველობაზე, სადაც მსაჯად ვიყავი მიწვეული, ჩოჩიშვილმა პირველი შეხვედრა მოულოდნელად წააგო. უგუნებოდ შეიქმნა და ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა. ჩვენმა თხოვნამ ვერ გაჭრა. ოთახში ჩუმად ვისხედით. ამ დროს კარი გაიღო, ბელგიელი ქართველი ოთხმეზური შემოვიდა, მოგვესალმა და პატარა მაგნიტოფონი ჩართო. ოთახში მუსიკის ჰანგები დაიღვარა. ხმის ამოუღებლად მოვისმინეთ ბუბა კიკაბიძის „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“... სიმღერა რომ ჩამთავრდა, შოთამ მეორედ ჩართო მაგნიტოფონი, ბოლომდე მოუსმინა, მერე უხმოდ წამოდგა და სავარჯიშოდ გავიდა. ოთხი შეხვედრა იპონით მოიგო, თანაც იაპონელი ტატამიდან ხელით გაიტანეს. ჩოჩიშვილს ბრინჯაო ხვდა. რა ვიცოდით, თორემ უფრო ადრე ჩავრთავდით მაგნიტოფონს. უეჭველი „ოქრო“ დავკარგეთ“.*

იაპონელ ძიუდოისტებთან ქართველი მოჭიდავის ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა. 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადაზე აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ცდიდა ძალებს. ჯერ იუგოსლავი **რადომირ კოვაჩევიჩი** დაამარცხა ვაზარით, მერე ჩეხოსლოვაკიელ **ვლადიმირ ნოვაკს** „კოკა“ აართვა. ნახევარფინალში **ხარუკი უემურას** დაუპირისპირდა. ექვსწუთიანი ორთაბრძოლის შემდეგ შეხვედრის ბედი ჰანტეიმ გადაწყვიტა — მსაჯებმა უპირატესობა იაპონელს მიანიჭეს. ბრინჯაოსთვის პაექრობაში ჩოჩიშვილმა ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონ **ჟან ლიუკ რუჟეს** სძლია.

1981 წელს ოლიმპიური ჩემპიონი აქტიური სპორტიდან გააცილეს, მაგრამ ცხოვრების ჯანსაღი წესისა და თეთრი კიმონოსთვის არასდროს უღალატია. უტატამოდ ვერ ძლებდა და ხშირად მიაკითხავდა დარბაზს, სადაც მისი ვაჟი **რამაზი** ვარჯიშობდა (მამის ტრადიციების გამგრძელებელმა საერთაშორისო სარბიელზეც ისახელა თავი — ევროპის ჩემპიონატებზე სამჯერ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა). თავადაც ჯანზე გრძნობდა თავს, ამიტომ 1989 წელს სიამოვნებით მიიღო პროფესიონალი მოჭიდავის **ანტონიო ინოკის** გამოწვევა, რომელიც მანამდე თვით **მუჰამედ ალისაც** კი დაუპირისპირდა.

- იაპონელებმა სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში მოგვიპატიჟეს, სადაც მოულოდნელად 50 რეპორტიორის პირისპირ აღმოვჩნდი, - მითხრა ბატონმა შოთამ. - ამგვარ სიტუაციაში გამოწვევაზე უარს ხომ არ ვიტყოდი, ოღონდ ერთი პირობა წამოვაყენე — ძიუდოს წესებით ვიჭიდავებ-მეთქი. ნაგოიასა და იოკოჰამაში დავესწარი პროფესიონალთა ჭიდაობას. ინოკიმ ორი შეხვედრა მოიგო. უამრავი მაყურებელი ესწრებოდა, იმის მიუხედავად, რომ ბილეთები 500 დოლარამდე ღირდა. სამი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ვივარჯიშე. ორთაბრძოლა 1989 წლის 24 აპრილს გაიმართა.

შეხვედრის წინ მატჩის ორგანიზატორები მოვიდნენ ჩემთან და საუბარში შეპარვით მაგრძნობინეს, რომ იაპონელთა კერპის დამარცხება უხერხული იქნებოდა. ასე ვთქვათ, ერთგვარ გარიგებას მთავაზობდნენ. კიდევ კარგი, რომ მაშინ ჩემ გვერდით იდგა ჭიდაობის ლეგენდა **ლევან თედიაშვილი**. მისი თანდასწრებით ვუთხარი მასპინძლებს — 9 აპრილის შემდეგ საქართველოში გლოვაა და ჩემი წაგება მორალურად გაუმართლებელი იქნება-მეთქი. პრესა და ტელევიზია მართლაც ფართოდ აშუქებდა თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას. მასპინძლებს ხმა არ ამოუღიათ, ცივად გამშორდნენ.

შეხვედრა გაიმართა სტადიონზე, სადაც ბეისბოლის მატჩები ეწყობა. ორთაბრძოლის საყურებლად 54 ათასი გულშემატკივარი მოვიდა. ხუთი სამწუთიანი რაუნდი დაინიშნა. ჩოჩიშვილი ძიუდოს, ინოკი კი კეტჩის წესებით იბრძოდა — დარტყმაც შეეძლო, მტკივნეული ილეთის ჩატარებაც და ჭიდაობაც. ქომაგები აქტიურად უჭერდნენ მხარს თავიანთ კერპს. ტრიბუნების გამაყრუებელი ღრიალი შორეულ სივრცეში იკარგებოდა. ტატამზე კი ქანცგამოლეული სპორტსმენები ამღვრეული თვალებით შესცქეროდნენ ერთმანეთს. მეხუთე რაუნდი ახალი დაწყებული იყო, ჩოჩიშვილმა თავის საყვარელ ილეთზე — ბრუნზე მესამედ რომ წამოიკიდა მეტოქე და ბეჭებით დააბერტყა ტატამზე. მოღრიალე ტრიბუნები ჩაჩუმდნენ. ინოკიმ ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო. ეს გამარჯვება იყო, დიდი გამარჯვება ქართული ფენომენისა... ქომაგები ცრემლმორეული ტოვებდნენ ტრიბუნებს. ტიროდა ინოკიც. წარმატების სიხარულს არ იმჩნევდა ქართველი ვაჟკაცი, რომლის ფიქრებიც იმ დროს რუსის ნიჩბებით დაჩეხილ საქართველოს დასტრიალებდა...

იგი გახდა არა მარტო საბჭოთა, არამედ პირველი ევროპელი მოჭიდავე, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა ნამდვილ იაპონურ ქვემძიმე წონაში მოიპოვა. ამომავალი მზის ქვეყნის თეთრკიმონოიანთა მთავარ მწვრთნელს, მეცხრე დანის მფლობელ შოხეი ხამანოს ანდრეევისთვის გამარჯვება მიულოცავს და, ძიუდოში ახალი ერა იწყებაო, უთქვამს...

ლვაწლი და ამაგი დაუფასეს სახელოვან ძიუდოისტს. თუნდაც ის რად ღირს, რომ თბილისში მისი სახელობის ძიუდოს აკადემია გაიხსნა.

— მადლობის მეტი რა მეთქმის იმ ადამიანების მიმართ, ვინც ეს ტაძარი შეუქმნა არ მარტო დღევანდელობას, არამედ მომავალ თაობებს — ძიუდოისტთა სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებლებს, — მითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. — აკადემია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისადაა შექმნილი, ამას წინათ ევროპის ჩემპიონატზე ჩამოსულმა სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს მას. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ აკადემიის დაარსებაში თავისი წვლილი შეიტანეს იაპონელებმაც, რომლებმაც ერთი დარბაზის კეთილმოსაწყობად 80 ათასი ამერიკული დოლარი გაიღეს. დღეს როგორც ეროვნული ნაკრების წევრებს, ისე ახალგაზრდებს ვარჯიშების ჩასატარებლად ნორმალური პირობები აქვთ.

**— თქვენ თბილისში გამართული ევროპის ჩემპიონატი ახსენეთ. მის შედეგებზე რას იტყვით?**

— ამგვარი შეჯიბრების მასპინძლობის უფლების მოპოვება იოლი არ არის. ეს ჩვენი ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების — დავით ხახალეიშვილის, შოთა ხაბარელის, შოთა ჩოჩიშვილის, ზურაბ ზვიადაურის, ირაკლი ცირეკიძის, თემურ ხუბულურის, კობა კურტანიძის, ამირან ტოტიკაშვილის, ზაზა კედელაშვილის, ნესტორ ხერგიანის, დავით ქევხიშვილის, ლაშა გუჯეჯიანის, შენგელი ფიცხელაურის, ლომერ ჟორჟოლიანისა და სხვათა წარმატებების შედეგია. ქართველი ძიუდოისტების წვლილს აფასებენ მთელ მსოფლიოში. დიდი დამსახურება მიუძღვის **დილარ ხაბულიანს**, რომელიც ოცი წელიწადია, ფედერაციას თავკაცობს. მას რომ არ ეყოჩაღა, ჩემპიონატის მასპინძლობას სხვები გამოგვაცლიდნენ ხელიდან. ჩემთვის საამაყოა ისიც, რომ ასპარეზობის დღეებში მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა **მარიუს ვიზერმა** ევროპის ძიუდოს მესვეურს **სერგეი სოლოვეიჩიკს** რომ უთხრა — მაგალითს საქართველოს ძიუდოს ფედერაციისგან ვიღებთო.

რაც შეეხება შედეგებს, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის ერთი „ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაო“ ურიგო როდია. თუმცა **ვარლამ ლიპარტელიანი** აშკარად იმსახურებდა პირველ ადგილს. უბრალოდ, ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლო.

ალბათ, უკეთესი მონაგარი გვექნებოდა, ტატამზე მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე**, სამგზის ევროპის ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილი**, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები **ლაშა გუჯეჯიანი** და **დავით ქევხიშვილიც** რომ გამოსულიყვნენ. ცხადია, ბიჭების აზრიც გასათვალისწინებელია, როცა მიზეზად მთავარ მწვრთნელთან უთანხმოება სახელდება. ეს შინაური საქმეა და გაუხმაურებლად უნდა მოგვარებულიყო. შოთა ხაბარელი გამოცდილი მწვრთნელია და დროულად უნდა გადაეჭრა პრობლემა. თუ ვერ ახერხებს, ფედერაციამ უნდა მიიღოს ზომები. ახლა კონფლიქტებისა და კინკლაობის დრო არ არის. წინ მსოფლიოს ჩემპიონატია და მისთვის მონდომებით უნდა ვემზადოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლანდელი სიტუაციის მწარე ნაყოფს ლონდონის ოლიმპიადაზე ვიგემებთ.

**ვაჟა დანელია**

გორი-თბილისი



შოთა ჩოჩიშვილი შეხვედრებს მეტწილად წმინდად იგებდა...

ფორმულა 1

# ბერნი: ბოდიში, რომ იდიოტი ვარ



გასულ უქმეებზე ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მფლობელმა **ბერნი ექლსტოუნმა** სკანდალური ინტერვიუ მისცა ბრიტანულ გაზეთ „თაიმსს", რამაც მსოფლიოს პრესასა და საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია. ბერნის ხშირად უწოდებენ დიქტატორს, ამიტომაც ინტერვიუს დიდი ნაწილი დიქტატურასთან ექლსტოუნის დამოკიდებულებას დაეთმო.

*„დემოკრატიას ქვეყნების დიდი ნაწილისთვის ბედნიერება არ მოუტანია. მათ რიცხვში ბრიტანეთიც შედის. არასწორია, თუ გადაწყვეტილების მიღებამდე ბებიას უნდა სთხოვოთ თანხმობა. მე თავად ვიღებ გადაწყვეტილებას. ყოველთვის მართალი არ ვარ, მაგრამ იქამდე, სანამ სხვებზე უკეთ ახერხებთ ორიენტაციას სხვადასხვა საკითხში, გამოდის ყველაფერი წესრიგში გაქვთ.*

*შარშანდელი სკანდალი მაქს მოსლის (ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი) შეეხებოდა... ადამიანები თავისუფლები არიან და შეუძლიათ ის აკეთონ, რაც მოესურვებათ. მე ორმოცი წელია ვიცნობ მაქსს და არ ვიცოდი, თუ ის ამგვარ აქციებში მონაწილეობდა. მისი სკანდალური ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ ვთქვი: „სხვადასხვა შეხვედრას დავსწრებივარ, მაგრამ აქ მას ჩემი მიწვევა დაავიწყდა".*

*მომწონს ძლიერი ხელმძღვანელები. მარგარეტ ტეტჩერი სწრაფად იღებდა გადაწყვეტილებებს და ერთ-ერთი იმ პოლიტიკოსთაგანი გახდა, ვინც ეს ქვეყანა ააშენა. დღეს ბრიტანეთი უკან იხევს და ეს ბიჭები - გორდონი და ტონი იმას ცდილობენ, ხალხს მოაწონონ თავი, ვიდრე საქმე გააკეთონ. მოსლის ქვეყნის მართვა უკეთ გამოუვიდოდა. ის ნამდვილი ლიდერია.*

*ჩვენ ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით, როცა სადამ ჰუსეინის გადაგდებას დავუჭირეთ მხარი. ალბათ, მხოლოდ მას შეეძლო თავისი ქვეყნის მართვა. იგივე მოხდა თალიბანის მიმართ - ჩვენ ვანესებთ ახალ წესებს სხვის ქვეყნებში ისე, რომ წარმოდგენა არ გვაქვს მათ კულტურაზე. ბევრ ამერიკელს, ალბათ, მიაჩნია, რომ ბოსნია - ეს არის მაიამის გარეუბანი. აფრიკაში ხალხი შიმშილობს, ჩვენ კი ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, სამაგიეროდ, იქ ვყოფთ ცხვირს, სადაც საჭირო არ არის. ჩემი საყვარელი დიქტატორი? სტალინი თუ მუსოლინი? ახლა საშინელ რამეს ვიტყვი. თუ დანაშაულებრივ რეჟიმს მხედველობაში არ მივიღებთ, ჰიტლერს შეეძლო ადამიანთა დიდი მასის კონტროლირება.*

*წარმატებაზე ყოველთვის ვოცნებობდი, ბავშვობაშიც კი სულ ვცდილობდი გამარჯვებას. თუ ბავშვობაში თავის დაცვა შეგიძლია, შემდგომში ეს თავისთავად გაგრძელდება. მთავარია, წაგებას არ შეეჩვიო. ვერ ვიტან შვებულებას. იახტაზე არ ვისვენებ - ეს დროის ფუჭ ხარჯვად მიმაჩნია. არ მინდა უბრალოდ ვიჯდე მზეზე. მხოლოდ ერთი პრობლემა არსებობს - სამუშაოს ოჯახური ცხოვრება შევწირე, თუმცა ოჯახი უყურადღებოდ არასოდეს დამიტოვებია და ვფიქრობდი, რომ ჩვენ ბედნიერები ვიყავით. ჩემი ქალიშვილები ყოველდღე მირეკავენ და მეკითხებიან: „ისადილე?" ძალიან ცუდი მზარეული ვარ, მაგრამ სალათის გაკეთება შემიძლია.*

*წასვლაზე არ ვფიქრობ, თუმცა ფორმულა 1-იც დაზარალდა კრიზისის გამო. ყველას უჭირს, მაგრამ ფორმულა დიდხანს წარმატებული ბრენდი იყო, ასეთ სიტუაციაში კი უძლიერესები გადარჩებიან".*

ექლსტოუნის მოკლე ანკეტა.

**- კლინტ ისტვუდი თუ მარლონ ბრანდო?**

- ორივე

**- ნაპოლეონი თუ სტალინი?**

- არც ერთს არ ვიცნობდი.

**- ვერტმფრენი თუ მტვერსასრუტი?**

- ვერტმფრენი.

**- „ლამბორგინი" თუ „ლექსუსი"?**

- „ლექსუსი".

**- შამპანური და ენერგეტიკული სასმელები?**

- წყალი.

**- ავტოსტრადები თუ ქალაქის ქუჩები?**

- ჩემი მთავარი მაგისტრალია - სახლიდან აეროპორტამდე.

■ ■ ■

ექლსტოუნის ამ ინტერვიუმ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. პირველად მას მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი გამოეხმაურა. ინტერვიუს ფრაზამ - „ჰიტლერმა მიზანს მიაღწია" უმწვავესი კრიტიკა დაიმსახურა და კონგრესმა ექლსტოუნის გადადგომა მოთხოვა.

ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა **რონალდ ლაუდერმა** გუნდებს, პილოტებსა და ტრასების მფლობელებს მოუწოდა არ ითანამშრომლონ ბერნისთან.

მოგეხსენებათ, უახლოეს უიქენდზე „ნიურნბურგრინგის" ტრასაზე გერმანიის გრანპრი გაიმართება. შაბათს, ექლსტოუნი გერმანიის მთავრობის წევრებს უნდა შეხვედროდა, სადაც „ჰოკენჰაიმის" ტრასის მომავალი ბედი უნდა გარკვეულიყო, მაგრამ გერმანულმა მხარემ არ მოისურვა ბერნისთან შეხვედრა. ამ შემთხვევაშიც მიზეზი ინტერვიუს ის ნაწილი გახდა, რომელიც ჰიტლერს შეეხებოდა.

თავიდან, ექლსტოუნი არ აპირებდა ბოდიშის მოხდას და „ბილდისთვის" მიცემულ კომენტარში მხოლოდ ის განაცხადა, რომ მომხდარი „უბრალო გაუგებრობაა", მაგრამ როცა სკანდალმა სერიოზული სახე მიიღო, ფორმულა 1-ის კომერციულ შეფს ოფიციალურად ბოდიშის მოხდამ მოუწია:

*„ბოდიშს ვიხდი იმისთვის, რომ ასეთი იდიოტი აღმოვჩნდი. გულწრფელად ვინანიებ ჩემს საქციელს.*

*ჰიტლერის მხარდასაჭერად არასოდეს გამოვსულვარ. ჩემი აზრით, ძალიან ცოტა ადამიანი მოინახება, რომელიც მხარს უჭერს მის დანაშაულებებს. საბოლოოდ, მან მარცხი განიცადა, რადგან ცუდი დიქტატორი იყო. და არ აქვს მნიშვნელობა, ეს დანაშაულებები უშუალოდ მისგან მოდიოდა და ვინმეს ემორჩილებოდა. გარკვეულწილად, მას შეიძლება საერთოდ არ ვუწოდოთ დიქტატორი.*

*ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ ძალიან ბევრ ადამიანს შეურაცხყოფა მივაყენე. მით უმეტეს, რომ სინამდვილეში ბევრი რამ მაქვს გაკეთებული ებრაელთა საზოგადოებისთვის: ქველმოქმედებით ვიყავი დაკავებული და სხვა საქმეებსაც ვაგვარებდი...*

*ჩემს დამხმარეებს შორის უმეტესობა ებრაელია. დღეს ველაპარაკე რამდენიმე გავლენიან პირს, ეროვნებით ებრაელებს. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა: „ბერნი, შენ უფრო მეტად ჰგავხარ ებრაელს, ვიდრე ჩემი მეგობრები"*, - მოჰყავს ექლსტოუნის სიტყვები „ავტოსპორტს".

# საუკეთესო პილოტი? რა თქმა უნდა, მე!




ფორმულა 1-ის ჩემპიონატის ლიდერმა **ჯენსონ ბატონმა** ამ სეზონში ექვსი რბოლის მოგება მოახერხა, ამიტომაც „დეილი მეილის" მესვეტე **პირს მორგანისგან** სავსებით ლოგიკური კითხვა მიიღო - „ვინ არის ფორმულა 1-ის საუკეთესო პილოტი?" - რაზეც ბატონმა ასეთი პასუხი გასცა:

*„ვინ არის საუკეთესო? რა თქმა უნდა, მე! ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მოიგებს რბოლას, თუ გამარჯვება მე არ შემხვდება. სხვების ტრიუმფზე ვეჭვიანობ. ლუის ჰემილტონის წარმატებები მნიშვნელოვანი იყო სპორტისთვის და ჩემთვისაც - სანამ პრესა ლუისზე იყო გადართული, შემეძლო მშვიდად მემუშავა მანქანაზე. დღეს ჰემილტონი რთულ სიტუაციაშია. ასეთ მდგომარეობაში ადრე ხშირად ვყოფილვარ. ვნახოთ, როგორ გაუძლებს ის ამ პრესინგს. პირადად მე მგონია, რომ ლუისი კიდევ უფრო გაძლიერდება და მალე ჩვენ მის საუკეთესო თვისებებს ვიხილავთ".*

მორგანმა ბატონის ინტერვიუ ჟურნალ GQ-ის აგვისტოს ნომრისთვის ჩამოართვა. ჟურნალისტმა „ბრაუნ გრანპრის" პილოტს შეახსენა ინციდენტი მელბურნში, როცა „ბრაუნის" სპონსორის - Virgin Group-ის ბოსმა **რიჩარდ ბრენსონმა** საღამოზე გადამეტებული ყურადღება გამოიჩინა ჯენსონის შეყვარებულის **ჯესიკა მიჩიბატას** მიმართ...

*„მაშინ ბევრი დავლიეთ. მოგვიანებით რიჩარდი მიხვდა, რომ აკრძალულ ზღვარს გადააბიჯა და შემდეგ შემრიგებლობითი პოზიცია დაიკავა. არ ინერვიურლოთ, ასეთი რამ აღარ განმეორდება..."*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

# ვის სჭირდება აივერსონი?

ამ ზაფხულს, თავისუფალი აგენტების ბაზარზე გამოჩნდა NBA-ის ვეტერანი ვარსკვლავი **ალენ აივერსონი**. კალათბურთელი, რომელიც კარიერაში საშუალოდ 27.1 ქულას აგროვებს, პირველად დარჩა კონტრაქტის გარეშე და მისი ბედი დღემდე გაურკვეველია.

ბოლო ინფორმაციის მიხედვით, აივერსონმა შეტყობინება გაუგზავნა „მემფის გრიზლისს" და ტენესის შტატის ამ კლუბში თამაშის სურვილი გამოთქვა. გარდა ამისა, ალენთან მოლაპარაკებები გამართა „მაიამი ჰიტის" პრეზიდენტმა **პატ რაილიმ**. აივერსონის „ჰიტში" გადასვლის პერსპექტივაზე ჯერ ლაპარაკი ნაადრევია. როგორც ამერიკული პრესა წერს, „მაიამი" აივერსონს იმ შემთხვევაში აიყვანს, თუ კალათბურთელი ერთ ან ორწლიან ხელშეკრულებასა და საშუალო დონის ხელფასს (5.6 მილიონი წელიწადში) დათანხმდება.

გასულ სეზონში, რომელიც ალენმა „დეტროიტში" გაატარა, ვეტერანი მცველი საშუალოდ 17.5 ქულას, 5.0 პასსა და 3.7 მოხსნას აგროვებდა.




# ჰემილტონი ბუზერში იცვლება?

„დეტროიტ პისტონზი" განაგრძობს სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას. ამ ეტაპზე კლუბის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებს „იუტა ჯაზთან". „დეტროიტი" ცდილობს თავისი შემტევი მცველი **რიჩარდ ჰემილტონი** „ჯაზმენებს" მძიმე ფორვარდ **კარლოს ბუზერში** გაუცვალოს.




როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ, „პისტონზმა" „ჩიკაგო ბულზიდან" **ბენ გორდონი** გადაიბირა. კლუბის მწვრთნელები წარმოშობით ბრიტანელ კალათბურთელს ჰემილტონის შემცვლელად განიხილავენ და ეძებენ მოთამაშეს, რომელიც „ბოსტონ სელტიქსში" გადასულ მძიმე ფორვარდ **რაშიდ უოლასს** შეცვლის.

■ ■ ■

ასევე გაცვლის შესახებ აწარმოებენ მოლაპარაკებებს „დალას მავერიქსი" და „ტორონტო რეპტორზი". დალასელებს ფორვარდ **შონ მერიონის** ხელში ჩაგდება სურთ. შესაძლოა, ტრეიდის განხორციელებისთვის მესამე კლუბი ჩაერთოს საქმეში, რომელიც ხელფასების რაოდენობის გათანაბრებაში დაეხმარება „დალასსა" და „ტორონტოს". ESPN.com-ის ინფორმაციით, კანადურ კლუბში გადასვლის ყველაზე რეალურ კანდიდატად ვეტერანი მცველი **ჯერი სტეკჰაუსი** ითვლება.

გასულ სეზონში მერიონმა 69 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.9 ქულა და 8.5 მოხსნა დააგროვა.

სხვადასხვა

კალათბურთი

## პრიჯიონი რეალს დარჩა

მადრიდის „რეალმა" ამ ზაფხულს მესამე კალათბურთელი შეიძინა. **ნოვიცა ველიჩკოვიჩისა** და **დარიუშ ლავრინოვიჩის** შემდეგ, „სამეფო კლუბის" ახალწვეული გახდა „ტაუგრესის" არგენტინელი გამთამაშებელი, ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი **პაბლო პრიჯიონი**. როგორც იცით, უფრო ადრე ამ კალათბურთელზე პრეტენზიას მოსკოვის ცსკა და „ბარსელონა" აცხადებდნენ.

## ლოპესი რუსეთში წავიდა

ახალი კალათბურთელების მიწვევის გარდა, „რეალმა" შემადგენლობიდან ორი მოთამაშე დაითხოვა. მადრიდელებმა კონტრაქტები არ გაუგრძელეს **ალექს მუმბრუსა** და **რაულ ლოპესს**. ამ უკანასკნელმა ძალიან მალე იპოვა ახალი გუნდი - ესპანეთის ნაკრების გამთამაშებელი რუსეთში გააგრძელებს კარიერას. ლოპესმა „ხიმკისთან" გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი.

ესპანელი მცველის კარიერაში შედის „ხუვენტუდისა" და „ხირონას" შემადგენლობაში თამაში. გარდა ამისა, ლოპესი 2003-05 წლებში „იუტაში" თამაშობდა. სულ მან NBA-ში 113 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6.5 ქულა დააგროვა.

## არმიელებმა ცისისი დაკარგეს

შემადგენლობის გადახალისებას აგრძელებს მოსკოვის ცსკა. ეს კლუბი ჯერჯერობით მხოლოდ კალათბურთელების გაშვებით არის დაკავებული. მორიგი ლეგიონერი, რომელმაც რუსეთის ჩემპიონის რიგები დატოვა, ბერძენი მცველი **ნიკოს ცისისი** გახლავთ. ცსკა-ში გადასვლამდე ეს კალათბურთელი იტალიის „ბენეტონში" თამაშობდა, პროფესიულ კარიერას კი ათენის აეკ-ში იწყებდა.

ცისისი საბერძნეთის ნაკრებთან ერთად 2005 წელს ევროპის ჩემპიონი, 2006 წელს კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა.

ჰოკეი

## ოტავა ვეტერანი რუსით გაძლიერდა

„ოტავა სენატორზის" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან მიურეიმ** რუს თავდამსხმელთან **ალექსეი კოვალიოვთან** კონტრაქტის გაფორმებაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა. 36 წლის ფორვარდმა „სენატორებთან" ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და მომავალ ორ სეზონში 10 მილიონ დოლარს მიიღებს.

კოვალიოვმა ბოლო ექვსი სეზონი „მონრეალში" ჩაატარა. სულ კი მას NHL-ში 1151 მატჩი აქვს გამართული, რომლის დროსაც 394 გოლი გაიტანა და 547 შედეგიანი პასი გააკეთა. რუსმა სამჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში", 1994 წელს კი „რეინჯერსთან" ერთად სტენლის თასი მოიპოვა.

ჩოგბურთი

# მოულოდნელი სიკვდილი

24 წლის ფრანგი ჩოგბურთელი **მატიე მონკური** გუშინ, პარიზის გარეუბანში საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ჩოგბურთელის უსულო სხეული მისმა მეგობარმა გოგონამ სახლის შესასვლელთან, კიბის უჯრედზე ნახა. პოლიციამ პირველადი დათვალიერებისას ძალადობის ნიშნები ვერ აღმოაჩინა. სიკვდილის მიზეზად ფილტვის ემბოლია დასახელდა.

*„განადგურებულნი ვართ ამ ცუდი ამბით. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. მხოლოდ ის ვიცით, რომ მატიე თავის სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ვერავინ იჯერებს მომხდარს“*, - განაცხადა საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა **კრისტოფ პროსტმა**.

კარიერის განმავლობაში მონკურმა 374 461 დოლარი გამოიმუშავა. ATP-ის რეიტინგში მისი ყველაზე დიდი მიღწევა 104-ე ადგილი იყო, რომელსაც ფრანგი ორი კვირის წინ იკავებდა, გუშინდელი მონაცემებით კი ის 119-ე პოზიციაზე იმყოფებოდა.

სხვათა შორის, ამა წლის მაისში მონკური ტოტალიზატორთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია. როგორც ATP-იმ აღმოაჩინა, ფრანგმა საერთო ჯამში 192 დოლარის ოდენობის ფსონი გააკეთა 36 მატჩზე, თუმცა არც ერთ ამ შეხვედრაში თავად არ მიუღია მონაწილეობა. ამის გამო მონკურს 8-კვირიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რომელიც შემდეგ 5 კვირამდე შეუმცირეს. მატიე აშშ-ის ღია პირველობისთვის აპირებდა ჩოგბურთში დაბრუნებას.



# რა ღირს ჩემპიონი?

ბრიტანელ ბუღალტერთა ასოციაციამ (AAT) საინტერესო გამოთვლები ჩაატარა. თუ ამ კვლევის შედეგებს დავუჯერებთ, უიმბლდონის ჩემპიონის გამოზრდა დაახლოებით 2.5 მილიონი ფუნტი სტერლინგი (2.92 მილიონი ევრო) ღირს. ასეთი თანხის დახარჯვა მოუწევთ მომავალი ჩემპიონის მშობლებს, თუ ისინი თავიანთ შვილს ჩოგბურთზე შეიყვანენ და მიზნად უიმბლდონის ჩემპიონობას დაუსახავენ.

ასოციაციის სპეციალისტებმა გამოთვლებში შეიტანეს თანხა, რომელიც ბავშვის საწვრთნელ შეკრებებზე, ტრანსპორტზე, საზღვარგარეთ მოგზაურობებსა და წვრთნაზე დაიხარჯება.

გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ვარჯიშების პირველი ციკლი მშობლებს მხოლოდ 330 ფუნტი დაუჯდებათ, მაგრამ ხარჯი თანდათანობით გაიზრდება. დღეისთვის, სპეციალიზებულ საჩოგბურთო აკადემიაში ერთი წელი სწავლება 34 ათასი ფუნტი (40 ათასი ევრო) ღირს.

ცნობისთვის, 2009 წელს უიმბლდონზე გამარჯვებისთვის ჩემპიონმა ერთი მილიონი ევრო გამოიმუშავა.

# აგასის დაბრუნება



ხუთწლიანი შესვენების შემდეგ, **ანდრე აგასი** კვლავ მიიღებს მონაწილეობას ტრადიციულ გუნდურ ტურნირში (World Team Tennis), რომელიც მომავალ კვირას, ამერიკაში აიღებს სტარტს. ლეგენდარულმა ამერიკელმა 2002-04 წლებში სამჯერ ითამაშა WTT-ის ჩემპიონატში.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ტურნირში, რომელშიც ათი გუნდი მიიღებს მონაწილეობას, პირველად გამოვლენ ამერიკელი **მაიკლ ჩანგი** და ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**. ეს უკანასკნელი ორ შეხვედრას გამართავს „სენტ ლუის ეისეზის“ რიგებში. აგასი „ფილადელფია ფრიდომზის“ შემადგენლობაშია შეყვანილი, ჩანგი კი „საკრამენტო კეპიტალზს“ წარმოადგენს.

ამ ვარსკვლავების გარდა, წელს World Team Tennis-ში ითამაშებენ **მარია შარაპოვა**, **ვენუს** და **სერენა უილიამსები**, **მარტინა ნავრატილოვა** და **ჯონ მაკინროი**. აქვე უნდა ყოფილიყო რუსი **ანა კურნიკოვა**, მაგრამ მან ტრავმა მიიღო და თამაშზე უარი განაცხადა.

# ფედერერი–ნადალი უფრო საინტერესო იყო

შვეიცარიელ **როჯერ ფედერერსა** და ამერიკელ **ენდი როდიკს** შორის უიმბლდონის ფინალმა იმაზე ნაკლები ტელეაუდიტორია შეკრიბა, ვიდრე გასული წლის გადამწყვეტმა მატჩმა, რომელშიც ფედერერი და ესპანელი **რაფა ნადალი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ კვირას როჯერმა მეექვსედ მოიგო უიმბლდონის ტურნირი. მან ფინალში როდიკი ხუთ სეტში დაამარცხა - 5:7, 7:6, 7:6, 3:6, 16:14.

ამერიკულ ტელეარხ NBC-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გადამწყვეტი მატჩის რეიტინგმა 4.2 პროცენტი შეადგინა, წილი კი 12 პროცენტი იყო. 2008 წლის ფინალის დროს, რომელშიც ფედერერმა ხუთ სეტში წააგო ნადალთან, წილი იგივე გახლდათ, მაგრამ უფრო მაღალი რეიტინგი დაფიქსირდა - 4.6 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი ფინალის ტელერეიტინგი უმაღლესია ბოლო ათი სეზონის განმავლობაში.

როგორც ცნობილია, ფედერერმა როდიკის დამარცხების შემდეგ, რეიტინგში ერთი წლის წინ დაკარგული პირველი პოზიცია დაიბრუნა. კლასიფიკაციაში დღეს არსებული სიტუაციის მიხედვით, როჯერი მინიმუმ ამერიკის ღია პირველობამდე შეინარჩუნებს ლიდერის პოზიციას. ხოლო თუ აშშ-ის ღიაზე შარშან მოპოვებულ ტიტულს დაიცავს, სეზონის ბოლომდე თითქმის გარანტირებული ექნება პირველი ადგილი.

# რაფამ მონრეალი დაადასტურა

ესპანელი **რაფაელ ნადალის** წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგანი მონაწილეობას მიიღებს მონრეალის მასტერსში, რომელიც 10 აგვისტოს აიღებს სტარტს. **ბენიტო პერეს-ბარბადილიოს** სიტყვებით, ამ მომენტისთვის რაფა კვლავინდებურად მუხლის ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ ის აუცილებლად ითამაშებს მონრეალში.

*„ჩვენს გეგმებში კვლავინდებურად შედის მონრეალის ტურნირში თამაში. ნადალმა დაადასტურა, რომ თუ ყველაფერი წესრიგში იქნება, ის აუცილებლად ჩავა კანადაში სათამაშოდ. აქვს თუ არა რაფას მონრეალამდე კორტზე გასვლის შანსი? ამ ბიჭთან მიმართებაში წინასწარ რაიმეს თქმა არასოდეს შეიძლება“*, - განაცხადა პერეს-ბარბადილიომ.




ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **II საკვალიფიკაციო. II მატჩი** | |
| სტ. ჯულია-ტრე ფიორი | 1:1, პენ. 5:4 (1:1) |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ოდენსე-სილკებორგი | 1:1 |
| ანდერლეხტი-ზენიტი | 2:2 |
| მატერსბურგი-ვისლა | 2:1 |
| უნტერჰახინგი-ზალცბურგი | 0:2 |
| ციურიხი-ვინტერტური | 3:2 |
| ცსკა (ს)-სტიაუა | 2:1 |
| არმინია-ბრონდბიუ | 1:0 |
| იგლზი-გრააფსხაპი | 2:1 |
| რაპიდი-კოპენჰაგენი | 2:1 |
| ვერდერი-ესენი | 2:2 |
| შალკე-ტვენტე | 0:0 |
| პარტიზანი-რაბოტნიჩკი | 2:1 |
| ტიროლი-ჰამბურგი | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| კორკი-სტ. პატსი | 0:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **WTA. ბასტადი** | |
| კირილენკო-**ბურიაჩოკი** | 6:0, 6:4 |
| პენეტა-სკიავონე | 6:2, 7:5 |
| მორიტა-**ლაგოსტერა** | 6:4, 0:6, 2:6 |
| კანეპი-**მარტინესი** | 1:6, 6:7 |
| პალკინა-**ოლგურინი** | 4:6, 4:6 |
| სტრიუკოვა-**კერბერი** | 5:7, 4:6 |
| ციბულკოვა-რომა | 6:3, 2:6, 6:1 |
| ვოზნიაჩკი-არვიდსონი | 6:1, 6:3 |
| კვიტოვა-ვაკულენკო | 6:3, 6:1 |
| ზეჩ პესკარიჩი-იოჰანსონი | 6:2, 6:0 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| ზაკოპალოვა-**ბამერი** | 2:6, 3:6 |
| კლეიბანოვა-ნიკულესკუ | 6:0, 6:3 |
| კორნე-ვოსკობოევა | 6:3, 6:1 |
| კორიტცევა-ლაპუშენკოვა | 6:4, 6:2 |
| საფაროვა-**მარტიჩი** | 6:7, 0:6 |
| ერანი-**ბაშჩინსკი** | 7:5, 4:6, 0:6 |
| ე. ბონდარენკო-ჟურიკოვა | 6:3, 1:6, 6:4 |
| მაირი-ჩახნაშვილი | 6:0, 7:5 |
| პეერი-ბეგუ | 6:1, 4:6, 6:4 |
| შავაი-მაროში | 6:1, 6:1 |
| გარბინი-ფიშმანი | 6:1, 6:4 |
| ოლარუ-არნი | 6:2, 6:2 |

TV პროგრამა

**8 ივლისი. ოთხშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

07:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დინამო-პორტუ.
09:20 ლიბერტადორესის თასი.
10:10 არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ურაკანი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ლიბერტადორესის თასი.
17:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ფიორენტინა-ლიონი.
19:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ბაიერნი.
22:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:45 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ასტონ ვილა.
00:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ზენიტი-რეალი.
02:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
04:00 ლიბერტადორესის თასი.
04:45 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. პირველი მატჩი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-კრუზეირო (ბრაზილია) (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 ტრიატლონი. საფრანგეთი.
11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი. მონპელიე.
12:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ლევერკუზენი-კასაბლანკა.
13:34 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ტვენტე-შალკე.
15:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი. მონპელიე.
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი. ლა კაპ დ'აჟი-პერპინიანი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ტვენტე-შალკე.
20:00 მულტისპორტი.
20:10 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. კონკური. აახენი. გერმანია.
21:10 ცხენოსნობა. ერთა თასი. აახენი. გერმანია.
22:10 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:15 გოლფი. ევროპის ტური.
22:45 გოლფ-კლუბი.
22:50 აფროსნობა. Medcup. მარსელი. საფრანგეთი.
23:20 აფროსნობა. მსოფლიო რეგატა Volvo Ocean.
23:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
23:55 მულტისპორტი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი. ლა კაპ დ'აჟი-პერპინიანი.
01:05 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ლევერკუზენი-ალ აჰლი.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი. ლა კაპ დ'აჟი-პერპინიანი.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2009




# ლენსი ლიდერი გახდა

ტურ დე ფრანსზე გუშინდელმა გუნდურმა რბოლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა გენერალურ კლასიფიკაციაში. მონპელიეში გამართული 39-კილომეტრიანი რბოლა „ასტანას“ სრული ტრიუმფით დასრულდა. ყაზახურმა გუნდმა 40 წამი მოუგო ტურის ლიდერის **ფაბიან კანჩელარას** „საქსო ბანკს“. ეს ზუსტად ის დრო იყო, რომელსაც „ასტანას“ წევრი **ლენს არმსტრონგი** შვეიცარიელ ველომრბოლთან აგებდა. შესაბამისად, გუშინდელი ეტაპის შემდეგ, ლენსი და ფაბიანი ერთნაირი დროით ჩაუდგნენ რბოლას სათავეში. მართალია, კანჩელარა დღეს ყვითელი მაისურით დაიწყებს მეხუთე ეტაპს, მაგრამ ცხადია, რომ მისი ლიდერობა დროებითია, რადგან ის მთებში ფავორიტებთან ბრძოლას ვერ შეძლებს.

სამთო ეტაპების წინ ტურის შვიდგზის ჩემპიონმა არმსტრონგმა შესანიშნავი სასტარტო პოზიცია მიიღო. მისი მთავარი კონკურენტი **ალბერტო კონტადორი** ბევრს არ აგებს ამერიკელთან, მაგრამ ბოლო ორ ეტაპზე შესანიშნავი გამოსვლით ლენსმა დაამტკიცა, რომ შესანიშნავ ფორმაში შეხვდა ამ ტურს და რიგით მერვე გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

**IV ეტაპი**

**მონპელიე (გუნდური). 39 კმ**

1. ასტანა - 46.49,0; 2. გარმინ-სლიპსტრიმი - +0,18; 3. საქსო ბანკი - +0,40; 4. ლიკუიგასი - +0,58; 5. თიმ კოლუმბია - +0,59; 6. კატიუშა - +1,23.

**საერთო ჩათვლა**

1. **კანჩელარა** (შვეიც, საქსო ბანკი) - 10.38,07; 2. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - იგივე დრო; 3. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - +0,19; 4. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - +0,23; 5. **ლაიპჰაიმერი** (აშშ, ასტანა) - +0,31; 6. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - +0,38... 15. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - +01,31; 16. **როჯერსი** (ავსტრა, თიმ კოლუმბია) - +01,32... 20. ე. **შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +01,41... 25. ფ. **შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +02,17... 30. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - +02,44... 36. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - +02,59... 73. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - +03,52...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ინტერვიუ შტეფი გრაფთან

# ჩოგბურთმა ოჯახი მაჩუქა

**შტეფი გრაფი ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიადესი მოთამაშეა. თავისი მრავალი კოლეგისგან განსხვავებით, რომლებმაც სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება ვერ შეძლეს, გერმანელმა დიდი სპორტის მიღმაც მოახერხა საკუთარი თავის პოვნა. თავისი 40-წლიანი იუბილეს წინ, შტეფიმ გერმანულ ჟურნალ Tennis magazine-ს დაწვრილებით უამბო საჩოგბურთო კორტსა და პირად ცხოვრებაში მოპოვებული გამარჯვებების შესახებ.**

**- შტეფი, 1988 წელს თქვენ „დიდი სლემი“ მოიპოვეთ. მას შემდეგ, ერთ ჩოგბურთელს არასოდეს მოუგია ერთ სეზონში ოთხი დიდი ტურნირი. რას ფიქრობთ იმ დროზე, ხშირად გახსენდებათ თუ არა რომელიმე კონკრეტული მატჩი ან ტურნირი?**

- იმ დროსთან დაკავშირებით უამრავი მოგონება მაქვს! ის სეზონი ძალიან წარმატებულად დავიწყე. მელბურნსა და პარიზში ყველაფერი ბრწყინვალედ მიდიოდა. ყველაზე რთული აღმოჩნდა ამერიკის ღია პირველობა, რადგან ყველანი მხოლოდ „სლემის“ მოპოვებაზე ლაპარაკობდნენ. გაისმოდა ერთი ტიპის გაუთავებელი შეკითხვები... ვცდილობდი, ნებისმიერი ხერხით ჩოგბურთზე მომეხდინა კონცენტრაცია. და როცა გაბი საბატინისთან ფინალის დღე დადგა, ფსიქოლოგიურად მთლიანად გამოფიტული ვიყავი. ეს ნამდვილი ბრძოლა იყო. მესამე სეტის შუაში უცებ ფეხი გამიჩერდა. მახსოვს, მატჩბოლზე უკვე ზღვარზე ვიყავი მისული - ბოლო დარტყმაში მთელი დარჩენილი ძალა ჩავაქსოვე. მოვიგე, მაგრამ ძალა აღარ მქონდა და ალბათ, ვერც მოვახერხებდი თამაშის გაგრძელებას. საოცარი გრძნობა იყო: ყველანაირი ტვირთი მომეხსნა, ყველაფერი უკან დარჩა! ერთი მხრივ, ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მეორე მხრივ - სრულ სიცარიელეს ვგრძნობდი.

**- სეზონის დასაწყისში 18 წლის იყავით და კარიერაში „დიდი სლემის“ მხოლოდ ერთი ტურნირი გქონდათ მოგებული. წარმოიდგენდით თუ არა, რომ ასეთ ადრეულ ასაკში მოიგებდით ოთხ „სლემს“ ერთად?**

- ასეთ ასაკში, ადამიანები ჩვეულებრივ გულუბრყვილოები არიან. ბევრს სჯერა, რომ შეძლებს დიდი წარმატებების მიღწევას. მაგრამ იმისთვის, რომ „დიდი სლემის“ ტურნირებზე გაიმარჯვო, აუცილებელია წელიწადში ოთხჯერ აჩვენო თამაშის უმაღლესი დონე და მზად იყო ამისთვის არა მარტო ფიზიკურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც. თუმცა მაინც მიმაჩნია, რომ ამის გაკეთება ადრეულ ასაკში უფრო შესაძლებელია...

**- თქვენ ახსენეთ ფინალი გაბრიელა საბატინის წინააღმდეგ. იმ წელს ორივემ რამდენიმე დიადი მატჩი ითამაშეთ. შეგიძლიათ თუ არა იმის თქმა, რომ „დიდი სლემისკენ“ მიმავალ გზაზე საბატინი მთავარი წინაღობა იყო?**

- ჩვენ მრავალწლიანი კონკურენცია გვქონდა. განსაკუთრებით 1988 წელს და შემდეგ კიდევ ორ სეზონში. მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მაშინდელი უძლიერესი მოწინააღმდეგე არა საბატინი, არამედ მარტინა ნავრატილოვა იყო. მაშინ ბალახი ჩემთვის უცნაური საფარი იყო. უიმბლდონამდე ბალახზე სულ რამდენიმე მატჩი მქონდა ჩატარებული. ვფიქრობდი, რომ ეს ტურნირი ჩემთვის უმძიმესი გამოცდა იქნებოდა, რადგან მარტინა ბალახზე ბრწყინვალედ თამაშობდა. ამასთან, ტურში ბევრი ისეთი ჩოგბურთელი იყო, რომლებსაც კარგად ჰქონდათ ათვისებული ბალახის კორტებისთვის დამახასიათებელი სტილი - „მოწოდება-ბადესთან გასვლა“.

**- სეულის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი ამერიკის ღია პირველობის დასრულებისთანავე დაიწყო. გახსოვთ ის მგზავრობა სამხრეთ კორეაში?**

- დიახ, საშინელ ცაიტნოტში ვიყავი!.. საღამოს, ამერიკის ღია პირველობის ფინალის შემდეგ, გერმანიაში გავფრინდი და მესამე დღეს უკვე სეულისკენ გვეჭირა გეზი. მახსოვს, თვითმფრინავში ბევრი მძლეოსანი იჯდა - ისინი ოლიმპიადაზე უნდა გამოსულიყვნენ. ყოველთვის მომწონდა ეს სპორტსმენები, ჩემი საყვარელი დისტანცია კი 800 მეტრი იყო. როგორც კი სეულში ჩავფრინდით, 800 მეტრზე მორბენალთა ვარჯიშის სანახავად წავედი. მართალია, აშშ-ის ღიას ფინალისა და ამდენი ფრენის გამო ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ მორბენლებთან ერთად ვარჯიში გადავწყვიტე. ოლიმპიელებთან ერთად წვრთნა და ოლიმპიური გუნდის წევრობა - დაუვიწყარი მოგონებაა.

**- ოლიმპიური ოქრო იმ წლის სხვა ტიტულებზე უფრო ძვირფასი იყო?**

- არა. რა თქმა უნდა, ეს განსაკუთრებული სპორტული ფორუმი იყო, მაგრამ ჩემთვის უფრო დიდი მნიშვნელობა „სლემებზე“ გამარჯვებებს ჰქონდა.

**- თქვენს მეტოქეებს შორის ვინ იყო ყველაზე მოუხერხებელი და ყველაზე ნიჭიერი ჩოგბურთელი?**

- ყველაზე მეტ პრობლემას მონიკა სელეში მიქმნიდა. ის ნამდვილი მებრძოლი იყო. არასოდეს ნებდებოდა. მისი თამაში ყოველთვის შეტევაზე იყო ორიენტირებული, უძლიერეს დარტყმებს ასრულებდა. დაუმატეთ ამას ცაციათი შესრულებული ძალიან კარგად დაყენებული მოწოდება. მონიკა მართლაც ძლიერი მოწინააღმდეგე იყო და ბევრ თავსატეხს მიჩენდა. რაც შეეხება ნიჭს, ძალიან ვაფასებ დებ უილიამსებს. შესანიშნავი ფიზიკური მომზადებისა და კორტის ხედვის ძალიან კარგი უნარის წყალობით, ისინი წინასწარვე გარკვეულ უპირატესობას იქმნიან. ჩემი აზრით, მათ უდიდესი პოტენციალი აქვთ და შეუძლიათ საუკეთესოები იყვნენ ტურში.



**- არ გეჩვენებათ, რომ მათ ამოწურეს მთელი თავიანთი პოტენციალი?**

- ხანდახან მეც ასე მეჩვენება. დღეს მათ სტაბილურობა არ ჰყოფნით. აიღეთ, მაგალითად, მარტინა ნავრატილოვა: ის ყოველ სათამაშო ელემენტს ავარჯიშებდა და სრულყოფამდე მიჰყავდა თავისი ფიზიკური ფორმა. ან ჟუსტინ ანენი, რომელიც თამაშში მთელ თავის სათამაშო პოტენციალს დებდა. ჩემი აზრით, დებ უილიამსებს ბოლომდე არ გამოუვლენიათ თავიანთი ნამდვილი შესაძლებლობები.

**- თქვენი წასვლის შემდეგ, ქალთა ჩოგბურთში არ ყოფილა ისეთი მოთამაშე, რომელიც დიდი ხნით იბატონებდა ტურში და სტაბილურად წარმოაჩენდა უმაღლეს სათამაშო კლასს...**

- მე მგონი საქმე იმაშია, რომ დღეს ქალთა ჩოგბურთში გაცილებით მეტი ძლიერი მოთამაშეა, ვიდრე ჩემს დროს იყო. საერთო დონე უფრო მაღალი და თანაბარი გახდა. სწორედ ეს ურთულებს საქმეს წამყვან ჩოგბურთელებს.

**- სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ბევრი დიადი სპორტსმენი აწყდება ახალ ცხოვრებაში ადაპტაციის სირთულეს. როგორც ჩანს, თქვენ მსგავსი პრობლემა არ გაწუხებთ. როგორ მოახერხეთ სპორტიდან ჩვეულებრივ ცხოვრებაში მშვიდად გადასვლა?**

- ჩოგბურთი ჩემი ცხოვრების მხოლოდ ნაწილი იყო. კარიერის გარკვეულ პერიოდში სპორტს მთელ ჩემს დროს ვუთმობდი, თუმცა შემდეგ სხვა ინტერესებიც გამიჩნდა. მოგვიანებით, ამან თანდათანობით საშუალება მომცა ჩოგბურთისგან გარკვეული დისტანცია დამეჭირა. ამასთან, კარიერის ბოლო წლებში ტრავმები მუდმივად მაწუხებდა და ბევრი მუშაობა მიწევდა კორტზე დასაბრუნებლად - სულ უფრო ჭირდა ოპტიმალური ფიზიკური ფორმის შენარჩუნება. ამიტომაც, ძალიან გახარებული ვიყავი, როცა ახალი ცხოვრების დაწყების დრო მოვიდა.

**- ძალიან ბევრ პროექტში ხართ ჩართული, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო ჩოგბურთთან: რეკლამას უწევთ ავეჯს, თანამშრომლობთ Louis Vuitton-თან... რა მიზნები გამოძრავებთ ამ დროს?**

- ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც ჩოგბურთმა გამიკეთა - ჩემი ოჯახია. მეორე ადგილზეა - თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა: შემიძლია იმ საქმით დავკავდე, რაც სიამოვნებას მომიტანს. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია მონაწილეობა მივიღო რამდენიმე ბრწყინვალე პროექტში. საშუალება მაქვს ვიმოგზაურო, ვესტუმრო მუზეუმებს, გამოფენებს, დავტკბე არქიტექტურით, შევისწავლო სხვადასხვა კულტურა. და იმ გამოცდილებას, რომელიც ამ ყველაფერთან ერთად მოდის, სხვადასხვა წამოწყებაში ვიყენებ ხოლმე.

**- თქვენ ფირმა HEAD-ის კონსულტანტი ხართ ქალთა ჩოგნების სერიის შექმნაში...**

- ორი წლის წინ, HEAD-ის ვიცე-პრეზიდენტმა კევინ კემპენმა მკითხა - ხომ არ გამომეყენებინა ჩემი გამოცდილება ჩოგნების ახალი სერიის შექმნაში. ეს პროექტი ჯერ დასრულებული არ არის. რეგულარულად ვურეკავთ ერთმანეთს და წელიწადში რამდენჯერმე შეხვედრასაც ვაწყობთ გარკვეული ცვლილებების შესატანად. თამამად გეტყვით, რომ აქამდე ჩოგნების შექმნისთვის არც ერთ ფირმას ასე სკრუპულოზურად არ უმუშავია.

**- წარმოიდგენდით თუ არა, რომ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ლას-ვეგასში მოგიწევდათ ცხოვრება?**

- ვერასოდეს ვიფიქრებდი. წარმოდგენაც კი არ მქონდა, სად იქნებოდა ჩემი სახლი... ახლა აქ ოჯახთან ერთად ვცხოვრობ. საბედნიეროდ, დედაჩემი და ჩემი ძმა თავის ოთხ შვილთან ერთად, ჩვენთან ახლოს დასახლდნენ. ანდრე აქ დაიბადა და გაიზარდა, ამიტომაც ლას-ვეგასში ნათესავებისა და ნაცნობების კარგი წრე გვყავს. აქ თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ.

**- თქვენი შვილები ჩოგბურთს თამაშობენ?**

- ჩემთვის და ანდრესთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ისინი იმ საქმით იყვნენ დაკავებულნი, რაც ყველაზე დიდ სიხარულს მიანიჭებთ. მათ სპორტის სხვადასხვა სახეობაში უნდა სცადონ ბედი. ფეხბურთი მაინცდამაინც არ გამოუვიდათ. ახლა ჯეიდენი ბეისბოლით არის დაინტერესებული. ორივეს ძალიან მოსწონს ზამთრის სახეობები, მაგალითად, სნოუბორდი. ჩოგბურთს იშვიათად თამაშობენ. თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, ამის გამო არ ვინაღვლებ.

გია თვალაბეიშვილი


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge